



STUDENT SCIENTIFIC CONFERENCE PROCEEDINGS

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის
შრომების კრებული



EAST EUROPEAN UNIVERSITY
აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი

Tbilisi/თბილისი
2023



STUDENT SCIENTIFIC CONFERENCE PROCEEDINGS

**სტუდენტური სამეცნიერო
კონფერენციის შრომების კრებული**

East European University

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

Tbilisi/თბილისი
2023

UDC (uak) 378.4 (479.22) (063)

a – 948

The collection encompasses the proceedings of the student scientific conference held by the East European University on December 16, 2022

კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 16 დეკემბერს გამართულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები.

Editorial Board:

Prof. Shalva Machavariani (Editor-in Chief), Assoc. Prof. Davit Sikharulidze, Prof. Davit Bostoghanashvili, Prof. Giorgi Tavadze, Assoc. Prof. Vasil Kikutadze, Assoc. Prof. Ketevan Aptarashvili, Tatia Gherkenashvili (Technical editor).

სარედაქციო საბჭო:

პროფ. შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), ასოც. პროფ. დავით სიხარულიძე, პროფ. დავით ბოსტოღაშვილი, პროფ. გიორგი თავაძე, ასოც. პროფ. ვასილ კიკუტაძე, ასოც. პროფ. ქეთევან აფთარაშვილი, თათია ლერკენაშვილი (ტექნ. რედაქტორი).

Publisher: East European University in cooperation with „APG“ Academic Press of Georgia.

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს აკადემიურ გამომცემლობა „საბა“-სთან თანამშრომლობით.

Publication implies views of the authors. Commercial use of all media published by the East European University (EEU) is not permitted without the written consent of the University.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე.

Hard copy as well as soft copy will be available.

გამოიცემა ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.

© East European University, 2023

© აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2023

ISBN 978-9941-8-3471-4



საბა – საქართველოს აკადემიური გამომცემლობა

დავით აღმაშენებლის გამზ. №181-2,

თბილისი, 0112, საქართველო

ტელ.: (+995 32) 234.04.32

ელ-ფოსტა: pressacademic@gmail.com

www.apgeorgia.com

FB: Academic-Press-of-Georgia – საბა

CONTENTS / შინაარსი

Davit Gotsadze/დავით გოცაძე	6-7
<i>Challenges and opportunities of human resource management in the post-pandemic era</i>	
ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გამოწვევები და შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ ეპოქაში	
Ketevan Adeishvili/ქეთევან ადეიშვილი	16-17
<i>Involvement of parents in an excessive dose in the teaching-learning process</i>	
მშობელთა გადაჭარბებული დოზით ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში	
Darina Khuroshvili/დარინა ხუროშვილი	23-24
<i>Using Formative Assessments in the Teaching Process</i>	
განმავითარებელი შეფასების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში დაწყებით საფეხურზე	
Rusudan Cherkezishvili, Tamar Tkhelidze/რუსუდან ჩერქეზიშვილი, თამარ თხელიძე	28-29
<i>Student-centered Teaching (Case of East European University)</i>	
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგალითზე)	
Tamta Nikabadze/თამთა ნიკაბაძე	33-34
<i>Teachers attitude on “The Scheme of Teacher’s professional development and career progress”</i>	
მასწავლებელთა დამოკიდებულება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისადმი“	
Mariam Chubinidze/მარიამ ჩუბინიძე	40-41
<i>Access to education of deprived and homeless children and inclusion in an educational institution (Case of Georgia)</i>	
შურენველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (საქართველოს მაგალითზე)	
Mary Surmanidze/მერი სურმანიძე	45-46
<i>Possibilities and Risks of Replacing Face-to-face Teaching with Distance Learning at the Basic-Secondary level of Education</i>	
პირისპირ სწავლების დისტანციური სწავლებით ჩანაცვლების შესაძლებლობები თუ რისკები სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე	
Maka Maghaldadze/მაკა მაღალდაძე	50-51
<i>Involvement of Parents in the Distance Learning Process of Elementary School Students – Challenges and Problems</i>	
მშობელთა ჩართულობა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დისტანციური სწავლის პროცესში – გამოწვევები და პრობლემები	
Tamari Tsotsoria/თამარი წოწორია	55-56
<i>The importance of the pre-school readiness program</i>	
წინა სასკოლო მზადობის პროგრამის მნიშვნელობა	
Mariam Gogitauri/მარიამ გოგიტაური	63-64
<i>Academic performance of graduates and its role on determining their employment and salary</i>	
კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება და მისი როლი დასაქმებისა და ანაზღაურების განსაზღვრაში	
Sopio Gurabanidze/სოფიო გურაბანიძე	69-70
<i>Inclusion of students with special educational needs in the educational process in primary classes</i>	
დაწყებით კლასებში სსსმ მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში	

Salome Gogaladze/სალომე გოგალაძე	76-77
<i>Principles and opportunities of teamwork at school</i>	
გუნდური მუშაობის პრინციპები და შესაძლებლობები სკოლაში	
Ketevan Arabidze/ქეთევან არაბიძე	82-83
<i>The Relationship between the teacher and the student and its impact on the learning process</i>	
მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა და მისი გავლენა სასწავლო პროცესზე	
Ketevan Jishkariani/ქეთევან ჯიშკარიანი	86-87
<i>Strategic analysis and post-pandemic period of Walt Disney Company</i>	
უოლტ დისნეის კომპანიის სტრატეგიული ანალიზი და პოსტ-პანდემიური პერიოდი	

Preface

Students' engagement in the scientific-research process and care for enhancing their creative potential is considered a priority direction of the development strategy of the East European University.

Organizing the student scientific conference is one of the important components of the realization of this strategy. 30 students participated in the student scientific conference held on **December 16, 2022**.

The editorial board composed of local as well as international field experts selected the 14 papers of Doctoral and Master Degree program students for the collection.

On behalf of the editorial board of the conference proceedings, I would like to wish the authors of scientific papers further creative achievements and express gratitude toward their supervisors for the fruitful work.

Prof. Shalva Machavariani

Editor-in-Chief,

Vice-Rector for Scientific Affairs of East European University

წინათქმა

სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით პროცესში და ზრუნვა მათი შემოქმედებითი პოტენციალის ასამაღლებლად, ითვლება ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მოწყობა წარმოადგენს ამ სტრატეგიის რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს.

2022 წლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ოცდაათმა სტუდენტმა. სარედაქციო საბჭომ, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც დარგის ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტებით, კრებულისთვის შეარჩია 14 სტუდენტის ნაშრომი, რომელთა ავტორებად გვევლინებიან სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები.

კრებულის სარედაქციო საბჭოს სახელით ვუსურვებ სამეცნიერო სტატიების ავტორებს შემდგომ შემოქმედებით მიღწევებს და მადლობას მოვასხენებ მათ ხელმძღვანელებს ნაყოფიერი მუშაობისთვის.

პროფესორი შალვა მაჭავარიანი

მთავარი რედაქტორი,

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სამეცნიერო საკითხებში

CHALLENGES AND OPPORTUNITIES OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN THE POST-PANDEMIC ERA

Davit Gotsadze

PHD student of Business Administration Program
East European University

Prof. Dr. Vasil Kikutadze,
Supervisor
East European University

Abstract

The purpose of this paper is to discuss and outline the important factors that had a great impact on the operation and maintenance of efficiency of human resources management in pandemic and post-pandemic conditions for the current scientific conference. Also, to make the human capital resource in the organization important, in the aspect of managing the crisis situation.

The mentioned work presents such important factors that changed the face of human resources management in the course of the crisis, namely: Challenges identified by human resource managers in organizations during the coronavirus pandemic, trends in human resource challenges for the post-pandemic workplace, potential opportunities for improving human resource management in the post-pandemic era.

At the initial stage of the presentation of the paper, one of the important scientific studies will be discussed, which directly relates to the redistribution of the workload of human resources management during the pandemic on the conceptual factors of human capital. The next stage will be completely focused on the analysis of the post-pandemic situation and the aspects that have influenced the changes in the needs of human capital, the transformation of human resource management and the emergence of new opportunities and challenges. And in the final part, recommendations are highlighted as an important factor, which will help not only the HR manager for the formation of crisis management strategies in the post-Covid situation, but also the organization for the formation of crisis management capabilities.

The work takes into account all situational changes in terms of human resources management: in the pandemic and post-pandemic era. Ornamenting their functions to generate future success and shape good governance.

Keywords: *human resources management, HR opportunities and challenges, human capital, pandemic crisis*

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გამოწვევები და შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ ეპოქაში

დავით გოცაძე

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ვასილ კიკუტაძე,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, არსებული სამეცნიერო კონფერენციისთვის განიხილოს და გამოკვეთოს ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რამაც დიდი გავლენა იქონია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნქციონირებასა და ეფექტურობის შენარჩუნებაზე პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ პირობებში. ასევე მნიშვნელოვნად აქციოს ადამიანური კაპიტალის რესურსი ორგანიზაციაში, კრიზისული სიტუაციის მართვის ასპექტში.

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რამაც სახე შეუცვალა ადამიანური რესურსების მენეჯმენტს კრიზისის მიმდინარეობის პროცესში, ესენია: კოროვირუსული პანდემიის დროს ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მენეჯერების მიერ გამოვლილი გამოწვევები, ადამიანური რესურსების გამოწვევების ტენდენცია პოსტ-პანდემიური სამუშაო ადგილისთვის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესების პოტენციური შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ ეპოქაში.

ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა, რომელიც პირდაპირ ეხება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამუშაო დატვირთვის გადანაწილებას პანდემიის დროს ადამიანური კაპიტალის კონცეპტუალურ ფაქტორებზე, გაანალიზებულია პოსტ-პანდემიურ ვითარება და ის ფაქტორები, რამაც ზეგავლენა მოახდინა ადამიანური კაპიტალის მოთხოვნილებების ცვლილების შესაბამისად, ადამიანური რესურსის მენეჯმენტის გარდაქმნაზე და ახალი შესაძლებლობების, გამოწვევების გაჩენაზე. ნაშრომში გამოკვეთილია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება არამარტო HR მენეჯერს კრიზისის მართვის სტრატეგიების ფორმირებისთვის პოსტ-კოვიდურ ვითარებაში, არამედ ორგანიზაციებს კრიზისის მართვის შესაძლებლობების ფორმირებისთვის.

ნაშრომი ითვალისწინებს ყველა სიტუაციურ ცვლილებას ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მხრივ: პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ ეპოქაში. მათი ფუნქციების სახეცვლილებას სამომავლო წარმატების გენერირებისთვის და სწორი მმართველობის ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, HR შესაძლებლობები და გამოწვევები, ადამიანური კაპიტალი, პანდემიური კრიზისი

შესავალი

2019 წელს მსოფლიო მოიცვა პანდემიამ, რომელმაც ძლიერ შეცვალა ეკონომიკური თუ ბიზნეს გარემო თითქმის ყველა ქვეყანაში. არსებულმა ეპიდემიამ თავისი წარმადობის პიკს მიაღწია და ფატალური შედეგები გამოიწვია როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე თითქმის ყველა სამუშაო სფეროში. კომპანიები ვალდებული გახდნენ დროებით შეეჩერებინათ ადგილზე მუშაობა და ონლაინ, დისტანციურ რეჟიმზე გადართულიყვნენ. ასეთი უეცარი ცვლილების მიმართ რეაგირება თითქმის ვერც ერთმა კომპანიამ ვერ მოახერხა ეფექტურად, ზოგიერთს მეტი დრო დასჭირდა კრიზისის იდენტიფიკაციისა და სტრატეგიების ჩამოყალიბებისთვის, ზოგს ნაკლები, თუმცა მიმდინარე სიტუაცია ყველას მძიმედ შეეხო. გამონაკლისი არც ქართულ ბაზარზე მოქმედი კომპანიები იყვნენ – ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი იძულებული გახდა კრიზისის დროს ჩაეშვა დღის წესრიგში ისეთი მძიმე გადაწყვეტილებებიც, რომელსაც კადრების შემცირება ეწოდება, რადგან ამით იყო მოლოდინი რომ ნაკლებ ფინანსურ რესურსს გასცემდნენ და მთელ იმ პერიოდს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა მარტივად დაძლევენ. სწორედ აღნიშნული საკითხის გარშემო იკვრება თემის აქტუალობა, საინტერესოა ასევე ის თუ როგორ, მოახერხეს ქართულმა კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის გადარჩენა და გამოცდილი კადრების, თანამშრომელთა შენარჩუნება. ბოლოს კი ყურადსაღებ ასპექტად რჩება ის საკითხი, თუ რა როლი ითამაშა კრიზისის გადალახვაში ადამიანური რესურსების მენეჯმენტმა.

როგორც COVID-19-მა დაგვანახა, არა მატერიალური რესურსი, ტექნოლოგიები და მომავლის ხედვა, არამედ ადამიანები, ჭკვიანი ინდივიდები ქმნიან გამოსავალს ყველა კრიზისული სიტუაციიდან, ამიტომაც საჭიროა ვიფიქროთ მეტი ადამიანური რესურსის შენარჩუნებაზე, მის სწორად მართვაზე. ინდივიდების მოძიება და შენარჩუნება კრიზისული სიტუაციის დროს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ორგანიზაციები ცდილობენ რაც შეიძლება დიდი დროით შეინარჩუნონ გამოცდილი პერსონალი და მოახდინონ მათი სურვილების, მოთხოვნილებების და საჭიროებების დაკმაყოფილება, ისეთივე სამუშაო გარემოს დატოვება რაც აღნიშნულ კრიზისის დრომდე სუფევდა კომპანიაში. HR დეპარტამენტებმა ყველა საჭირო სტრატეგია და მიდგომები უნდა გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად და შესანარჩუნებლად.

თანამედროვე ბიზნეს ლიტერატურაში არსებობს თანამშრომელთა მართვის ცნების განმარტების რამოდენიმე ვარიანტი. ამ ვარიანტებში გამოსარჩევია და ყველა კომპანიისთვის გამოსადეგარი შემდგომი ცნებები: მოტივაცია, წინსვლის შესაძლებლობის მიცემა, თანაგრძნობა, დაფასება, მიზნის დასახვა, სწორი მიმართულების მიცემა – თითოეული მათგანის გათვალისწინებით ყველაზე ძვირფასი რესურსის შენარჩუნება და სასიკეთოდ გამოყენება.

ციფრული ეპოქა გვკარნახობს მუშაობის ახალ გზებს და სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო COVID-19-მა დააჩქარა ტექნოლოგიის უფრო ფართო გამოყენებაზე გადასვლა. ამ ტექნოლოგიას მოაქვს მრავალი შესაძლებლობა, და ამავე დროს ბევრი რისკი. პანდემიის დაწყების შემდეგ, ორგანიზაციებს მოუწიათ ადაპტირება ბაზარზე გადარჩენისთვის და ადამიანური რესურსის შენარჩუნებისთვის. ამავდროულად, ადამიანური რესურსების მენეჯერები დგანან დიდი გამოწვევების წინაშე, დაიცვან ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე სამუშაო ადგილზე, და უზრუნველყონ მხარდაჭერა დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებისთვის. ბევრი ორგანიზაცია აფასებს და უყურებს იმას, გაგრძელდება თუ არა პანდემიის დაწყებამდე მიღებული პრაქტიკა და აქტივობების განხორციელების გზები პოსტ-პანდემიურ პერიოდში. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ორგანიზაციებს დრო სჭირდებათ ადაპტაციისთვის და წარმატების მისაღწევად პოსტ-COVID-ის ეპოქაში.

პანდემიამ შეცვალა უმეტეს ქართულ კომპანიაში მუშაობის სტილი და გადავიდნენ ჰიბრიდულ, შერეულ მუშაობის ტექნოლოგიაზე, რამაც გამოიწვია აქსელარაცია ზოგიერთი ორგანიზაციის სტრატეგიულ ხედვაში და გადაწყვეტილებებში. დისტანციურმა მუშაობამ, ზოგიერთ მუშაკს გაუზარდა სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ არსებული ინდივიდი შევიდა კომფორტის ზონაში, მოახდინა საკუთარი სამუშაო სივრცის შექმნა სახლში, არანაირი დისკომფორტი სამუშაო გარემოსგან და თანამშრომლებიდან, თუმცა უნდა ავლენილიყო ისიც, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვერ შეეგუენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლას, რადგანაც მათ სჭირდებათ კომუნიკაცია, თანაც მუდმივი თავის კოლეგებთან და მაღალი რგოლის მუშაკებთან. სწორედ ზემოთ ნახსენები ფაქტებიდან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ პოსტ-

პანდემიურ ექპოჯში კიდევ ბევრი სქემა გადასახედი და ბევრი კვლევა ჩასატარებელი ადამიანური რესურსების განვითარების შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი COVID-19 პანდემიის დროს

კორონავირუსის პანდემიამ საგრძნობლად შეცვალა ადამიანური რესურსების მართვის ოპერაციები. თუ ეს ცვლილებები სათანადოდ არ იქნა მართული, მათ აქვთ პოტენციალი შექმნან არეულობა და შემცირდეს თანამშრომელთა პროდუქტიულობა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მენეჯერებისთვის სწორი ინსტრუმენტების ჩამოყალიბება, რადგან საჭიროა არსებული ქაოსის მობილიზება და აღმოფხვრა. როდესაც COVID-19 პანდემია დაიწყო, ორგანიზაციების მთავარი გამოწვევებად ჩამოყალიბდა ბიზნეს უწყვეტობის შენარჩუნება და თანამშრომლების ხელშეწყობა დისტანციური მუშაობის პროცესში. ეს უკანასკნელი მოითხოვდა ფუნდამენტურ ციფრულ ტრანსფორმაციას, რადგან ორგანიზაციებმა შეცვალეს ტექნოლოგია და სამუშაო პროცესები კოვიდის დროს.

კოროვირუსული პანდემიის გავრცელების შემდეგ, ადამიანური რესურსების მენეჯერებმა მოახდინეს სამუშაო ძალის გადანაწილება პანდემიაზე რეაგირების მიზნით, წახალისეს ისინი იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ უფრო გამძლე და პროდუქტიულები. პანდემიამ მრავალი ნეგატიური ასპექტი გამოიწვია ადამიანური რესურსების მენეჯერებისთვის, მათ შორის: ორგანიზაციული მიზნების მიღწევა გადაადგილების შეზღუდვის მიუხედავად, ფიზიკური შეხვედრების ჩატარების შეუძლებლობა, დისტანციური მუშაობის მიუხედავად თანამშრომლების შეფასება, თანამშრომლების ინფორმირება კორონავირუსისა და მისი შედეგების შესახებ. პირადი ჰიგიენის დაცვა და თანამშრომლების ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

კორონავირუსული პანდემიის დროს ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მენეჯერების მიერ გამოვლილი გამოწვევები მოიცავდა:

- თანამშრომლების მოტივაცია და კეთილდღეობა, რადგან პანდემიის დაწყებამდე სახლიდან მუშაობა შეუძლებლად ჩანდა.
- დისტანციური მუშაობის მართვა და სამუშაოსა და ოჯახს შორის ბალანსის შენარჩუნება, როგორც პანდემიამდე, ბევრი ორგანიზაცია ვერ ახდენდა სამუშაო ძალის მართვას ადგილზე ზედამხედველობის გარეშე. პანდემიის დაწყების შემდეგ ორგანიზაციას მოუწია ციფრულ შეფასებაზე გადასვლა, ტრადიციული სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დინამიკის შეცვლა.
- ადგილზე მომუშავე პერსონალის შეზღუდული რაოდენობა, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა ადამიანური რესურსების მენეჯერებს, რომელთა პასუხისმგებლობაა სამუშაო ძალის რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა.
- პოლიტიკის სწრაფი ცვლილებები COVID-19-ის მუდმივად ცვალებადი მითითებების შესაბამისად.
- თანამშრომლების კომუნიკაციის მართვა. ადამიანური რესურსების მენეჯერებისთვის ძალიან რთული იყო თითოეული თანამშრომლისთვის შესაფერისი კომუნიკაციის ეფექტური მეთოდების იდენტიფიცირება.

დარლინგი განმარტავს, რომ კრიზისული სიტუაცია არ წარმოადგენს არასწორი მენეჯმენტისგან წარმოქმნილ პრობლემას, ის მოულოდნელად წარმოიქმნება ორგანიზაციაში და არა არააღუკვანტური, შეუსაბამო სტრატეგიების დაგეგმვის და მისი ნაკლოვანებების შედეგად მენეჯმენტის მხრიდან. ამიტომ კრიზისის მენეჯმენტი თანმედროვე სტრატეგიული მენეჯმენტის გადამწყვეტ ნაწილს წარმოადგენს. კრიზისის მენეჯმენტი შესაძლებელია მკაფიოდ განსხვავდებოდეს ქვეყნებისა და ბიზნეს სფეროს მიხედვით, ეს განპირობებულია იმ დინამიკის ფონით, რომელიც არსებობს სხვადასხვა სიტუაციებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. კრიზისი თავისი არსით, უზრუნველყოფს ორგანიზაციის სწრაფ და ორგანიზებულ რეაგირებას ახალი სტრატეგიებისა ჩამოყალიბებისთვის – ეს შესაძლოა განხილული იყოს ორი კუთხით: მოახდინოს ორგანიზაციის ეფექტური განვითარება დროის მოკლე პერიოდში ან/და დააყენოს იგი ძალიან დიდი საფრთხის წინაშე (Darling, 1994).

კორონავირუსმა სამყაროს უფრო მეტი პრობლემები მოუტანა, ვიდრე მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. არსებულმა კრიზისმა სახე შეუცვალა თითქმის სამუშაოს პრაქტიკისა თუ თეორიის ნაწილს თითქმის ყველა ბიზნეს, კომერციულ თუ პოლიტიკურ სფეროს.

გარდა ამისა კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია მთელი რიგი მოვლენები: იზოლაციაში ცხოვრება, იზოლირებულ გარემოში ყოფნა და დისტანციური მუშაობა, ფიზიკურ-სოციალური დისტანცირება, დაუცველობისა და საფრთხის შეგრძნება. ორგანიზაციებში მომუშავე პესონალში კი გამოიწვია დიდი სტრესი, დაძაბულობა, პანიკა, გაურკვევლობა. არსებულმა კრიზისმა გამოიწვია კომპანიაში ადამიანური კაპიტალის შემცირება და ამ ყველაფრის საფუძველზე კი დაეცა სამუშაოს შესრულების ეფექტურობის დონე (Holden,Griggs,2009).

ადამიანური რესურსების მართვის გამოწვევები პოსტ-პანდემიურ ეპოქაში

პანდემიამ და მისმა ზემოქმედებამ ბიზნესზე ხაზი გაუსვა მუშახელის ადაპტირებისა და გამძლეობის აუცილებლობას, დააჩქარა გადასვლა ახალი, ციფრული ეკონომიკისკენ და გამოკვეთა ადამიანების მნიშვნელობას ახალ ნორმალურ პირობებში. ორგანიზაციული კულტურის აღდგენა გახდება უმადლესი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების დეპარტამენტებისთვის, რადგან ორგანიზაციები ცდილობენ მოერგონ პოსტ-პანდემიურ სამყაროს. შესაბამისად, სავარაუდოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ჰიბრიდულ სამუშაო მოდელებზე გადასვლას. ეს უკანასკნელი, მართალია დადებით ცვლილებად ითვლება, მაგრამ თან ახლავს რისკი, რომ ეს გადასვლა საფრთხეს უქმნის არსებულ ორგანიზაციულ კულტურას. თანამშრომლებს შორის სოციალური დინამიკა არ იქნება იგივე სამუშაო პირობების ცვლილების გამო, მათ შორის ნაკლები პირისპირ ურთიერთობისა და მზარდი დისპერსიული სამუშაო ძალის გამო. ეს აჩენს კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ წარმართავენ ბიზნესის ლიდერები თანამშრომლების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს ყველა დონეზე. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, რეგულარული შემოწმება მხოლოდ სოციალური ინტერაქციის ან ემოციური მხარდაჭერისთვის შეიძლება იყოს ეფექტური ინსტრუმენტი დაბალანსებული სტრუქტურის შესაქმნელად, როგორც დისტანციური სამუშაო ძალის მართვისთვის, ასევე ურთიერთობების გასაძლიერებლად. მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის პოლიტიკის დანერგვა და ხელშეწყობა ხელს შეუწყობს ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას და გარემოს შექმნას, რომელიც წახალისებს ნდობას, ერთიანობას, თანაგრძნობას და ჩართულობას.

მარტუჩი და ბიუ (2021) განსაზღვრავენ ადამიანური რესურსების გამოწვევების ტენდენციას პოსტ-პანდემიური სამუშაო ადგილისთვის.

- მეტი თანამშრომელი იმუშავებს სახლიდან – მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამდე ზოგიერთი მენეჯერი ფიქრობდა, რომ ისინი, ვინც ოფისში არ იყვნენ, ნამდვილად არ მუშაობდნენ, პანდემიამ დაადასტურა, რომ მენეჯერები ცდებოდნენ. პირიქით, კომპანიები აცხადებენ, რომ გაიზარდა პროდუქტიულობა სახლში მომუშავე თანამშრომლებისგან, სანამ მათ აქვთ ავტონომია და მოქნილობა, მოაწყონ თავიანთი გრაფიკი სამუშაოს გარშემო. "Harvard Business Review"-ის თანახმად, ცოდნის მუშაკები, რომლებიც თავიანთ სამუშაოს დისტანციურად აკეთებდნენ, 12 პროცენტით ნაკლებ დროს ატარებდნენ დიდ შეხვედრებზე და 9 პროცენტით მეტ დროს მომხმარებლებთან და გარე პარტნიორებთან ურთიერთობაში. გარდა ამისა, დავალებების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია როგორც „დამღლელი“ 27 პროცენტიდან 12 პროცენტამდე დაეცა (Martucci and Bui, 2021). სახლიდან მუშაობის პოტენციური განისაზღვრება ამოცანებითა და აქტივობებით და არა შესაბამისი პროფესიით.
- თანამშრომლობა და პირადი კავშირები უფრო კრიტიკული გახდება – დისტანციური მუშაობის მიხუსი არის პირადი კავშირების ნაკლებობა, რაც გამოწვეულია საოფისე გარემოში არ ყოფნით. შედეგად, მოსალოდნელია, რომ ადამიანური რესურსების სპეციალისტები შექმნიან ახალი გზების მრავალფეროვნებას ადამიანების შესაგროვებლად, როგორიცაა ჰიბრიდული გრაფიკი, რომელიც აერთიანებს პერსონალურ და დისტანციურ მუშაობას; ხელახლა წარმოსახული სამუშაო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფს უკეთეს კავშირებს ოფისში მყოფ ადამიანებს შორის; სესიების დაგეგმვა, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ შეიკრიბონ და იფიქრონ რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში.

- DEI შედეგები შეიძლება გაუარესდეს – ჰიბრიდული და დისტანციური მუშაობა არ იძლევა გარანტიას, რომ ყველა თანამშრომელი სამართლიანად განიცდის ამ ცვლილების სარგებელს. ამას აქვს პოტენციური გაუარესოს მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის (DEI) შედეგები. მაგალითად, მენეჯერების 76% ამბობს, რომ ადგილზე თანამშრომლები უფრო მეტად დაწინაურდებიან, ვიდრე დისტანციური თანამშრომლები. იმის გათვალისწინებით, რომ ქალები და თანამშრომლები ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებიდან უფრო მეტად სურთ მოქნილი სამუშაოს გამოყენება, სიახლოვის მიკერძოება ხდება უთანასწორობის რეცეპტი. ჰიბრიდულ მომავალში ყველა თანამშრომლის მხარდასაჭერად, თქვენ უნდა შეამსუბუქოთ მიკერძოება შესრულებაში და დაქირავებაში და მხარი დაუჭიროთ ნაკლებად წარმოდგენილ ნიჭს.
- გაიზრდება ბრუნვა – ჰიბრიდული სამუშაო თანამშრომლების უმეტესობისთვის საბაზისო მოლოდინი გახდა და ორგანიზაციები უკვე ხედავენ შედეგებს. ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა, როდესაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ოფისში სრული დროით დაბრუნება, და თანამშრომლების 52% ამბობს, რომ მოქნილი სამუშაო პოლიტიკა გავლენას მოახდენს მათ ორგანიზაციაში დარჩენის გადაწყვეტილებაზე. ბრუნვა გაგრძელდება გაიზრდება, რადგან ორგანიზაციის დატოვების ემოციური ხარჯები უფრო დაბალია, როდესაც ჰიბრიდია და იმიტომ, რომ მეტი არჩევანია დამსაქმებლებში, როდესაც მდებარეობა აღარ არის ფაქტორი.

McKinsey-ის (2021) მიხედვით, COVID-19-მა გააქტიურა სამი ფართო ტენდენცია, რომელსაც აქვს პოტენციური გადააკეთოს სამუშაო ტენდენცია პანდემიის შემდეგ. ეს არის შემდეგი: ალბათობა იმისა, რომ დისტანციური სამუშაო და ვირტუალური შეხვედრები გაგრძელდება, თუმცა ნაკლებად ხშირად, ვიდრე პანდემიის პიკში; ელექტრონული კომერციის განვითარება მანამ, სანამ ციფრულ ტრანზაქციებზე გადასვლამ გამოიწვია მიწოდების, ტრანსპორტირებისა და საწყობის სამუშაოების ზრდა; და ავტომატიზაციის, ხელოვნური ინტელექტის (AI) და დიგიტალიზაციის უფრო სწრაფი მიღება.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესების პოტენციური შესაძლებლობები პოსტ-პანდემიურ ეპოქაში

პოსტპანდემიურ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, იდენტიფიცირება და განხორციელება, რაც ვისწავლეთ COVID-19-ისგან, რათა გაზარდოთ ცნობიერება კრიზისის შესახებ და გაზარდოთ ორგანიზაციის წინააღმდეგობა ნებისმიერის მიმართ, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია ადამიანური რესურსების მართვის გეგმების გადახედვა, გაუმჯობესება და ინოვაცია, რომლებიც გამოიყენებოდა პანდემიის დროს, ასევე ბიზნესის უწყვეტობის გეგმები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისის წარმატებული აღდგენისთვის.

იმისთვის, რომ პოსტპანდემიურ პირობებში ადამიანური რესურსების მართვის პროცესები იყოს ეფექტური და ეფექტიანი, აუცილებელია სამუშაოსა და ქცევის ცვლილებები, არა მხოლოდ ორგანიზაციის მენეჯმენტისა და თანამშრომლებისთვის, არამედ ამ სისტემის ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კრიზისიდან მიღებული გაკვეთილების გარდა, ეს ცვლილებები მოითხოვს ახალ ინტერდისციპლინურ ცოდნას, უნარებსა და პრინციპებს, როგორიცაა პრევენციული მენეჯმენტი, ხარისხის მართვა და „რისკზე დაფუძნებული აზროვნება“ და „კრიზისზე დაფუძნებული აზროვნება“ (Luburić, 2021).

ყველა ეს ცვლილება მოითხოვს ახალ ორგანიზაციულ კულტურას, ადამიანების გაუმჯობესებულ კომპეტენციას და უფრო მგრძნობიარე პიროვნულ მთლიანობას. ამიტომ, ეფექტიანი და ეფექტური პოსტპანდემიური ცვლილებების მართვა არც სწრაფია და არც მარტივი, მაგრამ მოითხოვს მნიშვნელოვან დროსა და ძალისხმევას მისი სტაბილიზაციისა და სისტემაში ინტეგრაციისთვის. წარმატებული კრიზისის და პოსტკრიზისული მართვისთვის აუცილებელია სისტემური და პროცესის მიდგომის გამოყენება, რაც გულისხმობს მუდმივ განხილვას, გაუმჯობესებას და ინოვაციებს. სისტემური პროცესის მიდგომა პოსტპანდემიურ პერიოდში მოითხოვს ახალ მიდგომას ადამიანური რესურსების მართვასთან და ახალ მიდგომას ლიდერობის, ადამიანების ჩართულობისა და მომხმარებელთა ფოკუსირებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის დროს თანამშრომლებმა ზემოქმედება მოახდინეს მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან ხილულ და უხილავ ცვლილებებზე, როგორც ეკონომიკურად და სოციალურად, ასევე მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ადამიანური რესურსების მართვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ეს განსაკუთრებით ეხება „რბილი მენეჯმენტის ცვლადების“ დანერგვას და გამოყენებას, როგორცაა სახლიდან მომუშავე თანამშრომლების უფრო ხშირი შეხვედრები მათთან, ვინც ჯერ კიდევ მუშაობს ოფისებში, უფრო ხშირი შეკრებებისა და სოციალიზაციის წახალისება, ერთობლივი დაგეგმვა და ახალი მეთოდების მომზადება. და მუშაობის გზები, ყურადღებით დაბალანსებული ორგანიზაციების, ინდივიდებისა და ოჯახების საჭიროებებს შორის. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება უნდა იყოს შესაძლებლობა და არა მხოლოდ საფრთხე სამუშაო ადგილებისთვის. პოსტპანდემიურ ეპოქაში მენეჯერები, რომლებიც გაწვრთნილი არიან ახალ რეალობასთან შესახვედრად, კიდევ უფრო გაზრდიან თავიანთ უნარებსა და პოტენციალს, რათა ააშენონ წარმატებული ორგანიზაცია მომავალში.

HR-ის საერთო როლმა და HR პროფესიონალების მიერ შესრულებულმა ყოველდღიურმა დავალებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით დისტანციური მუშაობის ზრდის გამო COVID-ის პანდემიის საპასუხოდ. ადამიანური რესურსების პროფესიონალებს არა მხოლოდ ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ თავიანთ კომპანიებისა და თანამშრომლებისთვის უფრო ციფრულ და განაწილებულ სამუშაო გარემოზე გადასვლაში, არამედ მათ ასევე უნდა ესწავლათ როგორ ყოფილიყვნენ პროდუქტიული და წარმატებული საკუთარ როლებში სახლიდან მუშაობისას. ორივემ მოითხოვა HR პროფესიონალებს ახალი უნარ-ჩვევების ათვისება დავალებების შესასრულებლად, რომელთათვისაც სულაც არ იყვნენ მზად.

- **ონლაინ რეკრუტირება** – მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კომპანია უკვე გადადიოდა ვირტუალურ რეკრუტირებაზე, პანდემიამ აიძულა მრავალი ორგანიზაცია სწრაფად გადასულიყო არსებულ ასპექტზე. ადამიანური რესურსების გუნდები ახლა „აწარმოებენ რეკრუტირების მთელ პროცესს დაწყებული დაგეგმვისა და ნიჭის მოპოვებიდან დამთავრებული ვირტუალურ გარემოში შეფასებამდე, შერჩევამდე, დაქირავებამდე და ჩართვამდე.
- **დისტანციური გუნდების მართვა** – დისტანციური გუნდების მართვა არ იყო ამოცანა, რომლისთვისაც ბევრი HR გუნდი იყო მომზადებული პანდემიის დასაწყისში. მათაც კი, ვინც შესაძლოა მსჯელობდნენ უფრო დისტანციური სამუშაო ძალის უპირატესობებზე, არ აპირებდნენ დროის ფუფუნების მოულოდნელად წართმევას. მაგრამ ბევრისთვის სწორედ ეს მოხდა. მათ უნდა ესწავლათ, თუ როგორ უნდა მართონ დისტანციურად თანამშრომლები, როდესაც ინფრასტრუქტურა და დამხმარე სისტემები არ უწყობდათ ხელს.
- **ახალი ტექნოლოგიების სწავლა და დანერგვა** – COVID-ით გამოწვეულმა ვირტუალურ სამუშაოზე გადასვლამ შექმნა მოთხოვნა „ადვილი, ინტუიციური და „წყალგაუმტარი“ სისტემების ჩამოყალიბება, ხელმისაწვდომი ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან, სამუშაოს ეფექტიანობის და უწყვეტობის შესანარჩუნებლად. ადამიანური რესურსების დეპარტამენტებს ძირითადად დაევალათ ახალი ტექნოლოგიური სისტემების შერჩევა, სწავლა და დანერგვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მოუწიათ გამხდარიყვნენ IT სპეციალისტები და/ან უფრო მჭიდროდ ჰქონოდათ კავშიტი IT დეპარტამენტთან.

როგორ გააგრძელებს COVID-19 HR ტრანსფორმაციას მომავალში?

COVID-19-თან დაკავშირებული ბევრი გამოწვევა დროებითი იყო, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება, სავარაუდოდ, მუდმივი გახდება პოსტპანდემიურ სამყაროში. ამ კატასტროფამ ასევე ხაზი გაუსვა ბიზნესის მომზადების აუცილებლობას მომავალში მსგავსი ტიპის კრიზისისთვის და, შესაბამისად გამოკვეთა რომ, HR როლი უნდა იყოს პროაქტიული. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე გამოწვევა, რომლებისთვისაც HR გუნდები მზად უნდა იყვნენ:

- **მეტი ემოციური ჯანმრთელობის რესურსების განვითარება** – COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ზრდა, ამერიკელების თითქმის 40% აღნიშნავს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაძლიერებულ შეშფოთებას პანდემიიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ადამიანური რესურსების განყოფილებებმა უნდა დაიცვან თავიანთი გუნდების ჯანმრთელობა ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსებში ინვესტიციებით და თანამშრომლების

სწავლებით, როგორ მიიღონ ისინი. HR როლი უნდა შედგებოდეს თანამშრომლებთან რეგულარული შემოწმების ფორმალური პროცესის შემუშავებაში, მიუხედავად იმისა, ისინი მუშაობენ დისტანციურად თუ პირადად.

- კორპორატიული კულტურის განვითარება – თქვენი კორპორატიული კულტურა გავლენას ახდენს თქვენი ბიზნესის მისიის განცხადებაზე და ქმნის თქვენი ორგანიზაციის იდენტურობას, მაგრამ ასევე აძლევს თქვენს თანამშრომლებს მიზანს. კორპორატიული კულტურის შექმნა ყოველთვის რთულია, მაგრამ ეს კიდევ უფრო რთულია დისტანციურ გუნდებთან. HR როლი ფოკუსირებული უნდა იყოს გუნდის შექმნის ღონისძიებებზე, ვებინარებზე, ტრენინგ სესიებზე, თანამშრომლობის ინსტრუმენტებზე და კომუნიკაციის მეთოდებზე, რომლებიც ხელს უწყობს კორპორატიული კულტურის განვითარებას
- თანამშრომლის ჩართულობა – HR უნდა იყოს პროაქტიული გუნდების ჩართულობის შესახებ. დისტანციურ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ ინსტრუმენტები და პროცესები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ იმუშაონ გუნდურა. ჩართულობა შეიძლება იყოს რთული, როდესაც ადამიანებს აწუხებთ მათი ჯანმრთელობა, ეკონომიკა, ოჯახები და სხვა პრობლემები.
- დამატებითი ტრენინგის ჩატარება – HR დეპარტამენტებს შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი ტრენინგების დაგეგმვა, რათა დაეხმარონ თანამშრომლებს COVID-თან დაკავშირებულ ახალ წესებთან გამკლავებაში. მაგალითად, ზოგიერთ საწყობსა და საწარმოო ობიექტს ჰყავს თანამშრომლები, რომლებიც იყენებენ მოწყობილობებს, რომლებიც აკონტროლებენ მათ დამორებას ერთმანეთისგან, რათა მოეხდინათ სოციალური დისტანცია. ამ ტიპის ახალი ინსტრუმენტებისა და სამუშაო პროცესების მიღება მოითხოვს HR ჩართულობას და ტრენინგს.

კრიზისის მენეჯმენტში ადამიანური რესურსების მენეჯერის თეორიული როლი აშკარად ჩანს. გზა, რომლითაც მისი როლი გაფართოვდა, ყურადღებას ამახვილებს კრიზისის მართვის უამრავ განსხვავებულ კომპონენტებზე. იმის გამო, რომ HRD ფოკუსირებულია ადამიანურ რესურსზე, მის მთავარ საზრუნავს კრიზისის დროს წარმოადგენენ ინდივიდები, რომლებიც გაურკვევლობისა და საფრთხის დროს განიცდიან ემოციურ შფოთვისას, სტრესსა და დაბნეულობას. კრიზისის დროს არსებული გაირკვევლობისა და სტრესის მართვა უნდა წარმოადგენდეს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ერთ-ერთ მთავარ მიზანს.

როგორც ვახსენეთ, ადამიანური რესურსების მენეჯერის როლი განსაკუთრებულია კრიზისის დროს, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ნებისმიერი სხვადასხვა სახის კრიზისის დროს, მათი განსხვავებული სპეციფიკის მიხედვით უნდა ველოდოთ ახალი უნიკალური როლების გაჩენის შესაძლებლობას. ნებისმიერ HR მენეჯერს შესაძლებელია დასჭირდეს კონკრეტული როლის შესრულება, რომელიც მორგებულია კონკრეტულ საჭიროებებზე კრიზისის დროს, და მიუხედავად იმისა, რომ დადებით ეფექტს იწვევს მხედველობაში დასახული როლების შესრულება კრიზისის მართვის სტრატეგიების ფორმირებისას, მოქნილობა რჩება აღნიშნული სიტუაციის დაძლევის გარანტიად.

მომუშავე პერსონალის მორალი, ჯანმრთელობა და მოტივაცია მნიშვნელოვან ასპექტად გვევლინება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას უწევს კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავება. HR მენეჯერი ვალდებულია შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლითაც შეძლებს თანამშრომლის მოტივაციასა და ნდობის მოპოვებას.

დასკვნა/შეჯამება

ციფრული ეპოქა თანდათან შემოდის ცხოვრების მრავალ ასპექტში, მაგრამ ტექნოლოგიის გავლენა სამუშაოზე მკვეთრად გაიზარდა COVID-19 პანდემიის გავრცელების შემდეგ. დისტანციური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცვლილება იყო პანდემიის დროს და ის სხვადასხვა გამოწვევას უქმნიდა თანამშრომლებს და დამსაქმებლებს. ადამიანური რესურსების მენეჯერები ცდილობენ იპოვონ ახალი გზები ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და თანამშრომლების სიცოცხლის დასაცავად. შესაძლებელია, რომ მუშაობის ჰიბრიდული მოდელი იყოს მომავალი, მუშაობა სახლიდან ან ოფისში ან ორივეს გაერთიანებით. თუმცა, ყველა სამუშაო არ შეიძლება შესრულდეს დისტანციურად, ხოლო ბევრი, რაც შეიძლება, საჭიროებს დამატებით ინვესტიციას ტექნოლოგიაში, ინფრასტრუქტურასა და თანამშრომლების ტრენინგში. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურ მუშაობას აქვს დადებითი მხარეები, ის საფრთხეს უქმნის თანამშრომლებს შორის მნიშვნელოვან

სოციალურ განზომილებას და, შედეგად, ადამიანური რესურსების მენეჯერები მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდებიან, რათა გაუმკლავდნენ ამ გადასვლას და შექმნან სამუშაო მოდელი, რომელიც მოერგება როგორც თანამშრომლებს, ასევე დამსაქმებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში, დარწმუნებული ვარ, რომ COVID-19 პანდემია სამუდამოდ შეიცვალა და გავლენას მოახდენს სამუშაო ჩვევებსა და კულტურაზე ორგანიზაციებში. ცვლილებებს აქვს პოტენციალი დიდი სარგებელის მომტანი იყოს როგორც ადამიანებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როდის უნდა დაიწყოს ცვლილებები რეალურად, რა რესურსებით, ასევე რა მეთოდებითა და ტექნიკით, რათა ის საუკეთესოდ მომზადდეს და განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ პოსტპანდემიური პერიოდი ეხება არა მხოლოდ ორგანიზაციის ეკონომიკურ აღდგენას კრიზისიდან, არამედ მასში მყოფი ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ გამოჯანმრთელებას, ქცევის, ნდობის, პატივისცემის, სოლიდარობის ახალ ფორმებზე დაყრდნობით.

რეკომენდაციები კრიზისის პერიოდში და მის შემდგომ

რეკომენდაციები – ორგანიზაციისთვის HR მენეჯმენტის კუთხით:

- ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ინტერესის საგნად გარდაქმნა – კარგი იქნება, თუ HR-ის როლი უფრო მეტ ინტერესის საგნად იქცევა. ჩატარდება უფრო მეტი კვლევა არსებულ საკითხთან დაკავშირებით – კონკრეტულად კი რა როლი მიუძღვის HRD-ს ორგანიზაციის განვითარებისთვის და კრიზისთან გასამკლავებლად საჭირო გეგმის გენერირებაში.
- HR-ის უფლებების აღიარება ორგანიზაციის მხრიდან – ორგანიზაცია ყოველთვის უნდა ცდილობდეს მისცეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტს მეტი უფლება და გასაქანი, მითუმეტეს კრიზისული სიტუაციის დროს, რადგან აღნიშნული დეპარტამენტი ყველაზე დიდ როლს თამაშობს კრიზისის დაძლევაში
- ადამიანურ რესურსზე ყურადღების გაზრდა და მათი მართვა HRD-ის დახმარებით – როგორც მრავალჯერ ვახსენეთ, ადამიანური რესურსი ყველა კომპანიისთვის უნიკალურ და ღირებულ აქტივს წარმოადგენს, რომელსაც თავისი ინტელექტუალური საკუთრებით შეუძლია მარტივად აუღოს ალდო ახალ გამოწვევებს, რომელსაც კრიზისული სიტუაცია იწვევს. ნაშრომში მოყვანილი ბევრი მაგალითიდან გამომდინარე აუცილებელია ითქვას, რომ კრიზისისას თანამშრომელთა შემცირება არ არის გამოსავალი საჭირო ხარჯების შენარჩუნებისთვის, შემცირებამ შესაძლოა უფრო მეტი პრობლემა და დანახარჯები მოიტანოს, ამიტომაც საჭიროა ადამიანური რესურსი ღირებულების აღიარება და დაცვა ორგანიზაციის მხრიდან

თავდაპირველად ვთქვათ, რომ COVID-19 პანდემიამ გამოყო ადამიანები თავისი სამუშაო ადგილებისგან, თანამშრომლებისგან და ყოველდღიური, ნაცნობი რუტინული სამუშაოსგან, რომელსაც მიჩვეულნი იყვნენ. ხშირ შემთხვევაში კრიზისმა გამოიწვია სტრესი და შფოთვა თანამშრომლებში, მათი მორალის დაქვეითება და გუნდურობის, ერთიანობის უნარის გაქრობა. არსებულმა ფაქტორებმა კი სრულიად შესაძლებელია გამოიწვიოს სამუშაოს ეფექტურობის დონის კლება და ორგანიზაციის საქმიანობის დაკნინება.

ზემოთ ნახსენებ ნეგატიური ასპექტების აღმოსაფრქველად საჭიროა ორგანიზაციაში არსებულმა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა განახორციელოს შემდეგი ქმედებები და აქტივობები, რაც მომდევნო რეკომენდაციებში იქნება განხილული. არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ვიმედოვნებ, რომ HR მენეჯერებს არ გაუჭირდებათ კრიზისის პერიოდში თავიანთი ადამიანური აქტივის შენარჩუნება და გაღივების პრევენცირება.

რეკომენდაციები HR მენეჯერისთვის თანამშრომელთა მართვის კუთხით:

- გამოხატეთ მადლიერება – ყველაზე მეტად თანამშრომელს კრიზისულ სიტუაციაში მოტივაციას უზრდის ისეთი ქმედებები მენეჯმენტის მხრიდან, როგორებიცაა : აღიარება, შექება და სხვაგვარად გამოხატვა ინდივიდის შრომის, ძალისხმევისა და წვლილის მიმართ. სიტყვიერი შექებაც კი შესაძლებელია მთავარი მამოტივირებელი ფაქტორი გახდეს ინდივიდისთვის კრიზისთან ადაპტირებასა და სტრესის პრევენცირებაში. ამ ტიპის დადებითი

ქცევა თანამშრომლებს აგრძნობინებს სიამაყეს იმ დროს, როდესაც თანამშრომლებთან კონტაქტი შეზღუდული იყო, შიშები და გაურკვევლობა კი მაღალი

- უზრუნველყავით ინდივიდუალური მხარდაჭერა – კრიზისის პერიოდში ყოველი თანამშრომელი გარკვეულწილად განსხვავებულად განიცდის არსებული ვითარების მხრიდან გამოწვეულ მოვლენებს, ინდივიდუალური მხარდაჭერის გამოვლინება HR მენეჯრის მხრიდან საუკეთესო იარაღია გამოცდილი კადრის სტრესისა და შფოთვის გამომწვევი ფაქტორის დასადგენად და მისი პრევენციისთვის. მხარდაჭერა შესაძლებელია იყოს არა მარტო სიტყვიერი, არამედ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომელთა მოტივირებას და ადაპტირებას კრიზისის სიტუაციასთან. მაგალითისთვის : სამუშაოს განაწილება ან/და დისტანციურზე გადაყვანა, გადატრენინგება, ფსიქოლოგიის დახმარების გაწევა
- ჩართეთ თანამშრომლები გადაწყვეტილების მიღებაში – კრიზისის მხრიდან გამოწვეული გაურკვევლობისა და სტრესის დროს თანამშრომლები აფასებენ ისეთ ლიდერებს, რომლებიც მუდამ კონტაქტში არიან მათთან და ცდილობენ მიიღონ გარკვეული ინფორმაცია ინდივიდებისგან თუ როგორ შეიძლება კრიზისის დაძლევა, ასეთ მომენტში ადამიანი თავს გრძნობს დაფასებულად და სტრესიც ნელ-ნელა უქრება. არსებული შემთხვევის გაოფიციალურობისთვის მენეჯერმა შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვა ჯგუფური შეკრებები და ფორუმები, სადაც შეძლებს საჭირო ინფორმაციის მიღებას და შემდგომ სხვა დეპარტამენტებთან ერთად არსებული ინფორმაციის საფუძველზე ანტიკრიზისული გეგმის შედგენას

საბოლოოდ, ვიმედოვნებ, რომ ჩემს მიერ გენერირებული რეკომენდაციები დაეხმარება როგორც HR მენეჯერს, ისე ორგანიზაციასაც კრიზისული სიტუაციის დაძლევისა და სამომავლო აქტივობების შექმნაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Darling, R. (1994). *Crisis Management in International Business-Keys to Effective Decisions Making*. *Leadership & Organization Development Journal*, 3-9.

V, Holden R. and Griggs. (2009). „Strategic HR Management.“ *Society for Human Resource*.

Martucci, W. and Biu, B. (2021) “5 HR Trends for the Post-Pandemic Workplace”, *Georgetown University, News*, Available at: <https://scs.georgetown.edu/news-and-events/article/8419/5-hr-trends-for-post-pandemic-workplace>.

McKinsey (2020a). “What is Next for Remote Work, an Analysis of 2000 Tasks 800 Jobs and Nine Countries”, Available at: <https://www.mckinsey.com/featured-insights/future-of-work/whats-next-for-remote-work-an-analysis-of-2000-tasks-800-jobs-and-nine-countries>.

Luburić, R. (2021b). “Crisis Prevention and the Coronavirus Pandemic as a Global and Total Risk of Our Times”, *Journal of Central Banking Theory and Practice*, 1, pp. 55- 74.

INVOLVEMENT OF PARENTS IN AN EXCESSIVE DOSE IN THE TEACHING-LEARNING PROCESS

Ketevan Adeishvili

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor,
East European University

Abstract

This article describes the importance of parental involvement in the teaching-learning process and its role in improving the school environment, academic performance, and behavior of students.

The paper mainly focuses on the impact of excessive parental involvement in the teaching-learning process on the student's academic performance and behavior in the example of the educational space of Georgia.

The article considers the role of parental involvement in the process of student formation and development and the positive and negative consequences of parental involvement. The present article also discusses the factors hindering the involvement of parents in Georgia and talks about ways to solve the existing problems.

The article presents an analysis of interviews conducted with school teachers as part of a qualitative study, on the basis of which it became clear that parental overdose involvement in Georgia is a significant challenge and that parents are less informed about the difference between parental involvement and parental overdose involvement.

Keywords: *parents, parental involvement, excessive involvement, teaching and learning*

მშობელთა გადაჭარბებული დოზით ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში

ქეთევან ადუიშვილი

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში აღწერილია სწავლა-სწავლების პროცესში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა და მისი როლი მოსწავლის სასკოლო გარემოს, აკადემიური მოსწრებისა და ქცევის გაუმჯობესებაში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის მაგალითზე სწავლა-სწავლების პროცესში მშობელთა ქარბი დოზით ჩართულობის გავლენაზე მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და მის ქცევებზე.

სტატიაში გააზრებულია მშობელთა ჩართულობის როლი მოსწავლის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში და მშობელთა ჩართულობის, როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგები. ასევე წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში მშობელთა ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები და საუბარია არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე.

სტატიაში წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი, რომლის საფუძველზეც ნათელი გახდა, რომ საქართველოში მშობელთა ქარბი დოზით ჩართულობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა და რომ მშობლები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა მშობელთა ჩართულობასა და მშობელთა ქარბი დოზით ჩართულობას შორის.

საკვანძო სიტყვები: მშობლები, მშობელთა ჩართულობა, გადაჭარბებული დოზით ჩართულობა, სწავლა-სწავლება

შესავალი

ბავშვების ჩამოყალიბებისა და აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა ჩართულობას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსწავლეთა ყოველდღიურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი კი სკოლაა, რომელსაც ფუნდამენტური როლი აკისრია მოსწავლეებისთვის განათლების მიღების პროცესში.

იმისათვის, რომ სკოლაში მოსწავლეებისთვის განათლების მიცემის პროცესს შესაბამისი ყურადღება დაეთმოს აუცილებელია როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში, რადგან საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება ბავშვების სასკოლო ცხოვრებაზე და აუმჯობესებს მათ აკადემიურ მიღწევებს, ყოველდღიურ დასწრებას და ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა სოციალური უნარების განვითარებას, როგორც სკოლაში, ასევე სახლში (USAID, 2015).

მშობელთა ჩართულობა ეს არის უწყვეტი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც სკოლაში ისე მის გარეთ. ზოგადად ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ მშობლების რეგულარულ მონაწილეობას გულისხმობს მრავალმხრივ კომუნიკაციაში, როგორცაა მოსწავლის სასწავლო პროცესი და სხვა სასკოლო ღონისძიებები. (G-PRIED, 2015).

მიუხედავად სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის დადებითი ეფექტებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი **პრობლემები** არსებობს, მაგალითად მშობლები ხშირ შემთხვევაში ნაკლებად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა იყვნენ ჩართულნი ბავშვების სწავლა-სწავლების პროცესში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლებმა არ იციან რა სიხშირით უნდა იყვნენ ჩართულები, რაც იწვევს მშობლების ქარბი დოზით ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, ეს კი უარყოფითად აისახება ბავშვების აკადემიურ მიღწევებზე, მათ ქცევებსა და სოციალურ ცხოვრებაზე.

ზემოთ აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, წინამდებარე **სტატიის მიზანია**, განხილულ იქნას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის მაგალითზე, თუ რა არის მშობელთა ჩართულობა და რა გავლენას ახდენს მათი ქარბი დოზით ჩართულობა ბავშვის აკადემიურ მოსწრებასა და მის სასკოლო ცხოვრებაზე. სტატიაში წარმოდგენილია სწავლა-სწავლების პროცესში მშობელთა ქარბი ჩართულობის დადებითი და უარყოფითი გავლენა მოსწავლეებზე. დასახელებული მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა **საკვლევი კითხვები**, კერძოდ:

1. რა პრობლემები არსებობს დღეს მშობელთა ქარბი დოზით ჩართულობასთან დაკავშირებით საქართველოში?
2. რა სიხშირით არიან ჩართულნი საქართველოში მშობლები ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში?
3. რა დადებითი და უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე მშობელთა ქარბი დოზით ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში?

დასახელებული საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება თვისებრივი და სამაგიდე კვლევის მეთოდებს. ამასთანავე, საკვლევ საკითხზე მუშაობის პროცესში ყურადღება გამახვილდა მშობელთა ჩართულობის შესახებ დღემდე არსებულ კვლევებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნული საკითხი დღესდღეობით არ არის საფუძვლიანად/სისტემურად შესწავლილი, შესაბამისად მასალებიც ნაკლებად არსებობს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ და გამოიკითხა, სკოლის მასწავლებლები. არსებული თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია შეკითხვებს.

მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა და ქარბი დოზით ჩართულობა

ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში ერთდროულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც მშობელი, ისე მასწავლებელი. სკოლა არის ადგილი, სადაც ხდება მოსწავლის ჩამოყალიბება საზოგადოების წევრად და ადგილი სადაც ის იღებს განათლებას.

სკოლასთან და მასწავლებელთან ერთად, გადამწყვეტ როლს თამაშობს მშობელი, ოჯახი, სადაც რეალურად ბავშვს უყალიბდება მორალური, ეთიკური შეხედულებები, სხვადასხვა პიროვნული თვისებები და სხვა (თამაზაშვილი, 2020).

ზოგადი განმარტებით „მშობელთა ჩართულობა“, ეს არის საერთო და უწყვეტი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სასკოლო მიღწევებსა და მათი ღონის გაუმჯობესებაზე, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ. „მშობელთა ჩართულობა“ მასწავლებლისა და მშობლის ერთობლივ ძალისხმევას გულისხმობს, იმისთვის, რომ მათ ხელი შეუწყონ სკოლაში მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას (USAID, 2015).

მკვლევართა უმეტესობა ერთმანეთისაგან რადიკალურად მიჯნავს: მშობლების სკოლაში ჩართულობასა და სწავლაში ჩართულობას (Ho and Williams, 1996, Maria Castro and others, 2015). გარდა ამისა მშობლების მიერ სწავლაში ჩართულობას ხშირ შემთხვევაში აკავშირებენ ისეთ ქმედებებთან, როგორიცაა, მშობლის მიერ ბავშვისათვის ინდივიდუალური დახმარების გაწევა სახლის პირობებში.

ჯოინერისა და კომერის მოსაზრების თანახმად, მშობელთა ჩართულობის ყველაზე ეფექტური ფორმები შემდეგია: (1) მშობლის მაღალი მოლოდინი შვილის მიღწევის მიმართ და (2) სწავლაზე ორიენტირებული და კომფორტული გარემოს შექმნა და ბავშვის სწავლის პროცესში ინტენსიური, თუმცა გონივრული ჩართულობა (Commer, Joyner&Ben Avie 2004).

მკვლევრები მშობლის ინტენსიურ ჩართულობას ასევე აიგივებენ მეთვალყურეობასთან, მაგალითად სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ მშობლის ინტენსიური ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, თუმცა ასევე აღსანიშნია, რომ მშობლის ხშირმა ჩართულობამ/მეთვალყურეობამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენაც კი იქონიოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე (ააიპ მშობლები განათლებისთვის, 2020).

დღეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი მშობელთა ჩართულობისა, რომელსაც უამრავი მკვლევარი ეყრდნობა, არის ეფშტეინის მოდელი, ერთგვარი ჩართო, რომელიც მოიცავს ექვს ძირითად ფაქტორს მშობელთა ჩართულობის. ეფშტეინის ჩარჩო დაფუძნებულია სხვადასხვა კვლევის შედეგებზე, რომელიც ეხება იმას, თუ რა ფაქტორებია ყველაზე ეფექტური ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით. ეფშტეინის მოდელში გაერთიანებულია: აღზრდა, კომუნიკაცია, მოხალისეობა, სახლში სწავლება, გადაწყვეტილებების მიღება და სკოლასთან/საზოგადოებასთან თანამშრომლობა (Maša Đurišić Mila Bunijevac, 2017).

მშობელთა ჩართულობის სამი ტიპი არსებობს: მაღალი, საშუალო და დაბალი ჩართულობა. ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ საშუალო და მაღალი ჩართულობის მშობლების შვილებს ახასიათებთ მაღალი აკადემიური მოსწრება, ვიდრე დაბალი ჩართულობის მშობლებს (ააიპ მშობლები განათლებისთვის, 2020).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მშობელთა ჩართულობის სიხშირე სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული, მაგალითად აშშ-ში 20 წლიანმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში, ხოლო საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მშობლების ჩართულობა მაღალია. გარდა ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული ჩართულობისა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისიც, რომ მშობლის ჩართულობის სიხშირე ხშირად თავად მშობლის განათლების დონესთან არის დაკავშირებული. რაც უფრო მაღალია მშობლის განათლების დონე, მით უფრო მაღალია მისი ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში.

რეალურად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მშობელთა სწორი და ღონივრებული ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლის ემოციურ განწყობაზე, მას დადებითი შეხედულება უყალიბდება სკოლისა და მასწავლებლების შესახებ, მეტად მოტივირებულია და შეუძლია საკუთარი გონებრივი, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაანალიზება და პრაქტიკაში გამოყენება. მოსწავლე მათად თავდაჯერებული ხდება, არ უჭირს საკუთარი აზრის საჯაროდ დაფიქსირება და არის მეტად დამოუკიდებელი, იცავს სკოლაში შემუშავებულ ქცევის ნორმებს და აუმჯობესებს საკუთარ აკადემიურ მიღწევებს.

ზოგჯერ მშობლის ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში გადაჭარბებულ ხასიათს იძენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მშობელს უჩნდება სურვილი მასწავლებელმა მეტი ყურადღება დაუთმოს

მის მიერ მიწოდებულ ინიციატივას და მის განხორციელებას (როგორია და როგორი უნდა იყოს მშობლის ჩართულობა შვილის სასწავლო პროცესში და სკოლის მიღმა, თ. გ.).

მაშინ, როცა მშობელი მუდმივად პასუხისმგებელია შვილზე და მიჯაჭვულია, ხშირად იგი არარაციონალურად ეკიდება შვილთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის შვილის სასკოლო ცხოვრებასა და განათლების საკითხებს. აღნიშნული კი იწვევს მისი ჭარბი დოზით ჩართულობას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასა და სწავლა-სწავლების პროცესში, რაც ქმნის არაკომფორტულ გარემოს, არა მხოლოდ სკოლისა და მასწავლებლისთვის, არამედ მოსწავლისთვის, რადგან იგი თავად ხდება მშობელზე დამოკიდებული, გარდა ამისა მოსწავლის ნეგატიური წარმოდგენა მასწავლებელზე შეიძლება სწორედ მასწავლებლის მიმართ მშობლის გადაჭარბებული მოთხოვნით იყოს გამოწვეული. მშობლის ჭარბი დოზით ჩართულობამ შეიძლება შეამციროს მოსწავლის მოტივაცია. გარდა ამისა მშობლის აქტიურმა ჩართულობამ მასწავლებელს შეიძლება მეტი ყურადღების გადატანა აიძულოს მის შვილზე, რაც იწვევს სხვა ბავშვების მეორე ადგილზე გადანაცვლებას და მათთვის ნაკლები ყურადღების დათმობას. ეს კი თავისთავად ქმნის არაკომფორტულ, უსამართლო და არაჯანსაღ გარემოს (როგორია და როგორი უნდა იყოს მშობლის ჩართულობა შვილის სასწავლო პროცესში და სკოლის მიღმა, თ. გ.).

როგორც უკვე აღინიშნა, მშობლის ჭარბი დოზით ჩართულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან მათი არასწორი ჩარევით მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასა და საგანმანათლებლო პროცესში, შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს მოსწავლის სასწავლო პროცესი, უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მის ქცევაზე, მოსწავლე გახდეს მეტად ჩაკეტილი, აგრესიული, მიჯაჭვული, გარდა ამისა შესაძლებელია, რომ მნიშვნელოვნად გაუარესდეს მოსწავლის აკადემიური მიღწევები, შესაბამისად აუცილებელია, რომ საკითხი სიღრმისეულად იქნას შესწავლილი, რომ არსებული პრობლემა გადაიჭრას.

თვისებრივი კვლევის ანალიზი

თვისებრივი კვლევა ჩატარდა სკოლის 10 პედაგოგთან, რომლებმაც ისაუბრეს იმის, შესახებ, თუ როგორია მშობელთა ჩართულობის სიხშირე საქართველოში და როგორ მოქმედებს მათი ჭარბი დოზით ჩართულობა მოსწავლეებზე. ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა, როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები, გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა და ჩართულობის სიხშირესთან დაკავშირებული პრობლემები.

ხშირ შემთხვევაში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ, როდესაც მოსწავლე მშობლის თანადგომას გრძნობს საქმის მიმართ მეტი პასუხისმგებლობა უყალიბდება და მეტად მოტივირებული ხდება. გარდა ამისა მშობელთა აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს კონკრეტული პრობლემის შემთხვევაში საკითხის დროულად მოგვარებას, მოსწავლეები ხდებიან მეტად მობილიზებულნი და იმატებს მათი აკადემიური მოსწრებაც, იცავენ სკოლაში დაწესებულ წესებს და უვითარდებათ პატივისცემისა და თანამშრომლობის უნარი. რესპონდენტები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჩართულობა აუცილებლად უნდა იყოს ზომიერი და ამით არ მოხდეს მასწავლებლების კომპეტენციაში უხეში ჩარევა.

ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საქართველოში მშობელთა ჩართულობის ორ სახეს ვხვდებით, მშობლები, რომლებიც საერთოდ არ არიან ჩართულნი შვილების სწავლა-სწავლების პროცესში და მშობლები, რომლებიც გამოირჩევიან ჰიპერმზრუნველობით. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებულნი „მშობელთა ჩართულობის“ მნიშვნელობის და მიზნის შესახებ. „მშობელთა ჩართულობის“ არასწორი გაგება კი იწვევს იმას, რომ მათთვის ჩართულობა ასოცირდება მასწავლებლის კონტროლთან, მის კომპეტენციაში ჩარევასთან, პედაგოგების კრიტიკასა და მოსწავლეების დავალებების მათ მიერ შესრულებასთან.

კითხვაზე, თუ რაში გამოიხატება მშობელთა ჭარბი დოზით ჩართულობა, პედაგოგები ასახელებენ ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა მასწავლებლის კომპეტენციაში უხეში ჩარევა, მშობლების მიერ გადაწყვეტილებების ბავშვისგან დამოუკიდებლად მიღება და ბავშვის ინტერესების სრული უგულვებელყოფა.

კვლევის მონაწილეებმა ინტერვიუში დაასახელეს ჭარბი ჩართულობის რამდენიმე ყველაზე გავრცელებული მაგალითი პირადი პრაქტიკიდან. რამდენიმე მასწავლებელმა განაცხადა, რომ

მას მშობელი მუდმივად სთხოვდა გაკვეთილზე დასწრებას, გარდა ამისა მშობლები ხშირად მასწავლებლის ფუნქციის შესრულებას ცდილობენ, რაც აზიანებს, როგორც სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტს, ისე არღვევს სკოლის შინაგანაწესს.

კითხვაზე, თუ როგორ მოქმედებს მშობელთა ჭარბი დოზით ჩართულობა მოსწავლის ქცევასა და სასკოლო ცხოვრებაზე, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მშობელთა ჭარბი დოზით ჩართულობა იწვევს ბავშვის უფლებების ხელყოფას, ბავშვს ხდის სრულად მშობელზე დამოკიდებულს და ნაკლებად უვითარდებათ სოციალური უნარ-ჩვევები.

ბავშვი ამ შემთხვევაში იბოჭება, ასევე ამან შეიძლება მოსწავლე ამპარტავანიც კი გახადოს, გარდა ამისა არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსწავლე საკუთარი „სიძლიერის“ გამოხატვას აგრესიული ქცევებით ახდენს სასკოლო ცხოვრებაში, ნაწილი მოსწავლეებისა კარგავს საკუთარი თავის რწმენას და მთლიანად მშობლის ზეგავლენის ქვეშ ექცევა, მოსწავლე სათანადოდ ვერ ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს და უქვეითდება თვითშეფასება. უჩნდება მიჯაჭვულობის სინდრომი და ფიქრობს, რომ მას დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება შეუძლია, მათ უყალიბდებათ კომპლექსები და ემინიანთ შეცდომების დაშვების, შესაბამისად ვერ ახდენენ თავიანთი ცოდნისა და ინტერესების საჯაროდ დემონსტრირებას, ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე.

რაც შეეხება კითხვას, თუ რა ძირითადი პრობლემები არსებობს დღეს საქართველოში მშობელთა გადაჭარბებულ ჩართულობასთან დაკავშირებით და როგორ შეიძლება არსებული პრობლემების გადაწყვეტა, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ პირველ რიგში მშობლებმა უნდა გააცნობიერონ რეალურად რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა, ხშირად მშობლების სურვილი, რომ თავისი შვილი საუკეთესო იყოს ყველაფერში იწვევს იმას, რომ მშობელი არ ითვალისწინებს მოსწავლის სურვილებს და შესაძლებლობებს, არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემა სკოლასა და მშობელს შორის სწორი კომუნიკაციის. მშობლის ჭარბ ჩართულობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება ის, რომ მშობელი ხშირად უხეშად ერევა შვილის მიერ სამომავლო პროფესიის არჩევის პროცესში, ხშირად მშობლები ეჭვქვეშ აყენებენ მასწავლებლის კვალიფიკაციას და არ ითვალისწინებენ მასწავლებლის ინტერესებს. ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მშობლის ჭარბი ჩართულობა ყველაზე კარგად გამოიკვეთა ონლაინ სწავლის პირობებში, რადგან ხშირად მშობელი გვერდით უზის მოსწავლეს და კარნახობს იმას, თუ რა პასუხი გასცეს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვას.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მთავარ გზად კი რესპონდენტები მიიჩნევენ ისეთ მიდგომებს, როგორიცაა, საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ მშობლის ცნობიერების ამაღლება მშობელთა ჩართულობის შესახებ, ფსიქოლოგის ჩართვა, რომელიც იმუშავებს მშობლებთან და მოსწავლეებთან, სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და მშობლების მიერ იმის გააზრება, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს მოსწავლეს მისმა ჭარბმა ჩართულობამ.

ხოლო ბოლო კითხვას, თუ როგორ უნდა მოხდეს მშობელთა ჩართულობის დაბალანსება, რომ თავიდან ავირიდოთ ჭარბი დოზით ჩართულობა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ყველა მხარემ კარგად უნდა შეისწავლოს თავიანთი უფლებები, ყველა ქმედება უნდა განხორციელდეს მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთშეთანხმებით, კანონმდებლობისა და წესდების დაცვით, მშობლების მხრიდან უნდა მოხდეს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება, ასევე ხშირად უნდა ჩატარდეს შეხვედრები და ტრენინგები, იმისათვის, რომ მხარეებმა გააცნობიერონ რამდენად მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა და უნდა გააცნობიერონ მშობლის სწორი და ჭარბი ჩართულობის შედეგები.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მშობელთა ჭარბი დოზით ჩართულობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს, რომლის დროული მოგვარებაც აუცილებელია, რათა შემდგომში ამან უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას, სასკოლო ცხოვრებასა და მათ ქცევაზე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია, რომ სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების საშუალებით მშობლებს ავუმაღლოთ ცნობიერება მშობელთა წარმატებული ჩართულობის შესახებ, ჩამოყალიბდეს სწორი კომუნიკაცია მშობელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, აუცილებელია მშობლებისა და მასწავლებლების შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა და სკოლის ფსიქოლოგებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა მშობლებმა მეტი გაიგონ იმის შესახებ, თუ სად გადის ზღვარი მშობელთა ჩართულობასა და მშობელთა ჭარბი დოზით ჩართულობას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

- აიპ მშობლები განათლებისთვის. (2020). მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრაქტიკის კვლევა. თამაზაშვილი, მ. (2020). სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვა საუკეთესო . „ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.
- კილაძე, ო. (2019). მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი.
- მშობელთა ჩართულობის ეფექტური სტრატეგიები . (თ. გ.). მოპოვებული mastsavlebeli.ge: <http://mastsavlebeli.ge/?p=19858>-დან
- როგორია და როგორი უნდა იყოს მშობლის ჩართულობა შვილის სასწავლო პროცესში და სკოლის მიღმა. (თ. გ.). მოპოვებული 2022 წლის 06 02, edu.aris.ge: <https://edu.aris.ge/news/rogoria-da-rogori-un-da-iyos-mshoblis-chartuloba-shvilis-saswavlo-processhi-da-skolis-migma.html>-დან
- G-PRIED. (2015). მშობელთა ჩართულობა. თბილისი.
- Maša Đurišić Mila Bunijevac. (2017). Parental Involvement as a Important Factor for Successful Education. San Diego State University. (n.d.). Parent Involvement. Retrieved from newscenter.sdsu.edu: <https://newscenter.sdsu.edu/education/parent/involve.aspx>
- USAID. (2015). მშობელთა ჩართულობა. თბილისი.
- Waterford. (2018, september 1). How Parent Involvement Leads to Student Success. Retrieved from Waterford.org: <https://www.waterford.org/education/how-parent-involvement-leads-to-student-success/>

USING FORMATIVE ASSESSMENTS IN THE TEACHING PROCESS

Darina Khuroshvili

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

Assessment is an important tool not only for the student, but also for the teacher. By means of evaluation, it is possible to check the dynamics of the student's development and evaluate his academic performance. Assessment plays an important role in both diagnosing and improving outcomes. This checks the quality of teaching and how effectively the planned learning-teaching process is being carried out (G-pride, usaid).

According to the national curriculum, formative assessment is used at the primary level. This kind of assessment is particularly important, because at this time, students are evaluated by their own achievements, which helps them gradually overcome difficulties. The teacher observes each student, learns their needs in order to facilitate their progress as much as possible. After each task, the teacher gives the student a precise and clear indication of what went wrong and how to work in order not to make a similar mistake again. (Giorgobiani, K., Vygotsky's Theory and the importance of formative assessment in primary grades). Therefore, such assessment is quite effective and should make it easier for the student to master this or that issue.

The purpose of the paper is to reveal how formative assessment is carried out in Georgian reality, whether they know how to use it correctly, and whether this tool is effective in assessing the student's development dynamics and improving the quality of learning. That's why, on the example of one of the schools, we will get acquainted with practical examples and try to find out the role of formative assessment in the teaching process and how well the teachers understand what it is.

The results of the research showed that in some cases, feedback is incorrectly implemented by the teachers. In particular, general positive phrases are mostly used, and not specifically what they liked, what needs to be improved, etc. Improperly used feedback will not improve the quality of teaching, which is one of the important functions of formative assessment.

Keywords: *formative assessment, verbal comment, feedback, evaluation, general education*

განმავითარებელი შეფასების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში დანებით საფუძვრზე

დარინა ხუროშვილი

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

შეფასება არა მხოლოდ მოსწავლისათვის, არამედ მასწავლებლისათვისაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მისი საშუალებით შესაძლებელია შემოწმდეს მოსწავლის განვითარების დინამიკა და შეფასდეს მისი აკადემიური მოსწრება. შეფასებას მნიშვნელოვანი როლი უკავია როგორც შედეგების დიაგნოსტიკაში, ასევე გაუმჯობესებაში. ამით მოწმდება სწავლების ხარისხი და ის, თუ რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს დაგეგმილი სწავლა- სწავლების პროცესი (G-pride, usaid).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. ამგვარი შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, რაც ეხმარება მას სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვაში. მასწავლებელი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს, სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. ყოველი დავალების შემდგომ პედაგოგი მოსწავლეს აძლევს ზუსტ და მკაფიო მითითებას, თუ რა შეეძალა და როგორ იმუშაოს, რათა შემდგომში აღარ დაუშვას მსგავსი შეცდომა (გიორგობიანი, ქ., ვიგოტსკის თეორია და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა დაწყებით კლასებში). ამიტომ, თითოეული ასეთი შეფასება საკმაოდ ეფექტიანია და წესით უნდა უადვილებდეს მოსწავლეს ამა თუ იმ საკითხის ათვისებას.

კვლევის მიზანია გაარკვიოს, თუ როგორ ხორციელდება განმავითარებელი შეფასება ქართულ რეალობაში, იცინ თუ არა მისი სწორად გამოყენება და ეფექტურია თუ არა მოსწავლის განვითარების დინამიკის შეფასებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში აღნიშნული ინსტრუმენტი. სწორედ ამიტომ, სტატიაში წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითები ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე, რათა გაირკვეს რა როლი აქვს განმავითარებელ შეფასებას საგაკვეთილო პროცესში და რამდენად სწორად ესმით მასწავლებლებს რა არის იგი.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, შეფასება, ეფექტური უკუკავშირი.

შესავალი

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუ გვინდა, რომ ეფექტური იყოს სწავლა, საჭიროა ხშირად შევამოწმოთ და შევაფასოთ მოსწავლის ნამუშევარი. G-pride-ის სახელმძღვანელოში საუბარია განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და ფორმებზე, რომელიც მოიცავს მიმდინარე დაკვირვებებს, შემოწმებას, შეჯამებებს და განხილვას. ეს ყველაფერი მასწავლებელს აწვდის ინფორმაციას, რაც აუცილებელია მოსწავლის პროგრესის შემოწმების პროცესში და რის საფუძველზეც მოსწავლეები იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს (G-pried, usaid). ეს ყველაფერი სულაც არ მოითხოვს დიდ დროს, პროექტებისა და თხზულებების წერას, რათა მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლის პროგრესი. ზემოთხსენებულ სახელმძღვანელოში აღწერილია არაერთი მეთოდი, რომელიც ეხმარება პედაგოგს ყოველდღიურ მუშაობაში გააკეთოს განმავითარებელი შეფასება.

შესაძლებელია დაისვას კითხვა: რატომ განმავითარებელი შეფასება?

იგი ეხმარება მოსწავლეებს თვითმონიტორინგს, აცნობიერებენ თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას, ხოლო მასწავლებელი აფასებს გაკვეთილების ეფექტურობას, იღებს ინფორმაციას სწავლების პროცესში დაუყოვნებლივ ან მოგვიანებით შესატანი ცვლილებების შესახებ და ადეკვატურად არჩევს მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს. G-pride-ის მიხედვით, „ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით, მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა და უნარების გაწაფვაში?“. როგორც ვხედავთ, ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება აუცილებელია, რათა მასწავლებელმა შეძლოს სასურველი შედეგის მიღწევა.

განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმებია ზეპირი და წერილობითი კომენტარები, რომელიც აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამავდროულად შეიცავს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ. მიმდინარე განმავითარებელი შეფასებები გამოიყენება ყოველდღიური დავალებების შესრულებისას, გაკვეთილზე ჩართულობისას, ახალი მასალის ათვისებისას და ა.შ. ცხადია, შეფასებისას აუცილებლად იგულისხმება კონსტრუქციული უკუკავშირი (ტყემალაძე, 2011).

მარინა ხუნძაყიშვილი „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ განმარტავს, რომ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მასწავლებელს ეხმარება არა მხოლოდ მოსწავლის პროგრესის შეფასებაში, არამედ მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით დიფერენცირებული სწავლების აქტივობების დაგეგმვაში. აქვე აღნიშნულია, რომ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო გარემო, ეს არის გარემო, სადაც სწავლობს მოსწავლე და კლასში არსებული ყველა სასწავლო რესურსისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნის მისაღწევად.

სტატიაში ხსენებული ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ შეფასებისთვის მრავალმხრივი საშუალებებია: ზეპირი გამოკითხვა, წერილი საშუაო, შეკითხვები, პრეზენტაცია, პროექტი, პორტფოლიო, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, ავტოსადგომი, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები და ა.შ ამასთან, ყველა თანხმდება, რომ შეფასება აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, რაც ნიშნავს, რომ მაწავლებელი უნდა აფასებდეს მხოლოდ იმას, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. მაგ.: თუ მხოლოდ არსებითი სახელის ჯგუფებს ამოწმებს, არ უნდა შეაფასოს პუნქტუაცია. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, რასაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმები განაპირობებს და გამჭვირვალე, რა დროსა ყველა დაინტერესებულ პირს მიუწვდება ხელი მასზე.

სოფიო გორგოძე სტატიაში „ეფექტური განმავითარებელი შეფასება“ და ეთერ სოლომონიძე სამაგისტრო ნაშრომში „განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაში“ იშველიებენ იმ მეთოდებს, რომლებიც აღწერილია დასახელებულ სახელმძღვანელოებში და მის ეფექტურობაშიც არწმუნებენ მკითხველს. სწორედ ამიტომ, საინტერესოა თუ როგორ იყენებენ მას პრაქტიკაში დაწყებითი კლასების მასწავლებლები, როგორ ხორციელდება განმავითარებელი

შეფასება ქართულ რეალობაში და ეფექტურია თუ არა მოსწავლის განვითარების დინამიკის შეფასებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში აღნიშნული ინსტრუმენტი. ამის გასარკვევად კვლევა ჩატარებულია ერთ-ერთ კერძო სკოლაში, სადაც მასწავლებლებმა ისაუბრეს საკუთარი გამოცდილებაზე (დაწყებითი საფეხურის 6 მასწავლებელი).

როგორც აღმოჩნდა, დაწყებით კლასებში განმავითარებელი შეფასებისათვის პედაგოგები იყენებენ ზეპირ და წერილობითი კომენტარებს, უკუკავშირს, ერთნუთიან ესეს, დაკვირვებას, გამოსაძახებელ ჩხირებს და შეკითხვების დასმას. მხოლოდ ორმა მათგანმა აღნიშნა, რომ იყენებს პასუხის ფურცელს (მოსწავლე წერს მოკლე პასუხს და მასწავლებლის ნიშანზე ყველა ერთდროულად სწევს მაღლა, რათა მასწავლებელმა დაინახოს) და დიახ/არა ბარათებს, რომელიც კარგი მეთოდია დახურული ტიპის კითხვებზე საპასუხოდ და ფაქტობრივი ცოდნის შესამოწმებლად.

რაც შეეხება ეფექტურობას, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ შეფასების ეს მეთოდი კარგად აჩვენებს მასწავლებელს მოსწავლის ძლიერსა და სუსტ მხარეებს, ეს ყველაფერი კი დიფერენცირების საშუალებას იძლევა – თვალსაჩინოა, რაზე სჭირდება მუშაობა მოსწავლეს და შესაბამისად, იღებს ისეთ ინსტრუქციას, რომელიც დაეხმარება კონკრეტული საკითხის უკეთ გაგებაში. თავად მოსწავლეს კი აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად იმუშაოს, მიღოს ინდივიდუალური უკუკავშირი და არ დარჩეს ბუნდოვანი ესა თუ ის დავალება.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. იმისათვის, რომ იყოს მსჯელობის საშუალება, რათა გაირკვეს, თუ რამდენად სწორად აფასებენ მასწავლებლები მოსწავლეებს, სტატიაში განხილულია ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ კი განმავითარებელი კომენტარები. ის უკუკავშირი, რასაც მოსწავლეები იღებენ საგაკვეთილო პროცესში. ცხადია, ასეთი მცირე მასშტაბის დაკვირვება სრულყოფილად ვერ ასახავს ზოგად სურათს, მაგრამ იგი დაინტერესებულ პირს დაეხმარება იმაში, რომ განასხვავოს ერთმანეთისაგან ეფექტური და არასწორი უკუკავშირი.

საილუსტრაციოდ, სტატიაში მოცემულია მასწავლებელთა მიერ დაწყებით კლასისის მოსწავლეებისთვის გაცემული განმავითარებელი შეფასება – წერილობითი კომენტარი: „ყოჩაღ ლიზა, დავალება მომეწონა, გილოცავ. მიხარია რომ მყავხარ“. „ჩემო საყვარელო პეტრე, მიხარია რომ ცდილობ და იმედი მაქვს შემდეგში უფრო გაუმჯობესებ შედეგს“. „შენ ხარ ჩემი ჟღერტულა გოგო“. აღნიშნული მაგალითები გამოდგება იმისათვის, რომ ხაზგასმით ვაჩვენოთ როგორი არ უნდა იყოს უკუკავშირი. ე.წ. პოზიტიური სიტყვების წერა არასწორი შეხედულებაა განმავითარებელი შეფასების შესახებ. თუკი მოსწავლეს მასწავლებელი ეტყვის: „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და ზუსტად არ განუმარტავს, რა გააკეთა კარგად, მაშინ შექება ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. შეფასება უნდა იყოს მკაფიო, რათა მოსწავლე მიხვდეს რა გააკეთა სწორად და თუ რამე შეეშალა, როგორ მოიქცეს, რომ მსგავსი შეცდომა არ გაიმეოროს ყოველ დავალებაში. ასე, მაგალითად: „თორნიკე, კარგია რომ იფიქრე რა შეიძლება მომხდარიყო თუკი პერსონაჟი არ შეიცვლიდა ქცევას, თუმცა შენი პასუხი ძალიან მოკლე გამოვიდა. უკეთესი იქნებოდა პასუხი დაგეწყო ასე: ჩემი აზრით, ლუკას პლანშეტი რომ არ გაჰფუჭებოდა...“ „სალომე, შეკრების ყველა მაგალითი სწორად გაქვს შესრულებული, ყოჩაღ! გირჩევ, ცხრილის გადახაზვისას ყურადღებით დათვალო სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა, რათა შენი ნამუშევარი იყოს უფრო სუფთა.“ „ნინი, შენ კარგად გაართვი თავი დავალებას. ამბის თანამიმდევრობა დაცული გაქვს, შენს ნაწერში აბზაცებიც სწორადაა გამოყოფილი და ყველა წინადადება გამართულია“. ნათელია, რომ ამ უკუკავშირში მკაფიოდ და გასაგებად არის აღწერილი რა გააკეთეს მოსწავლეებმა კარგად და რაში იმსახურებენ შექებას, ხოლო რაც გამოსასწორებელია, იმაზე მიიღეს კიდევ მითითებები. მოსწავლის შეფასების მიზანი ხომ სწავლა – სწავლების ხარისხის მართვაა, რაც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას და სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების თანაბარ პირობებში ჩაყენებას. (ჯაყელი, თ., წერისა და კითხვის ეფექტური მეთოდები).

ამგვარად, განმავითარებელი შეფასების მიზანია მასწავლებელმა დაადგინოს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი, დაადგინოს მოსწავლის არსებული დონე, გამოავლინოს აუთვისებელი მასალა და დაგეგმოს პროგრესი და მიიღოს ინფორმაცია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შესახებ. ამიტომ, მისი გამოყენება ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში ეფექტიანს ხდის სწავლა – სწავლების პროცესს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგები უფრო მეტი გულისყურით მოეკიდონ ამგვარ შეფასებას და მკაფიო და ზუსტი მიმართულებები მისცეს მოს-

წავლევებს. ცხადია, ამან რომ შედეგი გამოიღოს, აუცილებელია რომ პედაგოგები სწორად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას როგორც ინსტრუმენტს. ისიც საგულისხმოა, რომ მიდგომა უნდა იყოს უფრო კომპლექსური და ამ მიმართულებით ბევრია სამუშაო. სასურველია, რომ პედაგოგებს მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გაუზიარონ ერთმანეთს თავისი ცოდნა და გამოცდილება, რათა სწორად გაიგონ განმავითარებელი შეფასების არსი. გაეცნონ ლიტერატურას და დანერგონ იგი ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დარჩება მხოლოდ უბრალო სიტყვებად, რომელიც არანაირ სარგებელს არ მოუტანს არც მოსწავლეს და არც მასწავლებელს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბივერი, ს., ხუნდაყიშვილი, მ. (2018). განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებულ სწავლება, თბილისი: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

გოგოლაძე, მ., გვარამაძე, ნ. (29 მაისი, 2020 წელი). განმავითარებელი შეფასება როგორც მოტივაციის ინსტრუმენტი, *mastsavlebeli.ge*, მოძიებულია 2021 წლის 23 ოქტომბერს <http://mastsavlebeli.ge/?p=26106>

გიორგობიანი, ქ. (2010, 13 ივნისი). ვიგოტსკის თეორია და განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა დაწყებით კლასებში, *www.education.ge*, <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=643>, მოძიებულია 2021 წლის 23 ოქტომბერს

გორგოძე, ს. (2016, 26 ოქტომბერი). ეფექტური განმავითარებელი შეფასება, *mastsavlebeli.ge*, <http://mastsavlebeli.ge/?p=11953>, მოძიებულია 2021 წლის 23 ოქტომბერს

ეროვნული სასწავლო გეგმა, ბრძანება 40/ნ, 18/05/2016, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სოლომონიძე, ე. (2019). განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სიჭაური, <https://openscience.ge/bitstream/1/373/1/samagisto%20solomonidze.pdf>, მოძიებულია 2021 წლის 23 ოქტომბერს

ტყემალაძე, რ. (2011). სწავლება და შეფასება, თბილისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ჯაყელი, თ. (2011). წერისა და კითხვის ეფექტური მეთოდები, თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. (2015), G-pried, usaid.

STUDENT-CENTERED TEACHING

(CASE OF EAST EUROPEAN UNIVERSITY)

Rusudan Cherkezishvili, Tamar Tkhelidze

Master Degree Students of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

Along with the development of higher education, the promotion of "student-centered teaching" becomes a high priority. Accordingly, Georgian higher education institutions are trying to implement approaches that ensure the creation of a comfortable learning environment and the maximum involvement of students in the learning process. The mentioned research aims at the analysis of **"student-centered teaching" on the example of East European University**. The research was carried out in four main directions: satisfaction with EEU's student-oriented services; EEU student engagement and the possibility of free choice; active learning and assessment in EEU; EEU learning environment. The quantitative method was chosen as the research method, and the GOOGLE FORMS self-administered questionnaire was the tool for collecting information.

The results of the research revealed that the majority of students positively evaluate the learning environment at the university. Space equipped with modern infrastructure, library services, and information technologies is available for students. It should also be noted that the university campus is equipped with equipment necessary for the comfortable movement of persons with disabilities.

Students positively evaluate the relationship with professors and teachers and note that various interactive methods and digital technologies are used in the teaching process. Appeal procedures have been implemented in the university and the rights and freedoms of students are taken into account.

The results of the research helped us to develop some recommendations. However, it should be noted that, according to the analysis of the general indicators, student-oriented teaching approaches have been successfully implemented at East European University.

Keywords: *students, oriented, teaching, services*

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგალითზე)

რუსუდან ჩერქეზიშვილი, თამარ თხელიძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

უმაღლესი განათლების განვითარებასთან ერთად, მეტად პრიორიტეტული ხდება „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების“ ხელშეწყობა. შესაბამისად, ქართული უმაღლესი განათლების დაწესებულებები ცდილობენ, დანერგონ ისეთი მიდგომები, რომლითაც უზრუნველყოფენ კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას და სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების“ ანალიზს ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგალითზე. კვლევა განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: EEU-ს სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებით კმაყოფილება; EEU-ს სტუდენტთა ჩართულობა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა; EEU-ში აქტიური სწავლება და შეფასება; EEU-ს სასწავლო გარემო. კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი, ხოლო ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტს წარმოადგენდა GOOGLE FORMS-ის თვითადმინისტრირებადი ანკეტა-კითხვარი.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო გარემოს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სივრცე, საბიბლიოთეკო სერვისები, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის კამპუსი აღჭურვილია შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირების კომფორტული გადაადგილებისთვის საჭირო ინვენტარით.

სტუდენტები დადებითად აფასებენ პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობას და აღნიშნავენ, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ინტერაქციული მეთოდები და ციფრული ტექნოლოგიები. უნივერსიტეტში დანერგილია აპელაციის პროცედურები და გათვალისწინებულია სტუდენტთა უფლებები და თავისუფლებები.

კვლევის შედეგების მეშვეობით შემუშავებულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საერთო მაჩვენებლების ანალიზის მიხედვით, ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში წარმატებულადაა დანერგილი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, ორიენტირებული, სწავლება, სერვისები

შესავალი

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების“ ცნებას. თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან სტუდენტებისთვის კომფორტული და სასიამოვნო სასწავლო გარემო. რაც თავისთავად გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების, სერვისების, მომსახურების, ინფრასტრუქტურის, არჩევანის შესაძლებლობის არსებობას. აღნიშნული საკითხი განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, თანდათან უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო ხდება. დოკუმენტში „ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ ზუსტადაა განმარტებული „სტუდენტზე ორიენტირებული“ სწავლების შინაარსი „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს სტუდენტების ჩართვას სასწავლო პროცესში, სწავლების შინაარსის დაგეგმვასა და შეფასებაში, მათი მონაწილეობის, მათთან კონსულტაციისა და მოლაპარაკების გზით. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სტუდენტების საჭიროებებს და ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას ანიჭებს“ (ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში).

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში (ESG 2015). განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სტანდარტს და სახელმძღვანელო პრინციპებს:

1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება

სტანდარტი: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ისეთი გზით მიწოდება, რაც წახალისებს სტუდენტებს შეასრულონ აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. ამასთან, სტუდენტების შეფასებამ უნდა ასახოს ეს მიდგომა.

სახელმძღვანელო პრინციპები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის მოტივაციის, თვით-რეფლექციისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირებაში. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება, ასევე შედეგების შეფასება განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს. დაწესებულება პატივს სცემს და ზრუნავს სტუდენტების მრავალფეროვნებასა და მათ საჭიროებებზე; საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს და იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებულ ფორმებს; მოქნილად იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მეთოდებს; რეგულარულად აფასებს და შესაბამისობაში მოჰყავს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ფორმები და პედაგოგიური მეთოდები; ავითარებს სტუდენტებში ავტონომიურობის გრძნობას და ამავდროულად, უზრუნველყოფს ადეკვატურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას მასწავლებლების მხრიდან; ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობაში; ქმნის შესაბამის პროცედურებს სტუდენტური საჩივრების განსახილველად“ (ESG: 2015).


აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ანალიზი. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რამდენად არის უნივერსიტეტში შექმნილი სტუდენტზე მორგებული სასწავლო გარემო. რომელი სერვისებით უზრუნველყოფს დაწესებულება სტუდენტებს და რამდენად არიან ჩართულები საგანმანათლებლო და ხარისხის მართვის პროცესებში. საკვლევი საკითხების დიფერენცირება მოხდა სხვადასხვა მიმართულებით. საკვლევი საკითხები: EEU-ს სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებით კმაყოფილება; EEU-ს სტუდენტთა ჩართულობა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა; EEU-ში აქტიური სწავლება და შეფასება; EEU-ს სასწავლო გარემო.

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი, ხოლო ინფორმაციის შეგროვება მოხდა GOOGLE FORMS-ის თვითადმინისტრირებადი ანკეტა-კითხვარის მეშვეობით. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე ქართველი სტუდენტები; აღსანიშნავია, რომ კვლევის ჩატარების პერიოდში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 947-ს. გამოპასუხების კოეფიციენტი არის – 100 სტუდენტი (გამოპასუხების პროცენტული მაჩვენებელი – 10.5%).

კვლევის შედეგები (სასწავლო გარემო)

სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები (EEU-EL, MS Teams და სხვა) – 82%. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სივრცე (აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და სხვა) – 93%; სტუდენტებისთვის საბიბლიოთეკო სერვისები ხელმისაწვდომია არასამუშაო დღეებში და საათებში (შაბათი, 6 საათის შემდეგ...) – 83%; უნივერსიტეტის კამპუსი აღჭურვილია შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირების კომფორტული გადაადგილებისთვის საჭირო ინვენტარით – 91% (იხ. დანართი 1).

დიაგრამა №1 – სასწავლო გარემო



კვლევის შედეგები – სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები

უნივერსიტეტის თანამშრომლები ზედმეტი ბიუროკრატიული გართულების გარეშე უწევენ სტუდენტებს მომსახურებას – 90%; უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სტაჟირების პროგრამებში/პრაქტიკებში – 84%; უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს – 87%; უნივერსიტეტი სხვადასხვა გზით (კვლევითი გრანტები, კონფერენციები და სხვა) ხელს უწყობს სტუდენტების კვლევით საქმიანობას – 88%.

კვლევის შედეგები – ჩართულობა და თავისუფალი არჩევანი

სტუდენტთა 26% აღნიშნავს, რომ, არ შეუძლიათ პროფესორ-მასწავლებლებს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთება; სტუდენტთა 18% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს არ სთავაზობს არჩევით სასწავლო კურსებს; უნივერსიტეტი სხვადასხვა მექანიზმებით (ომბუდსმენის ოფისი, აპელაციის პროცედურები და სხვა) ზრუნავს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე – 77%; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა გაერთიანებები (სტუდენტური თვითმმართველობა, კლუბები) – 83%; უნივერსიტეტი იცავს სხვადასხვა უმცირესობების (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და ა.შ.) წარმომადგენელი სტუდენტების ინტერესებს 82%.

კვლევის შედეგები – აქტიური სწავლება და შეფასება

პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების ინტერაქციულ მეთოდებს (ჯგუფური მუშობა/პროექტებით სწავლება/ქეისები და სხვა) 83%; ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა იძლევა სწავლებისას სტუდენტთა თანაბარი ჩართულობის საშუალებას 86%; პროფესორ-მასწავლებლები სწავლებისას იყენებენ ინფორმაციულ, ციფრულ ტექნოლოგიებს 86%; პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან სისტემებს/მეთოდებს 82%; უნივერსიტეტს აქვს მიღებული შეფასების გასაჩივრების სამართლიანი პროცედურები 82%; პროფესორ-მასწავლებლების მიერ იგრძნობა პატივისცემა და მზრუნველობა სტუდენტების მრავალფეროვნებისა და მათი საჭიროებების მიმართ 86%.

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები, თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სივრცეები. ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო სერვისები, ადაპტირებული გარემოა შშმ პირთა სასწავლო პროცესში ინტეგრაციისთვის. დაწესებულებაში არ არსებობს ბიუროკრატიული ბარიერები; უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებში კვლევითი პოტენციალის გაზრდას. სტაჟირებისა და გაცვლით პროგრამებში ჩართულობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ავტონომიურობას და თავისუფალი არჩევანის უფლებას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მრავალფეროვან ღონისძიებებსა და აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობას; პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს; პროფესორ-მასწავლებლები ქმნიან ადაპტირებულ სასწავლო გარემოს და ითვალისწინებენ ყველა სტუდენტის მოთხოვნილებას მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით; უნივერსიტეტს აქვს მიღებული შეფასების გასაჩივრების სამართლიანი პროცედურები;

რეკომენდაციების სახით უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნება თუ გაიზრდება პროფესორ-მასწავლებლებს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ასევე დაწესებულებამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს უფრო მეტად მრავალფეროვანი არჩევითი სასწავლო კურსები. კარგი იქნება თუ სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, განხორციელდება შესაბამისი ტიპის საინფორმაციო შეხვედრები/ვორკშოპები, დაინერგება ტრენინგები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას. ასევე რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას ისიც, რომ პროფესორ-მასწავლებლებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებში თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების უნარების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა (2015), თბილისი, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, ESG 2015

ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში

TEACHERS ATTITUDE ON “THE SCHEME OF TEACHER’S PROFESSIONAL DEVELOPMENT AND CAREER PROGRESS”

Tamta Nikabadze

Master’s degree Student in Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

The profession of a teacher is the subject to regulation for the State. One of the important reforms that was implemented during the last decade, was creating “The Scheme of Teacher’s Professional Development and Career Progress”, which aims for as increasing the qualification and motivation of the teachers who are already in profession, so enhancing the prestige of this profession and drawing the best, new people in this profession. This paper expresses the attitudes of teachers on this Scheme. The research has been made twice. 16 teachers participated in it in 2021, and 15 teachers – in 2022. The teachers taking place in the research were chosen with the random selection. The self-administered questionnaire was used for gathering information, and qualitative research method. The biggest part of the teachers participating in the research name the chance of professional development and increasing the motivation as the positive sides of the scheme. However, they mention much more things in the scheme, that needs to be improved, like teachers being in unequal conditions, the vagueness caused by the constant changes in the scheme, the sense of instability etc. Finally, the biggest part of the participating teachers evaluate the Scheme as mostly negative. As they define, it is essential the scheme to be more successive and the resources to be directed towards the needs of teachers.

Keywords: *professional development of the teachers, the scheme of career progress, general education*

მასწავლებელთა დამოკიდებულება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისადმი“

თამთა ნიქაბაძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,

ნაშრომის ხელმძღვანელი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მასწავლებლის პროფესია, სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესიაა. ბოლო წლებში განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმაა „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს როგორც არსებული კადრების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას, ასევე ზოგადად ამ პროფესიის პრესტიჟის ზრდას და საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მასწავლებელთა დამოკიდებულებებს აღნიშნული სქემისადმი. კვლევა სულ ორჯერ ჩატარდა. 2021 წელს მასში მონაწილეობდა 16 მასწავლებელი, ხოლო 2022 წელს – 15. კვლევაში მონაწილე მასწავლებლები შემთხვევითი შერჩევით შეირჩნენ. მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა თვითადმინისტრირებადი ანკეტა-კითხვარი და თვისებრივი კვლევის მეთოდი; კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა დიდი ნაწილი სქემის დადებით მხარედ პროფესიული განვითარების მანსა და მოტივაციის ზრდას ასახელებენ. თუმცა, გაცილებით მეტია მათ მიერ აღნიშნულ სქემაში დანახული გასაუმჯობესებელი მხარეები, როგორიცაა მასწავლებლების არათანაბარ პირობებში ყოფნა, სქემის მუდმივი ცვლილებებით გამოწვეული ბუნდოვანება და არასტაბილურობის განცდა და სხვა. გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი რეფორმას საბოლოოდ უარყოფითად აფასებს. საჭიროა მეტი თანმიმდევრულობა სქემაში და რესურსების მიმართვა, მასწავლებელთა რეალური საჭიროებებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებლის პროფესიული განვითარება, კარიერული წინსვლის სქემა, ზოგადი განათლება

შესავალი

განათლება ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, რომელიც მუდმივად იცვლება და ვითარდება. ამ პროცესში კი მონაწილეობს ამ სფეროში ჩართული ყველა მხარე. მათ შორის არიან მასწავლებლებიც, რომელთაც მუდმივად სჭირდებათ გადამზადება და კომპეტენციის ამაღლება. ვინაიდან, ეს პროცესია სახელმწიფოს მიერაა რეგულირებადი, პროცესში ძალიან აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო, მათ შორის, სხვადასხვა რეფორმის მეშვეობით.

ბოლო წლებში განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა უკავშირდება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შექმნას, რომლის უმთავრეს მიზანსაც, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს, მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სქემა მიზნად ისახავს როგორც არსებული კადრების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას, ასევე ზოგადად ამ პროფესიის პრესტიჟის ზრდას და საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ამჟამინდელი სქემა 2019 წელს დამტკიცდა და მასში ცვლილებები შევიდა 2020 წელსაც, თუმცა, მოცემული სქემა გარკვეული სახით უკვე არსებობდა 2015 წლისთვის. 2019 წლის დადგენილების მიხედვით, აღნიშნული სქემა მასწავლებლებს გარკვეულ სტატუსებს ანიჭებს, რაც მრავალ ფაქტორს განსაზღვრავს ამ პროფესიაში, მათ შორის მასწავლებლის შრომის ანაზღაურებასაც. კანონში დეტალურადაა გაწერილი თუ რა კვალიფიკაციებსა თუ ვალდებულებებს მოიაზრებს თითოეული სტატუსი და რა ნაბიჯების გადადგმა ესაჭიროებათ მასწავლებლებს სტატუსის ასამაღლებლად (მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა).

მოცემული რეფორმის ერთ მხარეს სახელმწიფო სტრუქტურა დგას, ხოლო მეორე მხარეს უშუალოდ ის მასწავლებლები არიან, ვინც ჩართულები არიან ამ სქემაში. ის ფაქტი, რომ თუ დღეს ადამიანს მასწავლებლად მუშაობა სურს, იგი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს ამ სქემაში, ხაზს უსვამს მოცემული თემის **მნიშვნელობასა და აქტუალობას**. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სქემა ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, შესაბამისად საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო ნაბიჯ-ნაბიჯ აცნობს ყოველ გადაწყვეტილებასა და სიახლეს სქემით დაინტერესებულ ადამიანებს. ყოველი მსგავსი სიახლე კი მასწავლებლებში დიდ ვნებათა ღელვას იწვევს.

განსაკუთრებული განხილვა მოჰყვა 2022 წლის ზაფხულში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებელი პროფესიული უნარების გამოცდის ჩატარებას. აღნიშნულ გამოცდასა და სტატუსის ამაღლებას მასწავლებლები რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდნენ და წელს პირველად მიეცათ შანსი. თუმცა, ის სიხარული, რაც მათში სტატუსის ამაღლების შანსმა გააღვივა, მალევე ჩაახშო საგამოცდო პროგრამისა და მასალის გამოქვეყნებამ. აღნიშნული გამოცდისთვის მოსამზადებლად, მასწავლებლებს საკმაოდ დიდი მოცულობის მასალის დამუშავება მოუწიათ, რამაც მათში რა საკვირველია, პროტესტი გამოიწვია. ასევე პროტესტის საგანი გახდა უშუალოდ საგამოცდო ტესტების ფორმა და შინაარსი, ისევე როგორც ის შეფასებები, რაც მასწავლებლებმა დაიმსახურეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოცდის ჩატარებიდან რამდენიმე თვეა გასული, მასწავლებლები ჯერ ისევ არ არიან სრულად ინფორმირებულები იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს სტატუსის ასამაღლებლად მათი მხრიდან გადადგმული შემდეგი ნაბიჯი¹.

სწორედ ეს გახდა ბიძგი, რომ წინამდებარე **ნაშრომის საკვლევი საკითხი შემდეგნაირად** ჩამოყალიბებულიყო – მასწავლებელთა დამოკიდებულება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისადმი. საკვლევი შეკითხვაც, სწორედ ამას შეეხება, თუ როგორი დამოკიდებულება ჭარბობს მასწავლებლებში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თავად მასწავლებლების დამოკიდებულება აღნიშნული სქემისადმი არაერთგვაროვანია და მოწინააღმდეგეებთან ერთად, მათ შორის არიან ისეთები, ვინც ბევრ დადებითს ხედავენ ამ რეფორმაში, ძირითადი საკვლევი კითხვები იქნება თუ კონკრეტულად რა დადებითს და რა უარყოფითს გამოკვეთენ მასში სქემაში ჩართული მასწავლებლები.

¹ <http://www.tpdс.gov.ge/>

წინამდებარე ნაშრომი კვლევის კომბინირებული მეთოდის გამოყენებით შეეცდება დაინახოს როგორი დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისადმი და რა განაპირობებს მათ ასეთ დამოკიდებულებას. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მასწავლებლები. გარდა ამისა, მათ შორის იქნებიან როგორც ის მასწავლებლები, ვინც წლებია მოღვაწეობენ ამ სფეროში, ასევე პროფესიაში ახალფეხადგმული მასწავლებლებიც. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემული კვლევა ორმხრივი სარგებლის მომტანი იქნება. კვლევის მიზანია ერთის მხრივ, კვლევაში მონაწილეობა მასწავლებლები დეტალურად გაეცნონ მოცემულ სქემას და გადააფასონ მისი შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხრივ მასწავლებლების დამოკიდებულებისა და ამ ყველაფრის საფუძვლის დანახვა დაეხმაროს სახელმწიფო უწყებებსაც, რომ სწორად მიმართონ და განავითარონ მოცემული რეფორმა მომავალში.

სქემის მიმოხილვა

„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ 2015 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა ამჟამინდელი ფორმით იგი 2019 წელს ჩამოყალიბდა. იგი ვრცელდება საჯარო სკოლების ყველა მასწავლებელზე, მათ შორის მოწვეულ ან შემცვლელ მასწავლებელზეც. ხოლო რაც შეეხება კერძო სკოლებს, ამ შემთხვევაში მათ აქვთ არჩევანის უფლება. მათაც შეუძლიათ საჯარო სკოლების მსგავსად ჩაერთონ სქემაში, ან შექმნან და განავითარონ დამოუკიდებელი თუმცა მსგავსი პრინციპის სისტემა, რათა ამათ ხელი არ შეუშალოს მასწავლებელთა თავისუფალ მოძიებას ერთი სკოლიდან მეორეში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და პროფესიული წინსვლის სქემა ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს. ესენია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის გაზრდის მიზნით მათი აქტიური ჩართვა მასწავლებელთა საქმიანობის პროფესიული განვითარებისა და შეფასების პროცესში; თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის ხელშეწყობა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა; მასწავლებლის საჭიროებაზე და მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროფესიული განვითარება.

აღნიშნული სქემა მასწავლებლებს შემდეგი სტატუსების მიხედვით ჰყოფს: პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი. პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი 2015 წელს ავტომატურად მიენიჭა ყველა იმ მასწავლებელს, რომელიც რეფორმის განხორციელებისას დასაქმებული იყო სკოლაში და შესაბამისად იმთავითვე ჩაერთო სქემაში. ხოლო ყველა სხვა სტატუსის მოპოვება მასწავლებლებს დადგენილი წესის მიხედვით უწევთ. აღნიშნული სტატუსები მასწავლებლებს მიენიჭებათ უვადოდ. „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ დეტალურად და მკაფიოდ განმარტავს, თუ რა იგულისხმება თითოეულ სტატუსში. გარდა ამისა, იგი გვთავაზობს ინფორმაციას იმის თაობაზეც, თუ კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რა ნაბიჯების გადადგმა საჭირო სტატუსის შესანარჩუნებლად ან ასამაღლებლად.

მოცემული სტატუსებიდან იერარქიულად ყველაზე დაბალია უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო ყველაზე მაღალი – მენტორი მასწავლებლის სტატუსი. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სქემაში ჩართულ პირს თეორიული კომპეტენციის დადასტურება ესაჭიროება საგნის გამოცდის ჩაბარებით, რის შემდეგაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, რომ მიანიჭოს მას სტატუსი. ხოლო უფრო მაღალი იერარქიის სტატუსის მოსაპოვებლად თეორიულ ცოდნასთან ერთად, მისი პრაქტიკული მოღვაწეობაც უნდა შეფასდეს. ეს ყველაფერი, უპირველესად მოიცავს პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებას, რასაც მოჰყვება უკვე მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის კომპლექსური შეფასება, რაც მოიცავს გასაუბრებებს, გარე დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, თუ მასწავლებლის საქალაქის შემოწმებას, რაც მის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას მოიცავს. რაც უფრო მაღალი სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის მასწავლებელი, მით მეტია მოთხოვნებიც და დროის პერიოდიც, რა დროშიც შეიძლება სტატუსის დამტკიცება მოხდეს (მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, 2019).

გარდა ახალი სტატუსის მოპოვებისა, მასწავლებლებს არსებული სტატუსის შესანარჩუნებლადაც უწევთ შრომა. ამ მხრივ მასწავლებლის ვალდებულებები არ განსხვავდება სტატუსის მიხედვით

და ამ საქმიანობათა ჩამონათვალი სრულად ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. ეს მოიცავს საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, თვითრეფლექსიის გაკეთებას, კოლეგებთან თანამშრომლებთან და ა.შ. მიუხედავად უამრავი გამოწვევისა და სირთულისა, მასწავლებლების დიდი ნაწილი ყველაფერს აკეთებს ჯერ სტატუსის შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ ასამაღლებლად, რადგან გარდა პროფესიული წინსვლისა და განვითარებისა, ამაღლებული სტატუსი ამაღლებულ ანაზღაურებასაც ნიშნავს, რაც მასწავლებელთა დიდი ნაწილისთვის ნამდვილად არის მოტივაციის წყარო. ეს ყველაფერი ნამდვილად არაა ადვილი მასწავლებლებისთვის, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს როლი მოცემული რეფორმის განხორციელებაში – კერძოდ, აქ იგულისხმება როგორც განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებლებისთვის შედგენილი გზამკვლევები, ასევე ის უამრავი სხვადასხვა მიმართულების კურსი და ტრენინგი, რასაც სახელმწიფო მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებს და რითაც ეხმარება განვითარებაში. ამ ფუნქციებს ძირითადად მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (tpdc) ასრულებს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ატარებს. განათლების ეროვნული პოლიტიკის და ცენტრის სტრატეგიის მიერ განსაზღვრული მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება.

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

ზემოთ თქმულშიც გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ სქემას ბევრ სიკეთესთან ერთად, ბევრი სირთულეც ახლავს თან. ამის გამო, რეფორმის განხორციელებამ მასწავლებელთა დიდ ნაწილში პროტესტი გამოიწვია. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც დადებითად აფასებენ სახელმწიფოს ამ მცდელობას.

აღნიშნული სქემისადმი მასწავლებლების დამოკიდებულების განსასაზღვრად, ჩატარდა კვლევა. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება თვისებრივი მეთოდი; ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი, კითხვარს ერთვის ინფორმირებული თანხმობის ფორმა.

იქიდან გამომდინარე, რომ სქემის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი გარდამტეხი მომენტი, 2022 წლის ზაფხულში ჩატარებული პროფესიული უნარების გამოცდა იყო, გვაინტერესებდა რამდენად იქონია მასწავლებელთა დამოკიდებულებაზე გავლენა აღნიშნულმა მოვლენამ. აქედან გამომდინარე, მონაცემები სულ ორჯერ შეგროვდა – 2021 წელს სულ 16-მა მასწავლებელმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა, ხოლო 2022 წელს – 15-მა.

ორივე წელს ჩატარებული კვლევის შემთხვევაში, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე იყო, თუმცა 2022 წელს გაცილებით მეტ მათგანს ჰქონდა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ვიდრე 2021 წელს. რაც შეეხება სკოლაში მუშაობის სტაჟს, 2021 წელს გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტი (37.5%) 3-5 წელია რაც სკოლაში მუშაობს, ხოლო 2022 წელს გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46.7%) აღნიშნავს, რომ 10 წელზე მეტია, რაც ამ პროფესიით არიან დასაქმებულები. ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გამოკითხულთა 37.5% მოქმედი მასწავლებელი იყო იმ პერიოდისთვის, როდესაც ეს რეფორმა განხორციელდა, ხოლო დანარჩენი 62.5%-მა სწორედ მოცემული სქემის გააქტიურების შემდეგ დაიწყო სკოლაში მუშაობა. რაც შეეხება 2022 წლის მონაცემებს, ამ შემთხვევაში პირიქით, 60 % აღნიშნავს რომ სქემამდე მუშაობდა სკოლაში, ხოლო 40%-ს სქემამ უბიძგა ამ პროფესიის არჩევისკენ.

კვლევაში მონაწილე მასწავლებლები გამოყოფენ როგორც რეფორმის დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ თუ პირადად მათზე რა გავლენა იქონია ამ რეფორმამ და რის შეცვლას ისურვებდნენ სქემაში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად განსხვავებული გამოცდილებისა, მიუხედავად იმისა სქემამდე იყვნენ პროფესიაში თუ არა, კვლევაში 2021 და 2022 წელს მონაწილე მასწავლებელთა პასუხები ზემოთ მოცემულ საკითხებზე, მეტწილად ერთგვაროვანია.

„მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემის“ დადებით მხარედ მასწავლებლები პროფესიულ განვითარებას ასახელებენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სქემაში ჩართვის შემდეგ გაუჩნდათ მოტივაცია ესწავლათ მეტი, ამაღლებინათ კვალიფიკაცია და განვითარებულიყვნენ პროფესიულად. მოტივაციის ამაღლების ყველაზე დიდ წყაროდ კი თითქმის ყველა მასწავლებელი მომატებულ ანაზღაურებას მიიჩნევს. რაც უფრო მაღალი სტატუსი აქვს მასწავლებელს, მით უფრო მაღალია ხელფასი, შესაბამისად მასწავლებლები მუდმივად ცდილობ-

ბენ შემდეგ საფეხურზე აიწიონ. მასწავლებლების დიდი ნაწილი ამბობს, რომ რეფორმამ პირადად მათზე დადებითი გავლენა იქონია, რადგან განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულმა ტრენინგებმა მათ საკმაოდ დიდი ცოდნა მისცა იმ საკითხებში, რაშიც არაკომპეტენტურები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ აღნიშნავს, რომ მუდმივად წინსვლაზე ორიენტირებულობამ მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხიც აამაღლა. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ რომ მართალია, ბევრი შრომა მოუწიათ სტატუსის მოსაპოვებლად, თუმცა ამ პროცესმა მათ თავდაჯერებულობა შემატა, რამაც გაუადვილათ პროფესიაში თავის დამკვიდრება და ახლა უკვე ცხოვრების სტილად ექცათ და მუდმივად ცდილობენ სიახლეებს ფეხი აუწყონ.

ბევრად უფრო ვრცელია სია, სადაც სქემაში ჩართული მასწავლებლები მის უარყოფით მხარეებს გამოკვეთენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა სქემის დადებით ასპექტად პროფესიული განვითარება დაასახელა, ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ეს ყველაფერი ძირითადად ფორმალურადაა ქცეული და მათი გარკვეული ნაწილი ამ ყველაფერს მხოლოდ სტატუსის ასამაღლებლად აკეთებდა და არა რეალური განვითარებისთვის. ასევე ამბობენ, რომ მათ მიერ რეფორმის ფარგლებში მიღებული ცოდნა მხოლოდ თეორიულია და ძირითადად ვერ იყენებენ პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა დიდ ნაწილს სულ სხვა მოლოდინები ჰქონდათ სქემისადმი მანამ სანამ ჩაერთვებოდნენ და ბევრს გაუცრუვდა იმედები. მათი თქმით ეს ყველაფერი მხოლოდ ბიუროკრატიაა და პედაგოგები არათანაბარ პირობებში არიან. ბევრს მრავალი კომპეტენციის დადასტურება მოუწიათ სტატუსის მისაღებად, მაგრამ ძალიან ბევრს უბრალოდ მარტივად მიეცათ სტატუსი. სქემაში გაუთავებელი ცვლილებების შეტანა, რომელთაც მასწავლებლები ახასიათებენ როგორც არასისტემურს, არათანმიმდევრულს და ხშირად დაუსაბუთებელს, მათში მხოლოდ დაბნეულობასა და არსებული რეფორმის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იწვევს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სტატუსის ამაღლებისთვის მუდმივი ბრძოლა მათგან იმდენ დროსა და ენერგიას მოითხოვს, რომ დრო აღარ რჩებათ გაკვეთილების მოსამზადებლად და სწავლებაზე ზრუნვისთვის, რაც რეალურად მათი მთავარი მოვალეობაა. ამ ყველაფრის ფონზე კი სქემა კვლავ ბუნდოვანი რჩება მათთვის და უჭირთ იმის გარკვევა თუ რას ითხოვენ მათგან.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი, რეფორმას მთლიანობაში უარყოფითად აფასებს. მათი თქმით ის შედარებით მაღალი ანაზღაურება, რასაც სტატუსის ამაღლებით იღებენ, მეტწილად არ შეესაბამება იმ შრომას, რაც მათ ამ სქემის ფარგლებში უწევთ. იმ ყველა ნაკლის ფონზე, რასაც მასწავლებლები ასახელებენ, ისინი გარკვეულ რეკომენდაციებსაც გვაძლევენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებების გატარებას ისურვებდნენ აღნიშნულ სქემაში. მასწავლებელთა 80% გამოთქვამს სურვილს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს სწავლების პრაქტიკულ მხარეზე და არა თეორიულზე, როგორც ეს ახლათ. მათ სურთ რომ ტრენინგებს ესწრებოდნენ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე და არა ფორმალურად, სტატუსის შესანარჩუნებლად. მათ სურთ მეტი აქცენტი კეთდებოდეს სწავლების პროცესზე. ასევე არ მოსწონთ ის რომ ახლა ხშირად უჩნდებათ უსამართლობის განცდა, შესაბამისად მეტ გამჭვირვალობასა და სამართლიანობას ისურვებენ აღნიშნულ სქემაში.

ნამდვილად კარგია, რომ სახელმწიფო ცდილობს განათლების დარგის აღორძინებას და მოქმედი პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს ყველაფერი მეტწილად არასწორადაა მიმართული. ვფიქრობ, უკეთესი იქნება თუ სახელმწიფო რესურსს მასწავლებლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებს და ნაკლები დრო დაეთმობა არასაჭირო ფორმალურობას. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ხშირად შედის აღნიშნულ კანონში ცვლილებები და მასწავლებლები იმედს იტოვებენ, რომ როცა იგი საბოლოო სახეს მიაღწევს, ნამდვილად სასარგებლო და ეფექტიანი რეფორმა გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. <http://www.tpdc.ge/>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. (18 დეკემბერი, 2015). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა

და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე. მოძიებულია 27 ივნისი, 2022.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3057812?publication=0>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. (28 სექტემბერი, 2015). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე. მოძიებულია 27 ივნისი, 2022.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2995627?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (23 მაისი, 2019). საქართველოს მთავრობის დადგენილება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ. მოძიებულია 27 ივნისი, 2022.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4570026?publication=0>

საქართველოს მთავრობა. (26 ივნისი 2020). საქართველოს მთავრობის დადგენილება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მოძიებულია 27 ივნისი, 2022.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0>

ACCESS TO EDUCATION OF DEPRIVED AND HOMELESS CHILDREN AND INCLUSION IN AN EDUCATIONAL INSTITUTION

(CASE OF GEORGIA)

Mariam Chubinidze

Master's degree student of Education Studies and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

The paper "**Access to education and inclusion of children deprived of care and inclusion in an educational institution on the example of Georgia**" refers to the study of the condition of children in the vulnerable group, namely children deprived of care and access to educational space. The purpose of the article is to identify the problems that are faced by children of these groups today. The paper contains the latest research that has found the levers that must be implemented to help children and contribute a little to the elimination of the problem.

In a country where socio-economic problems are relevant and overcoming poverty and unemployment is a major challenge, it is not surprising that we encounter such a problem as the lack of access to the educational process of deprived and homeless children. Developed countries prioritize similar problems and try to offer all kinds of services to children in order to protect their rights and provide basic needs as much as possible, but in developing countries such problems maintain the status of "priority" in only a formal manner and in reality no effective steps are taken to obtain results for protecting the best interests of children from these groups.

Based on the above, main purpose of the paper is to attempt assessing the existing problems to research the access of minorities to education and to give visions and recommendations for the inclusion of minorities in education.

Keywords: *education of Children deprived of care, Aaccess to education*

**მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა განათლებაზე
ხელმისაწვდომობა და ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში**
(საქართველოს მაგალითზე)

მარიამ ჩუბინიძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომი „მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს მაგალითზე“ ეხება მოწყვლად ჯგუფში შემავალ, კერძოდ მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობის შესწავლა და სასწავლო სივრცეზე ხელმისაწვდომობას. სტატიის მიზანია იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც უშუალოდ დღეს დგას მოცემულ ჯგუფებში შემავალ ბავშვებში. ნაშრომი შეიცავს უახლესი კვლევებს, რომლებშიც ნაპოვნია ის ბერკეტები, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ბავშვთა დასახმარებლად და მცირეოდენი წვლილი შეაქვს პრობლემის აღმოფხვრაში.

ქვეყანაში, სადაც სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემები აქტუალურია და სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, გასაკვირი არაა, რომ ვხვდებით ისეთ პრობლემას, როგორიცაა მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელმიუწვდომლობა. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები, მსგავსი ტიპის პრობლემებს პრიორიტეტულ რანგში აყენებენ და ცდილობენ, ყველა სახის სერვისი შესთავაზონ ბავშვებს, რათა მაქსიმალურად დაიცვან მათი ინტერესები. ხოლო დაბალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მსგავს პრობლემებს მხოლოდ ფორმალური ხასიათით ანიჭებენ “პრიორიტეტულის” სტატუსს, თუმცა რეალურად არ იდგმება ქმედითი ნაბიჯები, რაც მოგვცემს შედეგს და ბავშვთა ინტერესები იქნება დაცული. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ნაშრომს აქვს პრაქტიკული ხასიათი და წარმოადგენს მცდელობას შეაფასოს არსებული პრობლემები, გამოიკვლიოს უმცირესობების ხელმისაწვდომობა განათლებაზე და აჩვენოს ხედვები და რეკომენდაციები განათლებაში უმცირესობის ჩართვის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა განათლება, განათლების ხელმისაწვდომობა

შესავალი

განათლება ინდივიდისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტურ უფლებას, შესაბამისად განათლების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის ერთ-ერთი მთავარი და უპირობო ამოცანაა ქვეყნისთვის. ამოცანის მისაღწევად და პრობლემების აღმოსაფხვრელად სამინისტრომ და ბავშვთა დაცვის ფონდმა არაერთი რეფორმა განახორციელა, მიუხედავად ამისა დღეს ისევ არაერთი მოსწავლე არის განათლების მიღმა დარჩენილი, რაც სავალალოდ აისახება მათ ფსიქო-ემოციურ, კოგნიტურ თუ ფიზიკურ განვითარებაზე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს ხელმძღვანელობით შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, რომლის მიზანსაც ძირითად წარმოადგენდა სწორედ განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაზრდა თითოეული ბავშვისთვის, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკური წარმომავლობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური მდგომარეობისა. (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021) სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი იცავს თითოეული ბავშვის უფლებას და ვალდებულებას იღებს იმაზე, რომ განათლება იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, მაინც ვხვდებით ფაქტებს, სადაც სკოლის ასაკის მოსწავლეს უწევს სკოლაში სიარულის ნაცვლად ქუჩაში დგომა და გადარჩენისთვის ბრძოლა, რაც ხელს უშლის მოსწავლეების სრულფასოვან ჩართულობასა და შესაბამისად, უკეთესი შედეგების მიღწევას. შესაბამისად კვლავ რჩება არაერთი გამოწვევა განათლების მაღალ ხარისხთან და თანასწორ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.


აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საკვლევი საკითხი დიდი **აქტუალურობით** სარგებლობს. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მწვავედ დგას მიუსაფარი ბავშვების საკითხი. მიუსაფარი ბავშვები კი ერთ-ერთ იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებიც ხშირად რჩებიან განათლების სისტემის მიღმა. სამწუხაროდ, საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების, ოჯახური კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა პრობლემების გამო, უამრავი ბავშვი რჩება ქუჩაში. კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, განხორციელდება სამაგიდე კვლევა, კერძოდ, მოხდება სამეცნიერო ლიტერატურისა და კოდექსების შესწავლა, რომელიც ნაშრომს უფრო მეტად ღირებულს და ვალიდურს გახდის.

ბავშვთა და მოზარდთა ქუჩაში ცხოვრება, გამომწვევი მიზეზები და რისკები

ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ პირველად 1980 წელს გაჩნდა, ხოლო 1994 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ იგი შემდეგნაირად განიმარტა: „ქუჩის ბავშვად ითვლება ნებისმიერი გოგონა, თუ ბიჭი, რომელიც პასუხისმგებელი პირების მიერ სათანადოდ არ არის დაცული, არ არის მეთვალყურეობის ქვეშ და რომლისთვისაც ქუჩა არის საცხოვრებელი და არსებობის მთავარი წყარო“ (სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი, 2017).

უნდა აღინიშნოს ის, რომ თითოეულ ბავშვს უნდა მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე, რასაც არეგულირებს შესაბამისი დოკუმენტები, ზოგადი განათლების კანონის თანახმად „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ (ზოგადი განათლების კანონი, მუხლი 9). მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, რომ ზოგადი განათლება იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ყველა ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს განათლება, სტატისტიკა სხვა სურათს გვიჩვენებს.

დიაგრამა №1 – სკოლის მიტოვება საფეხურების მიხედვით (2010-2017)



2010-2017 წლების სტატისტიკა ცხადყოფს [დიაგრამა 1], რომ ყოველწლიურად ათასობით სკოლის მოსწავლე ტოვებს სკოლას, რის შემდეგ სახელმწიფოს არ აქვს არანაირი მონაცემები, თუ სად მიდიან ეს ბავშვები და რატომ აღარ აგრძელებენ სწავლას. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სტატისტიკაში მნიშვნელოვან სეგმენტს ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვები წარმოადგენენ, რომლის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორიც ნაადრევი ქორწინებაა, რომელიც ბოლო ათწლეულში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სახელმწიფოსთვის.

ამასთანავე სკოლის მიტოვების კიდევ ერთ გამომწვევ ფაქტორად, სპეციალისტები სოციალური მდგომარეობის დაბალ ხარისხს ასახელებს, რაც საქართველოს მსგავსი განვითარებადი, ეკონომიკურად მოწყვლადი ქვეყნების სერიოზული პრობლემაა. ბავშვებს უწევთ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრება, ბოლო მონაცემები 2017 წლით თარიღდება და იგი გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევას, მოსახლეობის კეთილდღეობას ეფუძნება. **2009 წლის მონაცემებით საქართველოში სიღარიბეში ცხოვრობდა ბავშვების 11.5%. 2011 წელს – 9.4%; 2013-ში – 6%; 2015 წელს – 2.5%. ხოლო 2017 წელს – 6.8%.**

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო დონეზე აქვს შემუშავებული ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის მექანიზმი სოციალური მუშაკის საქმიანობიდან გამომდინარე. აღნიშნული პირები, შეისწავლიან და მონიტორინგს ახორციელებენ საქართველოში მყოფ უსახლკარო ბავშვების შესახებ, მათ იდენტიფიცირებას და შემდგომ ხდება მათი აღრიცხვა ერთიან სახელმწიფო ბაზაში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში), რაც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას დაგეგმოს და უზრუნველყოს აღნიშნულ პირთა დახმარება და მათთვის სხვადასხვა სოციალური დახმარების გაწევა, რაც შემდგომ მისცემთ საშუალებას ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, მიიღონ განათლება, შეიძინონ სხვადასხვა უნარები. თუმცა არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც ბავშვთა უფლებები არაერთი კუთხით ირღვევა, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნება, უწევთ ძალადობასთან შეჯახება, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ, ამავდროულად ქუჩის ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება განათლებას და სამედიცინო მომსახურებაზე (გარდა გადაუდებელი დახმარებისა) (UNICEF, 2018) უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლები არ აწარმოებენ დეტალურ მონაცემებს, არ იკვლევენ მიზეზებს და შესაბამისად სრულფასოვანი მონაცემების და პრობლემის სიღრმის წარმოდგენა შეუძლებელია.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა პრობლემები კომპლექსურია საქართველოში, თუმცა არსებობს მთელი რიგი სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის ძლიერი მხარდაჭერის სერვისები, რომელიც ორიენტირებულია პრობლემების მოგვარებაზე.

საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემა, არ არის მოგვარებული, ის კვლავაც აქტუალურია და მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ბავშვთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში შესაძლებელია და უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მხრიდან, თუ არ არსებობს პირადი სურვილი მშობლის მხრიდან, ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება და ჩაერთონ საგანმანათლებლო აქტივობებში, თუმცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ხშირად ბავშვებს უწევთ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ჩართვა, რის გამოც ისინი სკოლას თავს ანებებენ და ხელი ეშვებათ განათლების მიღებაში. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა მექანიზმი შემუშავებული, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს არ მუშაობს და ვფიქრობ, ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა გააქტიუროს მუშაობა, შეიქმნას სპეციალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იმ ბავშვთა აღრიცხვას, რომლებიც სკოლას თავს ანებებენ და შესაძლოა მათ სხვადასხვა სერვისები, რაც დაეხმარება მათ სკოლაში უკან დაბრუნებაში.

ამავდროულად მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მიუსაფარ ბავშვთა აღრიცხვიანობის სრული სტატისტიკა არ არსებობს. რეალურად სახელმწიფოს არ აქვს ბერკეტი მოწყვლად ჯგუფში მყოფ ბავშვებს შეუქმნას სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები.

საბოლოოდ, რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, იქიდან გამომდინარე, რომ მიუსაფარ ბავშვებს ხშირად ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე, ან მიუწვდებათ, თუმცა ნაკლებად არიან სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულნი, მოწყვლად ჯგუფში მყოფი ბავშვები საჭიროებენ დიფერენცირებულ და სტრატეგიულ მიდგომებს, შესაბამისად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შექმნას მოდიფიცირებული საგანმანათლებლო – განვითარების პროგრამები, ამ გზით ხელი შეუწყოს როგორც სავალდებულო განათლების მიღებას, არამედ ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, მოძიებულია 2021 წლის 20 ნოემბერს. <https://mes.gov.ge/uploads/>

იუნისეფი, გაეროს ბავშვთა ფონდი(2018)“ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში“ ევროკავშირი საქართველოსთვის, მოძიებულია 2021 წლის, 19 ნოემბერს. <https://www.unicef.org/georgia/media/1251/file/pdf>

საქართველოს კანონმდებლობის მაცნე „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ (1989 წ.) მოძიებულია 2021 წლის 19 ნოემბერს, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0>

საქართველოს კანონმდებლობის მაცნე“ კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ მოძიებულია 2021 წლის 19 ნოემბერს. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=91#>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №684 (2018წ) „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მოძიებულია 2021 წლის 19 ნოემბერს. http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/294.pdf

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი (CSDC)(2017) „სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით“ მოძიებულია 2021 წლის 19 ნოემბერს. <https://csdc.ge/media/1001362/2017/09/21/d28aa8027faa45e2e8573df2540b6502.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი (2018) „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ მოძიებულია 2021 წლის 20 ნოემბერს. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

ფუტკარაძე, ნ.(2020) „ბავშვთა სოციალური პრობლემები“ ხიჭაური: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, მოძიებულია 2021 წლის 20 ნოემბერს. <https://openscience.ge/bitstream/1/2263/1/Neli%20Putkaradze%20Samagistro.pdf>

POSSIBILITIES AND RISKS OF REPLACING FACE-TO-FACE TEACHING WITH DISTANCE LEARNING AT THE BASIC-SECONDARY LEVEL OF EDUCATION

Mary Surmanidze

Master's degree student of Education Studies and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

The principle and practice of distance learning are not new to the world, this field is at different stages of development in different countries, including Georgia. After the announcement of the pandemic in the world, strict measures were taken in Georgia, including in the education system, educational institutions switched to distance learning mode, which was a big challenge not only for professors and teachers, but also for students, pupils and their parents. From March 1, 2020 until today, training is conducted in hybrid mode.

The purpose of the article The advantages of distance learning in Georgia should be investigated, and in particular, whether it is possible to replace distance learning with face-to-face learning, specifically, at the elementary-secondary level. Quantitative study was conducted to achieve the goal. Accordingly, there was a survey of the general group of private and public school students of the basic-secondary level. It is reviewed in the article The essence of distance learning The advantages and disadvantages of distance learning, as well as the similarities and differences between distance learning and face-to-face learning.

The paper summarizes the research results. As a result of these results, it is clear that distance learning is stressful for students and that nothing can replace face-to-face learning, it is an indispensable teaching method.

Keywords: *distance learning, face-to-face learning, elementary-secondary level, teaching format*

პირისპირ სწავლების დისტანციურ სწავლებით ჩანაცვლების შესაძლებლობები თუ რისკები სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე

მერი სურმანიძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

დისტანციური სწავლების პრინციპი და პრაქტიკა მსოფლიოსთვის ახალი არ არის, სხვადასხვა ქვეყანაში ეს სფერო განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, მათ შორის არის საქართველო. მსოფლიოში პანდემიის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში მკაცრი ზომები გატარდა, მათ შორის განათლების სისტემაშიც, საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე, რაც დიდი გამოწვევა იყო არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებისთვის, არამედ სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. 2020 წლის 1 მარტიდან დღემდე სწავლება მიმდინარეობს ჰიბრიდულ რეჟიმში.

სტატიის მიზანია გამოკვლევად იქნას საქართველოში დისტანციური სწავლების უპირატესობები და კერძოდ, შესაძლებელია თუ არა დისტანციურ სწავლების პირისპირ სწავლებით ჩანაცვლება, კონკრეტულად კი, საბაზო-საშუალო საფეხურზე. მიზნის მისაღწევად ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. კერძოდ, მოხდა საბაზო-საშუალო საფეხურის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა. სტატიაში მიმოხილულია დისტანციური სწავლების არსი დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე რა მსგავსება და რა განსხვავებაა დისტანციურ სწავლებასა და პირისპირ სწავლებას შორის.

ნაშრომში შეჯამებულია კვლევის შედეგები. ამ შედეგების შედეგად ირკვევა, რომ დისტანციური სწავლება სტრესულია მოსწავლეებისათვის და რომ ვერაფერი ვერ ჩანაცვლებს პირისპირ სწავლებას, ის შეუცვლელი სწავლების მეთოდია.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, პირისპირ სწავლება, საბაზო-საშუალო საფეხური, სწავლების ფორმატი

შესავალი

დისტანციური სწავლების პრინციპი და პრაქტიკა მსოფლიოსთვის ახალი არ არის, სხვადასხვა ქვეყანაში ეს სფერო განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, მათ შორის არის საქართველო. მსოფლიოში პანდემიის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში მკაცრი ზომები გატარდა, მათ შორის განათლების სისტემაშიც, საგანმანათლებლო დაწესებულებები გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე, რაც დიდი გამოწვევა იყო არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებისთვის, არამედ სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. ფორსმაჟორულ სიტუაციაში სრულად დისტანციურ სწავლების რეჟიმზე გადასვლამ, გარკვეული დისკომფორტი შექმნა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ სკოლების მიერ შეთავაზებულ იქნა პირისპირ სწავლების ფორმაც, გარკვეულმა კატეგორიამ ისევ დისტანციური ფორმატით ამჯობინა სწავლის გაგრძელება, რაც შესაძლოა ისევ პანდემიური მდგომარეობით აიხსნას.

წინამდებარე **სტატიის მიზანია** გამოკვლევად იქნას საქართველოში დისტანციური სწავლების უპირატესობები და კერძოდ, შესაძლებელია თუ არა დისტანციურ სწავლების პირისპირ სწავლებით ჩანაცვლება, კონკრეტულად კი, საბაზო-საშუალო საფეხურზე. მიზნის მისაღწევად ჩატარდება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები. კერძოდ, მოხდება საბაზო-საშუალო საფეხურის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა.

წინამდებარე სტატია და მასში წარმოდგენილი კვლევის შედეგები საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. გავიგებთ რამდენად იქნება შესაძლებელი დისტანციურმა სწავლებამ სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლოს პირისპირ სწავლება, ასევე გავიგებთ მოსწავლეების აზრს, რამდენად ხდება მასალის ათვისება ონლაინ და მისი პრაქტიკაში გამოყენება.

დისტანციური სწავლების არსი დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ტერმინ დისტანციურ განმარტებას მრავალი მნიშვნელობა აქვს, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულთაგან, დისტანციური განათლება ეს საგანმანათლებლო პროცესია, რომელშიც სწავლება სრულად ან ძირითადად წარიმართება მის მიერ, ვინც სივრცესა ან დროში დაცილებულია მოსწავლისაგან და როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია სრულად ან უმეტესად ხელოვნური გამაშუალებლის, ელექტრონულისა თუ ბეჭდურის მეშვეობით მიმდინარეობს. ამ განმარტების მიხედვით, მთავარი და განმსაზღვრელი, რაც დისტანციურ სწავლებას განასხვავებს პირისპირ სწავლებისაგან, არის დროსა და სივრცეში დაშორებულობა და არა გამოყენებული ტექნოლოგიები (დისტანციური სწავლების მართვა, 2021, 7).

დისტანციურ სწავლებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. განხილული იქნება თითოეული მათგანი სკოლასთან მიმართებაში, უფრო კონკრეტულად კი საბაზო-საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის.

დადებითი მხარეები დისტანციური სწავლებისა არის:

- **დროის ეკონომია;**
- **საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაცნობა-გამოყენება;**
- **ექსტრემალურ სიტუაციებში სწავლა-სწავლების უწყვეტობა და განათლების შესაძლებლობა;**
- **მრავალფეროვნება სწავლა-სწავლებაში.;**
- **ინტროვერტი ბავშვებისთვის, დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვების, ჯგუფში დაბალი სოციალური სტატუსის, მქონე შშმ პირთათვის დისტანციური სწავლება საუკეთესო გამოსავალია.**

უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- **ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **კომპიუტერულ ტექნიკაზე მიჯაჭვულობა;**

- სასკოლო ცხოვრებაზე უარის თქმა;
- ხანმოკლე ონლაინ გაკვეთილები;
- დისტანციური სწავლება ბავშვის სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორია.

რა მსგავსება და რა განსხვავებაა დისტანციურ სწავლებასა და პირისპირ სწავლებას შორის?

როგორც პირისპირ სწავლებისას, ასევე დისტანციური სწავლების დროს მასწავლებელი მთავარ როლს ასრულებს სასწავლო გარემოს შექმნაში და გაკვეთილი მოსწავლეზეა ორიენტირებული. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი წინასწარ იყოს მომზადებული. შესაბამისად მან უნდა მოამზადოს სასწავლო მასალები და რესურსები. როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ სწავლებისას აუცილებელია შეფასების სისტემის არსებობა, ე.წ. შეფასების რუბრიკა.

რაც შეეხება განსხვავებებს, დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია რთული იყოს პროცესზე დაკვირვება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურად ვერ ხედავთ მოსწავლეებს. იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინ სწავლებისას ყველა სხვადასხვა სივრცეშია, შესაძლოა საერთო განწყობის შექმნა გართულდეს.

გაკვეთილების დაგეგმვის და რესურსების მომზადების პროცესიც განსხვავებულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირისპირ სწავლებისგან განსხვავებით, დისტანციური სწავლებისას გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 20-30 წუთით. ხშირ შემთხვევაში სწორედ ესაა გამოწვევა – თუ როგორ უნდა მოასწროს მასწავლებელმა ასეთ მოკლე დროში ძველი მასალის გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა და დავალებების შემოწმება (დისტანციური სწავლების მართვა, 2021, 25).

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელის ფარგლებშიც გამოკითხულ იქნენ საბაზო-საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეები. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული ანკეტა-კითხვარი დახურული და ღია კითხვების გამოყენებით. კითხვარი მოიცავს დისტანციური და პირისპირ სწავლების უპირატესობებს, თუ რომელს ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას და ისურვებდნენ თუ არა პირისპირ სწავლების დისტანციურ სწავლებად ჩანაცვლებას. **კვლევის გეოგრაფიული არეალი:** კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, შესაბამისად კვლევამ მოიცვა სხვადასხვა რეგიონი.

ანკეტა-კითხვარი სულ 122 მოსწავლემ შეავსო. კითხვაზე მოსწონთ თუ არა დისტანციური სწავლება, 53,3%-თვის მისაღებია დისტანციური სწავლების მეთოდი, თუმცა უმრავლესობა მაინც პირისპირ სწავლებას ანიჭებს უპირატესობას (69,2%).

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობითა და აქვთ შესაბამისი პირობები, არაპანდემიის პირობებში არ სურთ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა (72.7%) და აფიქსირებენ, რომ არ აქვთ ონლაინ სწავლებისთვის საჭირო მოწყობილობები და პირობები (93.3%).

საშუალოდ მოსწავლეები დღეში 2-დან 5 საათამდე უთმობენ დისტანციურ სწავლებას (2-3 საათი – 60.8%, 4-5 საათი – 33.3%) და უმრავლესობა თვლის, რომ ეს არ არის მათთვის სტრესული ან ნაწილობრივ სტრესულია (58.6%). ნაწილისთვის სტრესულია არსებული სწავლების მეთოდი, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი ხელმისაწვდომია მათთვის (81.7%) და აწვდის მათ საჭირო მასალას (81.5%).

გამოკითხულთა უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ გაკვეთილები ეფექტურია პირისპირ სწავლებისას (82.6%), მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ეფექტიანია (14.9%); რაც შეეხება დისტანციური სწავლების ეფექტიანობას, მხოლოდ 23.1% მიიჩნევს მას ეფექტიანად, 55.4% – ეფექტიანად, ხოლო 21.5% – არაეფექტიანად.

დამატებით კომენტარებში უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პირისპირ სწავლება შეუცვლელია, რომ არა პანდემია, ვერაფერი ვერ შეცვლის პირისპირ სწავლებას. ასევე ბევრმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ დისტანციური სწავლება უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. ასევე ბევრმა მათგანმა გაამახვილა ყურადღება ინტერნეტის ხარვეზზე. თუმცა დისტანციური სწავლების ერთი

უპირატესობაც აღნიშნეს, ამ დროს მასწავლებელი უფრო მეტ ინტერნეტ რესურსს იყენებს, რაც მათთვის საინტერესოა, თუმცა მაინც პირისპირ სწავლებას ამჯობინებენ.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლების დანერგვის პროცესი მოსწავლეებისათვის საკმაოდ სტრესული აღმოჩნდა, დამძიმდა მათი ფსიქოემოციური მდგომარეობა. კვლევამ აჩვენა, რომ დისტანციური სწავლების დროს მიუხედავად მრავალფეროვანი ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილებისა, მოსწავლეები უპირატესობას მაინც პირისპირ სწავლებას ამჯობინებენ, რომ იგი შეუცვლელი სწავლების მეთოდია.

რეკომენდაციები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე,

1. მნიშვნელოვანია, სკოლის წარმომადგენლებმა ჩაატარონ სასკოლო კვლევა, რომლის მიხედვითაც შეაფასებენ საკუთარ მიღწევებსა და გამოწვევებს, რათა ემპირიულად დასაბუთებულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშაონ დისტანციური სწავლის პირობებში საკუთარი სკოლის განვითარების სტრატეგიები.
2. მნიშვნელოვანია, შეიქმნას online-გაკვეთილის სტანდარტი, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგი შეძლებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვას შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ეს კი ხელს შეუწყობს დისტანციური სწავლების პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. აღნიშნული გაუადვილებს ადმინისტრაციას საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის ჩატარებას.
3. აუცილებელია, სკოლის დირექტორების მიერ შეიქმნას მონიტორინგის ჩატარების გამართული სისტემა, რომელიც, გარდა მოსწავლეთა დასწრებისა, შეამოწმებს დისტანციური სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: გაკვეთილის დაგეგმვა, რესურსების გამოყენება, ადაპტირებული საშინაო დავალებების შექმნა მოსწავლეებისთვის და სხვ. (დისტანციური სწავლების მართვა, 2021, 51).

გამოყენებული ლიტერატურა

ლომინაძე, ნ. (2020) დისტანციური სწავლება – რა გამოწვევების წინაშე დავდებით? მოძიებულია 4 ნოემბერი, 2021 <http://mastsavlebeli.ge/?p=25424>

მურდულია, გ. (რედ). (2021) დისტანციური სწავლების მართვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის, თბილისი, მოძიებულია 4 ნოემბერი, 2021 <https://mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf>

საქართველოს კანონი, (2020), საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, მოძიებულია 4 ნოემბერი, 2021 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4988167?publication=0>

შვანგირაძე, თ. დისტანციური განათლების გამოწვევები და პერსპექტივა, მოძიებულია 4 ნოემბერი, 2021 <https://forbes.ge/blogs/>

<https://factcheck.ge/ka/story/>

https://drive.google.com/file/d/1sAUNm3D270TSb1_EpITnG2afsehBnEzG/view

INVOLVEMENT OF PARENTS IN THE DISTANCE LEARNING PROCESS OF ELEMENTARY SCHOOL STUDENTS – CHALLENGES AND PROBLEMS

Maka Maghaldadze

Master's degree student of Education Studies and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

In the article „Parents in the Distance Learning Process of Elementary School Students – Challenges and Problems“, the problem of parents' involvement in the educational process of their children is discussed. especially main focus is made on elementary school students. First, the article briefly provides an overview of COVID-19 in general, then it outlines problems and challenges of primary school children, also what difficulties they encountered during distance learning; The paper also discusses the problems of the parent-school relationship itself and how these difficulties can be solved, as well as the positive impact that parental involvement can have on a child's education.

In connection with the mentioned research question, a qualitative research was conducted, 35 parents were interviewed and specific problems that parents faced in the process of online education were identified.

After analyzing the research and highlighting the problems, the conclusion-recommendations are given at the end of the article, the consideration of which will bring positive results in the future. In particular, all the experiences that distance learning gave us can be used in real communication in future. The conducted research further revealed that our education system has a lot of work to do in terms of how to increase the volunteering practices of parents, how to bring parents and schools closer to each other and how to load the role of parents in current school processes.

Keywords: *distance learning, parental involvement, teaching in primary classes*

მშობელთა ჩართულობა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დისტანციური სწავლის პროცესში – გამოწვევები და პრობლემები

მაკა მაღალდაძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში „დაწყებითი კლასის მოსწავლეთა დისტანციურ სწავლების პროცესში მშობელთა ჩართულობა: გამოწვევები და პრობლემები“, საუბარია, მშობლების ჩართულობის პრობლემაზე შვილების საგაკვეთილო პროცესში, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია დაწყებითი კლასის მოსწავლეებზე. თავდაპირველად სტატიაში მოკლედ არის ზოგადად COVID-19-ის მიმოხილვა, შემდეგ საუბარია დაწყებითი კლასის ბავშვების პრობლემებსა და გამოწვევებზე, თუ რა სირთულეებს წააწყდნენ ისინი დისტანციური სწავლებისას; ნაშრომში ასევე განხილულია თავად მშობლისა და სკოლის ურთიერთობის პრობლემები და როგორ შეიძლება გადაიჭრას ეს სირთულეები, ასევე რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს მშობლის ჩართულობამ ბავშვის განათლებაზე.

აღნიშნულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა თვისებრივი კვლევა, გამოიკითხა 35 მშობელი და გამოიკვეთა კონკრეტული პრობლემები, რომლებსაც მშობლები გადააწყდნენ ონლაინ სწავლების პროცესში.

კვლევის გაანალიზებისა და პრობლემების გამოკვეთის შემდეგ კი, სტატიის ბოლოს მოცემულია დასკვნა-რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მომავალში დადებით შედეგებს მოიტანს. კერძოდ, ყველა ის გამოცდილება, რაც დისტანციურმა სწავლებამ მოგვცა სამომავლოდ რეალური კომუნიკაციისასაც გამოვიყენოთ. ჩატარებულმა კვლევამ, კიდევ უფრო ცხადყო, რომ ჩვენს განათლების სისტემას ბევრი აქვს სამუშაო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორც უნდა მოვახერხოთ მშობლების მოხალისეობრივი პრაქტიკის ზრდა, როგორ დავაახლოვოთ მშობელი და სკოლა ერთმანეთთან, როგორ დავტვირთოთ მშობლის როლი სკოლის მიმდინარე პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, მშობელთა ჩართულობა, დაწყებითი კლასებში სწავლება

შესავალი

დისტანციური სწავლების სირთულეები განსაკუთრებით გამოიკვეთა დაწყებითი კლასის მოსწავლეებში, მათი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ისე გაიარეს, ოთახში გამოკეტილმა მოსწავლეებმა ვერ გაიგეს სკოლის ხიბლი. ერთადერთი დამხმარე მათთვის მასწავლებელი, უფრო მეტად კი მშობელი შეიძლება ყოფილიყო. მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაწყებითი კლასის მოსწავლეების სწავლების პროცესში. თუმცა მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი ჩართულობით გამოირჩეოდნენ მშობლები, რა გავლენა აქვს მათ აქტიურობას შვილის განათლებაზე და იღებდნენ თუ არა ისინი მონაწილეობას შვილების სასწავლო პროცესში.

გამომდინარე თემის აქტუალობიდან, კვლევის მიზანია დავინახოთ ის პრობლემები და გამოწვევები, რაც დისტანციური სწავლების პერიოდში შეექმნათ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, რამდენად შეძლეს ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია, როგორი იყო მშობლის ჩართულობა მთელი ამ დროის განმავლობაში, დაეხმარა თუ არა დისტანციური სწავლება მშობელსა და სკოლას ჯანსაღ კომუნიკაციაში.

დაწყებითი კლასი სწორედ ის საფეხურია, როდესაც ბავშვი ცდილობს სკოლაში ინტეგრაციას, თავის დამკვიდრებას, ახალ ნაცნობებთან დაახლოებას, ხშირ შემთხვევაში ბავშვებს ამ ეტაპების გავლა რეალური კომუნიკაციისასაც უჭირს, დისტანციურმა სწავლებამ კი მათთვის ეს ეტაპები ორმაგად გაართულა. გარდა ამისა, ეს სირთულეები მხოლოდ კომუნიკაციას არ ეხება, დიდ ძალისხმევასა და გამოწვევას გულისხმობდა მათთვის სასწავლო პროცესში სრულყოფილი ჩართვა. მოსწავლეებში ინტერესის გამოწვევა და მობილიზება საკლასო ოთახშიც კი რთულია, არათუ ეკრანს მიღმა, შესაბამისად მნიშვნელოვანი როლი ასეთ დროს, ალბათ, მშობელს უნდა დავაკისროთ, თუმცა ეს ცალკე სირთულეებთან არის დაკავშირებული.

დისტანციურად სწავლების პერიოდში გამოიკვეთა, რომ მშობლებსა და სკოლებს უჭირთ კომუნიკაცია, ისინი დისტანცირებული არიან სკოლისაგან, არ მონაწილეობენ მის მართვასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. (კავთუაშვილი, თბილისი, 2021, 127) „ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებსა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში“. (მშობელთა ჩართულობა, თბილისი, 2015, 3) მშობლების ჩართულობა, რაზეც ასე ვამახვილებთ ყურადღებას, მხოლოდ მორალურ პრინციპებს ეფუძნება და საკანონმდებლო აქტებში არ არის განსაზღვრული კონკრეტულად რა მოვალეობა აკისრია მას შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობაში, უბრალოდ უნდა აღინიშნოს, რომ მშობელსა და ოჯახს განათლების ხარისხზე დიდი ზეგავლენა აქვთ, ამას არაერთი სამეცნიერო კვლევა ადასტურებს. იმას თუ რამდენად წარმატებულია მოსწავლე არა მხოლოდ სასკოლო სივრცეში მიღებული განათლება და მასწავლებლების კვალიფიკაცია განსაზღვრავს, არამედ რა განათლება აქვთ მის მშობლებს, რამდენი წიგნი აქვთ სახლში ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, რამდენად ერთვებიან სწავლების პროცესში და სხვა. (კავთუაშვილი, 2021, 127).

სწორედ დისტანციური სწავლების პერიოდში, ახლა, როგორც არასდროს საჭიროა სკოლებსა და მშობლებს შორის გაიზარდოს კომუნიკაციისა და ურთიერთანამშრომლობის ხარისხი, რაც მომავალში აისახება ბავშვის დასწრება-აქტიურობაზე, მის ქცევასა და სწავლისადმი მოტივაციაზე (კავთუაშვილი, 2021, 127).

მნიშვნელოვანია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ ბავშვებზე აისახება დადებითად, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებაზეც, ეს თანამშრომლობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. (მშობელთა ჩართულობა, 2015, 4) შესაბამისად, სკოლის და მშობლის ურთიერთობის პრობლემის მოგვარებაზე ჯერჯერობით ისევ სკოლებმა უნდა იზრუნონ, ონლაინ პლატფორმები გვაძლევს საშუალებას დღის რომელიმე პერიოდი გამოვყოთ ისე, რომ ხელი არ შეგვეშალოს სამსახურსა თუ სხვა აქტივობაში, შესაბამისად ვფიქრობ, რომ სკოლამ და უფრო მეტად მასწავლებელმა გარკვეულწილად უნდა უზრუნველყოს და ყოველკვირეული შეხვედრები დაგეგმოს მშობლებთან, ჰქონდეს თითოეულ მშობელთან „კვირის შემაჯამებელი“ შეხვედრა, ისაუბრონ რა ჩართულობით გამოირჩეოდა ბავშვი ამ დროის განმავლობაში და დაიგეგმოს თუნდაც ერთი აქტივობა მათი თანამონაწილეობით. ზემოთ აღნიშნული პრობლემები, ცხადია, არ ეხება მხოლოდ დაწყებითი კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, თუმცა ონლაინ სწავლების პრობლემები ყველაზე მეტად მათთან გამოიკვეთა. ბავშვი

სწორედ დაწყებით კლასში ინტეგრირდება სკოლაში, ეჩვევა წესებს, სწავლობს მასწავლებლებთან და კლასელებთან ურთიერთობას და რეალურ კომუნიკაციას, რის საშუალებასაც ეს პლატფორმები, სამწუხაროდ, ნაკლებად გვაძლევს.

ესტონეთის მაგალითი

საინტერესოა, როდესაც მშობელთა ჩართულობაზე ვსაუბრობთ, განვიხილოთ ესტონეთის მაგალითიც, სადაც მშობელთა უფლება-მოვალეობებს არეგულირებს „კანონი საბაზო და საშუალო სკოლების შესახებ“. ესტონეთი ბალტიისპირა პატარა სახელმწიფოა, ამ პატარა სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-განათლებას. შესაბამისად ეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სფეროში გატარებული რეფორმებისა და პოლიტიკიდან გამომდინარე OECD-ის მიერ წარმატებულ ქვეყნადაა აღიარებული.

კანონში საუბარია მნიშვნელოვან თემებზე: სკოლამ უნდა გააცნოს მშობელს ის ვალდებულებები, რაც დაკისრებული აქვთ მათსა და მოსწავლის მიმართ, ასევე მშობლებს მიაწოდონ ინფორმაცია მათ უფლება-მოვალეობებზე. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ფაქტს, თუ რამდენად ჩართულია მშობელი ბავშვის არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ მის სკოლის გარე ცხოვრებაში. იმ შემთხვევაში თუ მშობელი ვერ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას მუნიციპალიტეტის სამმართველოს შეუძლია ბავშვის უფლებების დასაცავად საჭირო ზომების მიღება. ასევე მშობელი შეიძლება დაჯარიმდეს სწავლის წინაშე დაკისრებული მოვალეობების შესრულების გამო ფულადი ჯარიმით.

კარგი სკოლა მხოლოდ კარგ მოსწავლეს არ გულისხმობს, მშობელთა ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია მთელს პროცესში, ამ შემთხვევაში ესტონეთის სკოლებში მშობელთა ჩართულობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ეს არა მხოლოდ ექსკურსიების მოწყობასა თუ საქველმოქმედო საღამოებში მონაწილეობას გულისხმობს, არამედ მათ ჩართულობას სკოლის მმართველობით თუ მოხალისეობრივ საქმეში.

სამწუხაროდ, ესტონეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოსტ საბჭოთა ქვეყანა ვართ, ესტონეთი განათლების სისტემა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ჩვენი. ეს ყველაფერი კი პირველი რიგში ადამიანთა თვითშეგნებისგან მომდინარეობს, თუმცა ეს არ არის ის ერთადერთი მიზეზი, რაც ამხელს განსხვავებას ჰბადებს ამ ორი ქვეყნის განათლების სისტემებს შორის.

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგების ანალიზი

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა **თვისებრივი კვლევა (ინტერვიუ)** შედგა **სტრუქტურული თვითადმინისტრირებადი** ანკეტა-კითხვარი, ღია კითხვების სახით. კვლევაში მონაწილეობა დაწყებითი კლასის მოსწავლეების 35 მშობლებმა მიიღო; ჩატარებულმა ინტერვიუმ შემდეგი შედეგები მოგვცა:

- 1. რამდენად მარტივად შეეჩვიეთ დისტანციურ სწავლებას?** – ამ კითხვაზე სამი ტიპის პასუხები სჭარბობდა, მშობლების თითქმის ნახევარი აღნიშნავს, რომ დისტანციურ სწავლებას მარტივად შეეგუენ, ხოლო მეორე ნახევარი აღნიშნავს, რომ რთული ან მეტ-ნაკლებად რთული აღმოჩნდა; მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენიმე მშობელი ვრცლად საუბრობს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა რეჟიმიდან ამოვარდნა, ტექნიკური გაუმართაობა, ინტერნეტის პრობლემა. თავდაპირველად ბავშვებს ადაპტაცია გაუჭირდათ, დროთა განმავლობაში კი შეეჩვივნენ ამგვარი ტიპის სწავლებას.
- 2. გქონდათ თუ არა დამხმარე საშუალებები დისტანციური სწავლების დროს? (კომპიუტერი, სმარტფონი, პლანშეტი და ა.შ.)** – გამოკითხულთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამ კუთხით პრობლემა არ ჰქონიათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმეტესობა დედამიწვილების (ასევე მოსწავლეების) ელექტრონული მოწყობილობებით სარგებლობდნენ. გამოკითხულთა დარჩენილი ძალიან მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ არ ჰქონიათ არანაირი დამხმარე საშუალება დისტანციური სწავლების დასაწყისში ან არ უწყობდათ სმარტფონები ხელს, რომ ჩამოეტვირთათ საჭირო აპლიკაციები.

3. გისარგებლიათ აქამდე zoom-ისა და teams-ის პლატფორმებით? – ამ შემთხვევაში ფაქტობრივად ორად გაიყო პასუხები, ნაწილი აღნიშნავდა, რომ პანდემიამდე სამსახურში ჰქონდათ zoom-ისა თუ teams-ის პლატფორმებთან მუშაობის გამოცდილება, ხოლო დანარჩენი ნაწილისთვის ეს ახალი გამოწვევა გახლდათ.
4. **იყავით თუ არა ჩართული შვილის სასწავლო პროცესში?** – ამ კითხვაზეც ძირითადად სამი ტიპის პასუხი დაფიქსირდა, უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ შვილის სასწავლო პროცესში ჩართული იყო, ბავშვს დამოუკიდებლად დავალებების შესრულება უჭირდა, ასევე შვილებს მათი დახმარება სჭირდებოდათ ტექნიკური კუთხითაც. ძალიან მცირე რაოდენობა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა არ დასჭირვებიათ, მიზეზი იყო დროის არ ქონა, ზოგ შემთხვევაში კი ბავშვის საჭიროებები არ მოითხოვდა მშობლის ჩართულობას. 35% მშობლებისა ნაწილობრივ ჩართულობას აფიქსირებს, საჭიროების მიხედვით, მშობლების თქმით ისინი ცდილობდნენ ბავშვს დამოუკიდებლად გაერთმია თავი დავალებებისთვის, თუმცა ზოგჯერ უჭირდათ სირთულეებთან გამკლავება.
5. **გქონდათ თუ არა მშობლებს შეხვედრები მასწავლებლებთან ონლაინ სწავლების პერიოდში?** – აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მშობლების ნახევარზე მეტი ხვდებოდა მასწავლებლებს იშვიათად, თუმცა კომუნიკაციის მცდელობა მასწავლებლებისგან მაინც შეიმჩნეოდა. დანარჩენი კი ამბობს, რომ არცერთი შეხვედრა სემესტრის განმავლობაში არ ჩატარებულა. საკვლევი თემისთვის ეს ერთ-ერთი აქტუალური კითხვა იყო, რამაც საკმაოდ გულდასაწყვეტი მაჩვენებელი მოგვცა;
6. **რამდენად ემხრობით დისტანციური სწავლების დანერგვას სასწავლო პროცესში?** – ამ შემთხვევაში აზრი ორად გაიყო, ნაწილი უარს ამბობს დისტანციური სწავლების დანერგვაზე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში გამოკითხული მშობლები აღნიშნავენ, რომ ამგვარ სწავლებას ემხრობიან, ასევე მათი თქმით, საჭიროა ჯერ გარკვეული პირობების დაკმაყოფილება. კერძოდ, მიუთითებენ დისტანციური სწავლების სათანადოდ დაგეგმვის აუცილებლობაზე, ასევე, კარგად ესმით დისტანციური სწავლების მნიშვნელობა სპეციალური პირობების შემთხვევაში (მაგალითად, ავად ყოფნის დროს, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის და ა.შ).
7. **შეგექმნათ თუ არა პრობლემები დისტანციური სწავლებისას? თუ დიახ, განგვიმარტეთ რა ტიპის პრობლემებზეა საუბარი** – ბოლო კითხვაზე საკმაოდ ვრცელი პასუხები გამოვლინდა, რომელშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა: ტექნიკური გაუმართაობა, ბავშვების დემოტივაცია, სწავლების ხარისხის გაუარესება, ინტერნეტის პრობლემა, სკოლაში დაბრუნებისას რთული ინტეგრაცია, პრობლემების არქონა.

წარმოდგენილი პრობლემებიდან კი ყველაზე მეტად აქცენტი გაკეთდა ბავშვების დემოტივაციაზე, სწავლების ხარისხის გაუარესებაზე, ინტეგრაციის პრობლემებზე, გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი ამბობდა მხოლოდ, რომ არ არსებობდა რაიმე პრობლემა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემო აღნიშნული თემიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა ითქვას თუ რამხელა გავლენა აქვს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის განათლებაში, აქტიურობაში, საზოგადოებაში ინტეგრირებაში. სასურველია, ყველა ეს გამოცდილება, რაც ამგვარმა სწავლებამ მოგვცა სამომავლოდ რეალური კომუნიკაციისასაც გამოვიყენოთ. ჩატარებულმა კვლევამ, კიდევ უფრო ცხადყო, რომ ჩვენს განათლების სისტემას ბევრი აქვს სამუშაო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორც უნდა მოვახერხოთ მშობლების მოხალისეობრივი პრაქტიკის ზრდა, როგორ დავაახლოვოთ მშობელი და სკოლა ერთმანეთთან, როგორ დავტვირთოთ მშობლის როლი სკოლის მიმდინარე პროცესებში. სასურველი იქნება თუ ვიხელმძღვანელებთ სხვა ქვეყნების მაგალითებითაც, ჩატარდება მასობრივი კვლევა და დამუშავდება ყველა ის პრობლემური საკითხი, რაც გამოიკვეთება კვლევის პროცესში. ეს არ არის თემა, რომლის უგულებელყოფაც შეიძლება, განათლება ხომ ფუნდამენტია და ყველაფერი, რაც განათლების გარშემო დგას, პრიორიტეტი უნდა იყოს არა მხოლოდ თითოეული ინდივიდისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც.

დისტანციურმა სწავლებამ ისეთი პრობლემებიც დაგვანახა, რაც აქამდე ჩვენთვის ასე თვალნათელი არ ყოფილა. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გამოიტანა საშკარაოზე, მოგვცა საშუალება დავფიქრებულებიყავით და გაგვეანალიზებინა ამ პრობლემების არსი. მშობლების გადმოსახედიდანაც კარგად გამოიკვეთა ის სირთულეები, რაც ბავშვებს გაუჩნდათ ამ დროის განმავლობაში. თუ სკოლა და მშობელი ერთობლივი ძალებით და პოზიტიური თანამშრომლობით გადაწყვეტს ამ პრობლემებზე მუშაობას, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგანანმანათლებლო კერები ოდნავ მაინც დადებითი მოცემულობისკენ დაიძვრება, ვიდრე ის ახლათ.

გამოყენებული ლიტერატურა

დისტანციური სწავლების მართვა (2021), თბილისი. მოძიებულია: 2021 წლის 1-ელი ნოემბერი.

<https://mes.gov.ge/uploads/covid/distanciuri-swavleba%20-%2008%2002%202021.pdf>

დისტანციური სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეები. ევროპული სკოლა. მოძიებულია: 2021 წლის 1-ელი ნოემბერი. <https://europeanschool.ge/distanciuri-swavlebis-dzlieri-da-susti-mkhareebi/>

ლომძიე, ნ. (2020) დისტანციური სწავლება – რა გამოწვევების წინაშე დავდებით? მოძიებულია: 2022 წლის 21 იანვარი. <http://mastsavlebeli.ge/?p=25424>

მშობელთა ჩართულობა (2015). USAID. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი. თბილისი. მოძიებულია: 2021 წლის 19 დეკემბერი. http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

კავთუაშვილი, მ. (2020). მშობლები გამჭვირვალე „საკლასო ოთახში“. მოძიებულია: 2021 წლის 19 დეკემბერი. <http://mastsavlebeli.ge/?p=26046>

კალჭუნი, ქ. ლაითი, დ. კელერი, ს. (2020) სოციოლოგია. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოჭენი, ლ. მანიონ, ლ. მორისონი, ქ. კვლევის მეთოდები განათლებაში. მეექვსე გამოცემა. USAID. EMP- განათლების მართვის პროექტი.

ვასაძე, ფ. (2020) მშობელთა ჩართულობა სასკოლო პროცესში. მოძიებულია: 2021 წლის 19 დეკემბერი. <http://mastsavlebeli.ge/?p=22161>

სტეფანიშვილი, ი. (2019), როგორია და როგორი უნდა იყოს მშობლის ჩართულობა შვილის სასწავლო პროცესში და სკოლის მიღმა. მოძიებულია: 2022 წლის 18 იანვარი

<https://edu.aris.ge/news/rogoria-da-rogori-unda-iyos-mshoblis-chartuloba-shvilis-saswavlo-proces-shi-da-skolis-migma.html>

შვანგირაძე, თ. (2020) დისტანციური სწავლების გამოწვევები და პერსპექტივა. მოძიებულია: 2022 წლის 18 იანვარი. <https://forbes.ge/blogs/e1->

THE IMPORTANCE OF THE PRE-SCHOOL READINESS PROGRAM

Tamari Tsotsoria

Master Degree Student of Education Studies and Administration Program

East European University

Abstract

In the paper "The Importance of the Pre-school Readiness Program" there is presented the essence of the pre-school readiness program, its advantages and disadvantages. Our attention is focused on the role of early education and the nature of the school readiness program, as well as the process of the mentioned program in Georgia.

At the same time, the article speaks about the content of the pre-school preparation program and its characteristics. The work is mainly based on the desk research and on the base of the study of scientific sources, there are identified the main contemporary problems and challenges in the direction of the research. It is clearly visible what advantages and disadvantages the program has and where the essence of the problem is. Based on the identified problems, in the paper we made the recommendations about the presence of qualified and experienced staff in preschool institutions, the necessity of the support from the relevant structures of the state and also the need to run a pre-school education program in ethnic minorities.

Keywords: *pre-school readiness, preschool education, preschool education programs*

წინა სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელობა

თამარი წოწორია

განათლების კვლევების და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში „წინა სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელობა“ წარმოდგენილია, წინა სასკოლო მზაობის პროგრამის არსი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყურადღება გამახვილებულია ადრეული განათლების როლზე და სასკოლო მზაობის პროგრამის რაობაზე, ასევე საქართველოში აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობის პროცესზე.

ამავე, სტატიიში საუბარია წინა სასკოლო მზაობის პროგრამის შინაარსზე, მის მახასიათებლებზე. ნაშრომი ძირითადად ეფუძნება სამაგიდე კვლევას და სამეცნიერო წყაროების შესწავლის საფუძველზე იდენტიფიცირებულია თანამედროვე ძირითადი პრობლემები და გამოწვევები საკვლევი საკითხის მიმართულებით. ნათლად ჩანს, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია პროგრამას და სად არის პრობლემის არსი. სწორედ იდენტიფიცირებული პრობლემებიდან გამომდინარე ნაშრომში ჩამოყალიბდა რეკომენდაციები კვალიფიციური და გამოცდილი კადრების არსებობის შესახებ სკოლამდელ დაწესებულებებში, სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მხარდაჭერის აუცილებლობა და ასევე, ეთნიკურ უმცირესობებში სკოლამდელი განათლების პროგრამის მიმდინარეობის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: წინა სასკოლო მზაობა, სკოლამდელი განათლება, სკოლამდელი განათლების პროგრამები

შესავალი

სკოლამდელი განათლება არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი ბავშვის განვითარებაში. კერძოდ, აღნიშნული პერიოდი არის ბავშვის ცხოვრებაში საწყისი ეტაპი, როდესაც ყალიბდება მისი ყველა ძირითადი უნარი. ამდენად, მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს სკოლამდელი განათლების განვითარებას. სკოლამდელი განათლება ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც შეიძლება ქვეყანამ განახორციელოს. მნიშვნელოვანია მოხდეს ბავშვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღება, რადგან აქ მიღებული ცოდნა სკოლის პერიოდში ბავშვს დაეხმარება უფრო მარტივად აღიქვას სასწავლო მასალა და სკოლის საწყის ეტაპზე უფრო მარტივად ადაპტირდეს სასკოლო გარემოსთან.

სკოლაში ყოფნა საწყის ეტაპზე ბავშვების უმრავლესობისთვის არის სტრესული. იმისათვის, რომ მათ დაძლიონ ეს დაბრკოლება, ხარისხიანი სასკოლო მზაობის პროგრამა არის საუკეთესო დამხმარე საშუალება. „წინა სასკოლო მზაობა გულისხმობს ბავშვის მომზადებას იმ მოთხოვნებისადმი, რაც მას დასჭირდება სკოლისათვის. სასკოლო მზაობის პროგრამა ბავშვებს საშუალებას აძლევს ისწავლონ თამაშით, გაერთონ და ასევე დაეუფლონ იმ უნარებს, რასაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიყენებენ“ (დავითაძე, 2019, 17-18). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დიდია ამ საქმეში აღმზრდელ-პედაგოგთა როლი და მათი დანიშნულება, ვინაიდან მათ სწორად უნდა მიაწოდონ ბავშვებს შესაბამისი სასწავლო პროგრამა.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საზოგადოების მხრიდან არასწორად არის აღქმული წინა სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელობა. ძალიან დიდი ნაწილი მშობლების, ვერ აანალიზებს რეალურად რას გულისხმობს სასკოლო მზაობა და სასკოლო ცხოვრებისათვის ბავშვთა მზაობას უკავშირებს მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებას, რაც არასწორია.

ზემოთ აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის **კვლევის მიზანია**: სკოლამდელი განათლების პროცესში წინა სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელობისა და როლის განსაზღვრა, წინა მოსამზადებელი პროგრამის ეფექტიანობის შესწავლა, ასევე აღნიშნული პროგრამების საქართველოში განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევის ამოცანები: წინა სასკოლო მზაობის პროგრამის მნიშვნელობასთან დაკავშირებული კვლევების ანალიზი.

საკვლევი მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჩატარდა სამაგიდე კვლევა. კერძოდ, შესწავლილი იქნა ლიტერატურული წყაროები, წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სტატიისა თუ კვლევის ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომში განხილულია წინა სასკოლო მზაობის მნიშვნელობასა და როლთან დაკავშირებული უახლესი კვლევების შედეგები, იდენტიფიცირებული იქნა თანამედროვე ძირითადი პრობლემები და გამოწვევები. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება არის ის, რომ სფეროთი დაინტერესებული ადამიანები და იქ მოღვაწე პირები დაინახავენ თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია პროგრამას და სად არის პრობლემის არსი. ამასთანავე, საკითხის წინა პლანზე წამოწევა მნიშვნელოვანი იქნება არსებული პრობლემების

ძირითადი ნაწილი

სკოლაში შესვლისას, მნიშვნელოვანია ბავშვს ჰქონდეს ზოგადი, საბაზისო განათლება იმისათვის, რომ ის საკუთარი ინტელექტუალური განვითარების დონით საკუთარ ასაკს არ ჩამორჩებოდეს. ამისათვის სკოლამდელი განათლების მიღება აუცილებელია. სწორედ ამ პერიოდში იწყება ბავშვის ჩამოყალიბება და მისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირება. ადრეულ ასაკში მიღებული ცოდნა და უნარები საწინდარია მომავალი წარმატების.

საქართველოში სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ასევე წინა სასკოლო მზაობის პროგრამა არის ნებაყოფლობითი და შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომია. „2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სტანდარტი, შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამა“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021, 12). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამა საერთაშორისო და

ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად დოკუმენტს: სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, აღმზრდელის სახელმძღვანელო და აქტივობების კრებული.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს „ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას, ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას“ (ელაშვილი, 2019, 34). ასევე, აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო განსაზღვრავს პროგრამის ძირითად პრინციპებს, სტრატეგიებსა და საქმიანობებს (სასკოლო მზაობის პროგრამა აღმზრდელის სახელმძღვანელო, 2015).

წინა სასკოლო მზაობის პროგრამა წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს ბავშვებსა და სკოლას შორის, მისი საშუალებით ბავშვებმა უნდა შეძლონ სკოლის გარემოსთან მარტივად ადაპტირება. „პროგრამის სახელწოდებაა თ-ა-მ-ა-მ-ი, რაც შემდეგი სახით განიმარტება: თანამშრომლობა, აღმოჩენა, მოტივაცია, არჩევანი, შემოქმედებითობა, ინდივიდუალობა“ (სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო, 2015, 6).

აღსანიშნია, რომ წინა სასკოლო მზაობის პროგრამა გულისხმობს თამაშის სწავლების მეთოდის საშუალებით 5-6 წლის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას. პროგრამა დატვირთულია სააზროვნო თამაშებითა და აქტივობებით, რომლებიც საინტერესო და სახალისოა. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ თამაშის პროცესი ეხმარება ბავშვებს ისწავლონ ემოციების მართვა და წესების დაცვა, რაც არის მნიშვნელოვანი მათი შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან ამ დროს იწყება მათი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ აღნიშნული პროგრამა ემყარება თამაშით სწავლების მეთოდს, რაც აჩვენებს ბავშვებს თავად შეიმუშაონ წესები და დაემორჩილონ სოციალურ წესებს. ეს ყოველივე კი მათ უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, იმ საჭირო უნარ-ჩვევებს, რასაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიყენებენ. პროგრამა ორიენტირებულია ბავშვის ემოციურ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

საქართველოს კანონმდებლობით „სასკოლო მზაობის პროგრამის ხანგრძლივობა არის დღეში 4 საათი, ჯგუფში ბავშვების რაოდენობა 30 ბავშვს არ უნდა აღემატებოდეს. სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების ბავშვებთან თანაფარდობა უნდა იყოს 1:15-ზე“ (საქართველოს კანონი აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016, 14). ბუნებრივია, რომ მცირე ჯგუფების არსებობა აღმზრდელს ბავშვებზე ინდივიდუალურად ზრუნვის შესაძლებლობას მისცემთ. აგრეთვე, ამ გზით ნაკლები დრო დაიხარჯება ორგანიზაციულ საკითხებზე, მეტი ყურადღება კი ბავშვის სწავლასა და განვითარებაზე გამახვილდება. თუმცა, ამ სტანდარტით დადგენილი კანონი არ სრულდება ბალებში, „ჯგუფში გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა ბავშვების ვიდრე დადგენილია, რაც პირველ რიგში აღმზრდელს უქმნის სირთულეს და ვეღარ აღწევს იმ ხარისხს რისი მიღწევაც მას სურს“ (ბასილაძე და სხვა, 2018, 343).

პროგრამის ეფექტურობასა და მის აღსრულებაში პასუხისმგებელნი არიან აღმზრდელ-პედაგოგები. ამიტომ, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აღმზრდელ-პედაგოგის კვალიფიკაციას, რადგან დიდია მათი როლი წინა სასკოლო პროგრამის ხარისხიანად სწავლების პროცესში. „საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ კვირაში 5 დღე და დღეში 4 საათი (ჯამში კვირაში 20 საათი) საკმარისია ბავშვებისთვის ხარისხიანი, სკოლამდელი განათლების მიწოდებისთვის, როდესაც სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით ბავშვებთან მუშაობს შესაბამისად გადამზადებული მასწავლებელი“ (კენიაშვილი, 2019, 22). თუმცა, საქართველოში „სკოლამდელი დაწესებულებები მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ვინაიდან პერსონალის დიდ ნაწილს არ აქვს კვალიფიკაცია, ან აქვს ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც ბავშვთა აღრეულ აღზრდასა და განათლებას არ უკავშირდება“ (საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა, 2018, 8). მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგთა სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება, მათ უნდა გააჩნდეთ სწორი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ წინა სასკოლო მზაობის პროგრამას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. პროგრამის დადებით მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ 5-6 წლის ბავშვები თამაშით უფლებიან იმ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც მათ დაეხმარებათ წარმატებულ ადამიანებად ფორმირებაში. პროგრამა

ეხმარება ბავშვებს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში, ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს და ამზადებს მას სკოლისათვის. მისი ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და მომზადებას სკოლისათვის. ის არის მრავლისმომცველი და მრავალფეროვანი, ვინაიდან ის დაფუძნებულია სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიაზე. რაც არის მისი ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი, რადგან პროგრამა გათვლილია ყველა ტიპის ბავშვისთვის და აქ არ არსებობს ერთი კონკრეტული, ხისტი მიდგომა ბავშვებთან.

აგრეთვე, პროგრამის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ „იგი უმეტეს წილად ხელმისაწვდომია და ნაკლები დანახარჯით მიიღება დიდი სარგებელი, რომლის დასტურია სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფები საჯარო სკოლებში, რომლებშიც საჭიროებენ ერთ ან ორ ოთახს, მხოლოდ ერთ მასწავლებელსა და მისთვის, მასალების შესაძენად საჭირო მცირე ხარჯებს“ (კვენიაშვილი, 2019, 42). ასევე, პროგრამა ყველასათვის ხელმისაწვდომი და ჯგუფები ინკლუზიურია. გამომდინარე აქიდან, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები, სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური წარმომავლობის მქონე ბავშვები იღებენ მონაწილეობას პროგრამაში. იმისათვის, რომ პროგრამა იყოს ეფექტური და დადებითი შედეგის მომტანი საჭიროა პროგრამის ზუსტი და ზედმიწევნით განხორციელება. ასევე, აუცილებელია უკვე არსებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

რაც შეეხება სასკოლო მზაობის პროგრამის უარყოფით მხარეებს, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ „პროგრამის გავლას ვერ ახერხებს ამ ასაკის ყველა ბავშვი. ზოგიერთ სოფელში მოსახლეობის სიმცირის გამო არ გროვდება ჯგუფის გახსნისათვის აუცილებელი მინიმალური რაოდენობა (15 ბავშვი), რის გამოც, არ ხდება სასკოლო მზაობის ჯგუფის შექმნა და ბავშვებს უხდებათ მიმდებარე სოფლებში სიარული, რასაც დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ტრანსპორტის უქონლობის გამო“ (კვენიაშვილის, 2019, 42).

კიდევ ერთი პრობლემა არის ჯგუფების მეტისმეტად გადატვირთვა ბავშვებით, რაც ართულებს აღმზრდელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად განხორციელებას. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, თანამედროვე ბალების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ბავშვების უმრავლესობა საბავშვო ბაღის გარეთ არის დარჩენილი. ჯერ კიდევ, სრულად არ არის უზრუნველყოფილი ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ეფექტურ მონაწილეობას ადრეული განათლების პროცესში. პრობლემაა ისიც, რომ პროგრამის სწავლებისას „არაქართულენოვანი აღმზრდელ-პედაგოგები და მასწავლებლები ვერ ახერხებენ არსებული აქტივობების კრებულების თუ დამხმარე სახელმძღვანელოების სრულყოფილად გამოყენებას. ზოგ შემთხვევაში ხდება მათი ჩანაცვლება სხვა ქვეყნის (აზერბაიჯანის) სასკოლო მზაობის პროგრამის თუ პირველი კლასისთვის განკუთვნილი წიგნებით. რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული აქტივობები განკუთვნილია იმ შედეგების მისაღწევად, რაც გაწერილია არა საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის სკოლამდელი განათლების ეროვნულ მიზნებში“ (კვენიაშვილი, 2019, 43).

საყურადღებო და საგანგაშო პრობლემაა მასწავლებლების არაკვალიფიციურობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ „პირველი კლასის მოსწავლეები ფლობენ არა სკოლისათვის საჭირო-უნარ-ჩვევებს, არამედ პირველი კლასის პროგრამას, რაც მათ შემდგომში უკარგავს მოტივაციას“ (კვენიაშვილი, 2019, 43). ეს ყოველივე კი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას მეტი ქმედითი ნაბიჯები აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნა, სკოლამდელი განათლების როლი დიდია ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში. ის განსაზღვრავს ბავშვის მომავალ წარმატებას როგორც სკოლაში, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურებზე. წინა სასკოლო მზაობის პროგრამა არის სკოლამდელი განათლების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის მომზადებას პირველი კლასისათვის.

საქართველოში თითქმის ყველა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ბევრ სოფელში საბავშვო ბაღები არ არსებობს ან არის ძალიან გადატვირთული და საგანმანათლებლო

დაწესებულების ფუნქციას ვერ ასრულებს. ქვეყანაში დღემდე მწვავედ დგას სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი.

მოგეხსენებათ, რომ სწავლისთვის საჭირო თვისებები ფორმირდება თანდათანობით და ამ თვისებების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თამაში, ხატვა და სხვა, რომელთა საშუალებით ვითარდება აზროვნება და ფანტაზიის უნარი ბავშვებში. ეს ყოველივე კი ვითარდება უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ და მათი ჩართულობით ბავშვთა აქტივობებში. ამიტომ, მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგთა სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება. ამისთვის კი საჭიროა კვალიფიციური და გამოცდილი კადრების არსებობა სკოლამდელ დაწესებულებებში.

წინა სასკოლო მზაობის პროგრამას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე, რომელთა იდენტიფიცირება აუცილებელია. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს პრობლემების მოგვარების სწორი გზების ძიება და საჭირო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ განათლებაში ჩადებული ყოველი ინვესტიცია არის მომგებიანი და უკეთესი მომავლის საწინდარი. ვინაიდან, სკოლამდელი განათლება ეს არის ადამიანის ჩამოყალიბების ფუნდამენტი და სწავლების ეს საფეხური დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში.

პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს წინა სასკოლო პროგრამის მიმდინარეობის საკითხზე ეთნიკურ უმცირესობებში, რადგან ყველაზე მწვავე პრობლემა სწორედ დაკავშირებულია ეთნიკურად დასახლებული ტერიტორიებისათვის, სადაც ენის არ ცოდნის გამო არაქართულენოვანი მასწავლებლები ბავშვებს არა სწორად ასწავლიან სახელმწიფო ენას. ასევე, ასწავლიან სხვა ქვეყნის სასკოლო მზაობის პროგრამას, რა დროსაც ხდება საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნების უგულებელყოფა. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სახელმწიფომ და გადაჭრას ეს პრობლემა დაუყოვნებლივ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბასილაძე, ი. ბალანჩივაძე, ი. ბერუჩაშვილი, მ. (2018). ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი.. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/>

დავითაძე, მ. (2019). ბავშვის სკოლისათვის მომზადების პრობლემები სკოლამდელ განათლებაში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.

<https://openscience.ge/bitstream/1/1614/1/maia%20davitadze%20samagistro.pdf>

ელაშვილი, მ. (2019). პირველკლასელთა სასკოლო მზაობა-პრობლემები და პერსპექტივები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.. <https://openscience.ge/bitstream/1/852/1/samagistro%20Elashvili.pdf>

ზაკაშვილი, ლ. (2015). რას გულისხმობს სასკოლო მზაობის პროგრამა, ჟურნალი ლიბერალი, თბილისი. <http://liberali.ge/articles/view/4039/ras-guliskhmobs-saskolo-mzaobis-programa>

კვენიაშვილი, მ. (2019). სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეები (მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითზე), სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.

<https://openscience.ge/bitstream/1/2280/1/Samagistro%20Maia%20Kveniasvili.pdf>

ჟიჟიაშვილი, ი. (2019). აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკის კვლევა სკოლამდელი განათლების საფეხურზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი. <https://openscience.ge/bitstream/1/835/1/samagistro%20zhizhilashvili.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021) მოძიებულია 2 ნოემბერი 2021.

<https://edu.aris.ge/news/saqartvelos-ganatilebisa-da-mecnierebis-ertiani-strategia-2017-2021-dokumenti.html>

საქართველო საკანონმდებლო მაცნე, (2017). საქართველოს კანონი აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, მოძიებულია 2 ნოემბერი, 2021

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0>

საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, (2016), მოძიებულია 2 ნოემბერი, 2021

http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf

<https://www.unicef.org/georgia/ka>

<https://www.unicef.org/georgia/media/>

<http://www.preschooleducation.ge/>

<https://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo>

ACADEMIC PERFORMANCE OF GRADUATES AND ITS ROLE ON DETERMINING THEIR EMPLOYMENT AND SALARY

Mariam Gogitauri

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

Nowadays problems related to unemployment, unprofessional staff, excess of vacant places, managers dissatisfied with staff and etc. are still actual.

The research presented in the paper deals with one such problem, as the incompatibility of professional education and the workplace, which causes some chaos in the labor market. An example of this is employing successful graduates to low-paying jobs or working at a different profession.

This study will help us to understand what such imbalance is related to, to find the sources of the problem and to consider possible ways to eliminate it, which is the goal of the paper.

Various scientific sources and studies and reports are used to study the research issue. Among them are Euro student international research and statistical data; Also, the paper presents quantitative research conducted with both private and public university students.

The main value of the article is to determine the correlation between employment and the quality of education. It should arouse interest among representatives of the field of education, as well as among the community studying economic issues of the country, which allows to discuss one of the causes of the unregulated labor market. Through the article, we conclude that there is an imbalance to a certain extent, which is caused by the rate of young people leaving the country, as well as the discontinuation of education and the promotion of specific fields.

Keywords: *graduate, Academic performance, Employment, Career development*

კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრება და მისი როლი დასაქმებისა და ანაზღაურების განსაზღვრაში

მარიამ გოგიტაური

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

დღემდე აქტუალურია დასაქმებასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა მაგალითად: უმუშევრობა, არაპროფესიონალი კადრები, ვაკანტური ადგილების სიჭარბე, კადრებით უკმაყოფილო ხელმძღვანელები თუ სხვა.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ეხება ერთ-ერთ ასეთ პრობლემას, როგორიცაა პროფესიული განათლებისა და სამუშაო ადგილის შეუთავსებლობა, რაც იწვევს გარკვეულ ქაოსს სამუშაო ბაზარზე. ამის მაგალითია წარმატებულ კურსდამთავრებულთა დასაქმება დაბალანაზღაურებად სამსახურში, ან განსხვავებული პროფესიით მუშაობა.

აღნიშნული კვლევა დაგვეხმარება გავიგოთ რასთანაა დაკავშირებული მსგავსი დისბალანსი, ვიპოვოთ პრობლემის წარმოქმნის წყაროები და განვიხილოთ შესაძლო აღმოფხვრის გზები, რაც ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

საკვლევი საკითხის შესასწავლად გამოყენებულია სხვადასხვა სამეცნიერო წყაროები და კვლევები, ანგარიშები. მათ შორის, ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევა, სტატისტიკური მონაცემები; ასევე, ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევა რომელიც ჩატარდა როგორც კერძო, ისე საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

სტატიის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს დასაქმებისა და განათლების ხარისხს შორის კორელაციის დადგენა. მან დაინტერესება უნდა გამოიწვიოს, როგორც განათლების სფეროს წარმომადგენლებში, ასევე ქვეყნის ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ საზოგადოებისთვისაც, რაც დაურეგულირებელი სამუშაო ბაზრის, ერთ-ერთი მიზეზის განხილვის საშუალებას იძლევა. სტატიის მეშვეობით ვასკვნით, რომ გარკვეულწილად არსებობს დისბალანსი, რაც გამოწვეულია, როგორც ახალგაზრდების ქვეყნიდან წასვლის მაჩვენებლით, ასევე სწავლის შეწყვეტით და კონკრეტული სფეროების პოპულარიზაციით.

საკვანძო სიტყვები: კურსდამთავრებულები, აკადემიური მოსწრება, დასაქმება, კარიერული განვითარება

შესავალი

დღევანდელ რეალობაში მწვავე პრობლემას წარმოადგენს დასაქმება. შესაბამისად ეს პრობლემა ეხებათ იმ კურსდამთავრებულებსაც, რომელთაც შესაძლოა სწავლა წარმატებით დაასრულეს, თუმცა ამის მიუხედავად, გაუძნელდათ საკუთარი ცოდნის და პროფესიის შესაბამის სამსახურში დასაქმება. მაგალითად, ყოფილი სტუდენტები, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებისა და დამაკმაყოფილებელი ნიშნების მიუხედავად, დასაქმებულები არიან დაბალანაზღაურებად, დროებით სამსახურში. ჩნდება ლოგიკური კითხვები იმის შესახებ, თუ რასთანაა დაკავშირებული მსგავსი დარღვევები და რატომ არ არის პირდაპირპროპორციული სტუდენტის შეფასება დასაქმებასთან.

ნაშრომის ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულის აკადემიური მოსწრებისა და მისი სამომავლო პერსპექტივების დაკავშირება ერთმანეთთან, მათი კორელაციის დადგენა. მოცემულ თემაში პრობლემის წარმოქმნის წყაროების პოვნა და მისი აღმოფხვრის გზების განხილვა.

ძირითადი ნაწილი

ევროსტუდენტის ეროვნული პროექტის მიხედვით საქართველოში დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: მაგისტრატურა – (67.3%), ბაკალავრი – (25.%) (2016-2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები, 2018). მაგისტრატურაზე მოსწავლე სტუდენტები მეტად დარწმუნებულები არიან თავიანთი პროფესიის არჩევანში, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტები. სოციალური და აგრარული მეცნიერების გარდა, სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მათი სამუშაო დაკავშირებულია მათ სასწავლო მიმართულებასთან. (60%) (2016-2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები, 2018). ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ფაკულტეტების გადანაწილება. საინტერესოა, სოციალურ და აგრარულ მეცნიერების წარმომადგენლების უკმაყოფილება ხომ არ უკავშირდება ქვეყანაში არასტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობასა და არათანაბრად გადანაწილებულ რესურსებს. რადგან ხშირად დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებში ახალგაზრდების მხრიდან სახელდება არათანაბარი რესურსები. რაც გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან არჩეულ ზოგიერთი სპეციალობის თუ დარგის მეტად ხელშეწყობისგან.

საქართველო შედის ევროპის ქვეყნების რიგში, სადაც ყველაზე მაღალია უმუშევარი სტუდენტების წილი და ის სერბეთსა და ალბანეთთან მსგავსად 60-70%-ს შეადგენს, ხოლო მაგისტრატურის შემთხვევაში ეს წილი 32%-მდე მცირდება (2016-2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები, 2018). რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მაგისტრსა და ბაკალავრს შორის დიდი პროცენტული სხვაობა არსებობს სამუშაო ბაზარზე დასაქმებისას.

მოცემულ თემაზე საუბრისას აუცილებელია განხილული იქნას სტუდენტთა ეკონომიკური მდგომარეობა, ხომ არ უკავშირდება მათი უმუშევრობა ძლიერ ოჯახურ მდგომარეობას, მაღალ შემოსავლებსანოჯახის მხარდაჭერას, რომელიც საქართველოს მაგალითზე ყველაზე მაღალ ზღვარს 76% აჩვენებს. მსოფლიო სტატისტიკით, სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც განიცდის სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს 14% დან 40%-მდე ვარიირებს. ხოლო საქართველოში მასზე ყველაზე დიდი წილი – 40% მოდის. (2016-2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები, 2018). რაც ხსნის იმ ფაქტორებს, რომ სტუდენტები ხშირ შემთხვევაში თანახმანი არიან მიზეზური ანაზღაურების მქონე სამსახურში მუშაობაზე, ნაცვლად იმისა, რომ დასაქმდნენ პროფესიულ, მაღალანაზღაურებად სამსახურში. პროფესიული სამსახური ხშირ შემთხვევაში მოითხოვს გრძელვადიან სტაჟირებას, რასაც შესაძლოა არ გააჩნდეს ანაზღაურება. ამიტომ კურსდამთავრებულები, ხშირად უპირატესობას აკეთებენ მოკლე დროში დასაქმებაზე. ასევე მცირეა სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის პროცენტული წილი რაც 5%-ს შეადგენს. ეს კონკრეტული იწვევს მოტივაციის დაკარგვას და აისახება, როგორც მათ სწავლაზე ასევე სამომავლო დასაქმებაზე.

არგუმენტის გასამყარებლად, რომ სტუდენტის განათლება, არ აისახება მის სამომავლო ანაზღაურებასთან, შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებელი არსებობს: უმაღლესი განათლების მქონე და არმქონე ინდივიდების დასაქმება საკმაოდ მცირე პროცენტული წილით განსხვავდება, როგორცაა (18%, 15%). შესაბამისად, ხშირად შესაძლებელია შეხვდეთ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს დაბალანაზღაურებად სამსახურში, ვიდრე საშუალო განათლება მიღებულ

ადამიანს, რომელიც დასაქმებულია უკეთეს სამსახურში. რაც პარადოქსს წარმოადგენს. თუმცა ამის მიუხედავად, დასაქმებული სტუდენტების 47.4% ამბობს, რომ მათი სამუშაო მათ სასწავლო პროგრამას უკავშირდება. საინტერესოა რატომ ვხვდებით ამხელა პროცენტულ მაჩვენებელს, საზოგადოებაში ნათლად მოცემული მაგალითების მიუხედავად. ან ხომ არ წარმოადგენენ კვლევის მიერ გამოკითხული სტუდენტები კერძო უნივერსიტეტებს?

ევროსტუდენტის მოცემული წლების სტატისტიკით, საქართველოში 61.2% მუშაობს იმიტომ, რომ დააგროვოს სამუშაო ბაზარზე გამოცდილება. განსხვავებით ევრო სტანდარტებისგან, სადაც ძირითადი აპრიორი ცოდნის მიღება და პროფესიული განვითარებასთან. ხოლო სამსახურების დაკავშირება სასწავლო პროგრამასთან შემდეგნაირად ნაწილდება: 40.7% მიიჩნევს, რომ ურთიერთკავშირი არ არსებობს. 30% მიიჩნევს, რომ არანაირი კავშირი არ არის. ხოლო 38.7% მიიჩნევს რომ არის კავშირი. 25.4% თვლის, რომ მათ შორის ძალიან ახლო კავშირია 20% კი ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს.

კვლევაში მოცემულია ასევე წარმოდგენილია პროფესიული სპეციფიკის მაგალითები სადაც: ბიზნეს ადმინისტრირების, სამართლის (43.3%), ჯანდაცვის (56.8%), ინფორმაციული ტექნოლოგიების (43.4%) კურსდამთავრებულები უფრო მეტად პოზიტიურ კავშირს ხედავენ ორ მოცემულობას შორის, ვიდრე ინჟინერია, წარმოების და მშენებლობის მიმართულების სტუდენტები, რომლის 64% თვლის რომ არანაირ კავშირში არ არის მათი დასაქმება მათ პროფესიასთან. რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული ფაქტორები კონკრეტულ დასაქმების სფეროებთანაა კავშირში, მაგალითად სამედიცინო მიმართულება, რომელიც ხშირად სტუდენტებს სწავლის პერიოდშივე ასაქმებს კლინიკებსა თუ სამედიცინო დაწესებულებებში. ამიტომ მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას კურსის სპეციფიკები;

სტატუსშეჩერებული სტუდენტები

მნიშვნელოვანია კვლევისთვის გათვალისწინებული იქნას სტატუს შეჩერებული სტუდენტები, რომლებიც სამუშაო ძალას წარმოადგენენ. ეს დაგვეხმარება იმ პარადოქსის გააზრებაში რაც, მაღალ და დაბალ აკადემიური მაჩვენებლიანი სტუდენტების სამომავლო დასაქმებას უკავშირდება. 2018 წლის მონაცემებით სტატუსი 48 624 სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია (გურგენაშვილი, 2018). ამის მიზეზი ხშირად დასაქმების გამო დროის არქონაა. არსებულ კვლევას მსგავსი მონაცემების არსებობა კი რელევანტურ ჰიპოთეზებს სძენს. მაგალითად, ხშირად შრომით ბაზარზე ვხვდებით მსგავსს სტუდენტს, რომელიც შესაძლებელია დასაქმებულია უკეთეს ანაზღაურებად სამსახურში, ვიდრე სხვა კურსდამთავრებული სტუდენტი. სტატუსშეჩერებული სტუდენტები შესაძლებელია იღებდნენ სხვა მოკლევადიან განათლებას, რომელიც უკეთესად ეხმარება დასაქმებაში. შესაბამისად მნიშვნელოვანია მსგავსი ადამიანების სტატისტიკიდან გამოსხივავა, რომ ხშირად დაუბალანსებელი მიმართება სწავლების ხარისხსა და ანაზღაურებაში მსგავსი მიზეზებით შეიძლება წარმოიქმნას.

აქვე აუცილებელია, ვახსენოთ უმაღლესი განათლების მიმართ საზოგადოების დეფორმირებული აზრი და შეკვეთის ხარისხობრივი მოთხოვნები. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა უმეტესობა მიმართულია არა სწავლების ხარისხსა და დასაქმების პერსპექტივებზე, არამედ მაღალი ქულის მიღებაზე. რაც გამოწვეულია საზოგადოების, ოჯახის არასწორი დამოკიდებულებებისგან განათლების მიმართ. ისინი ძირითადად ინტერესდებიან საზოგადოებრივი აზრით და არა უშუალოდ განათლების ხარისხით. შედეგის სახით არიან სტუდენტების გარკვეული ნაწილი, რომლებიც წარმატებული სწავლების მიუხედავად ვერ ახერხებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, მის რეალიზაციას. აქედან გამომდინარე იცვლება სტატისტიკური მაჩვენებლების წილიც და მასზე დაყრდნობის საშუალება, რომელშიც შესაძლოა მსგავსი მაგალითები მრავლად იყოს.

ქვეყნის ეკონომიკა

„საქართველოს პროგრესი და განვითარება დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე, ხოლო ხარისხიანი განათლება კი ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესების და მდგრადი განვითარების საფუძველია“ (გადი, 2017). ეკონომიკის წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან იმის შესახებ, რომ ხარისხიანი განათლება და მაღალი ინვესტიციები, წარმოადგენს ეკონომიკური

სიძლიერის გარანტს. მიუხედავად ამისა სახელმწიფოში პრობლემას წარმოადგენს დასაქმება არამარტო სტუდენტური წილით, არამედ მთლიან მოსახლეობის მაჩვენებლით. წარმატებული კურსდამთავრებული რომელსაც უწევს დაბალანაზღაურებად სამსახურში მუშაობა, წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემას, რომლის გადაჭრის საშუალებადაც განათლების და დასაქმების რეგულაციების ცვლილება გვევლინება. მაგალითად, შრომით ბაზარზე უნდა გაიზარდოს სხვადასხვა პოზიციები, რაც ხშირად დაბალი ანაზღაურების ხარჯზე ერთ ადამიანს აქვს ათვისებული. ხოლო განათლების კუთხით შესაძლოა გაიზარდოს საუნივერსიტეტო დასაქმების ფორუმების ხშირი გამოყენება, ან შესაძლოა ხელშეკრულება გაფორმდეს უნივერსიტეტსა და სხვადასხვა კომპანიებს შორის, სადაც წარმატებულ სტუდენტებს მიეცემათ რეალური შანსები საკუთარი პროფესიის გამოსაყენებლად.

კვლევითი ნაწილი

საკვლევ საკითხზე თემაზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა 50-მა კურსდამთავრებულმა მიიღო. მათი ძირითადი ნაწილი თბილისსა და რუსთავში მცხოვრები კურსდამთავრებულები არიან, რაც მცირე მასშტაბების ინფორმაციას იძლევა. თუმცა მისი დახმარებით შესაძლებელია სამომავლოდ უფრო ფართო მასშტაბიანი კვლების ჩატარება.

მათ მიერ დასმული იყო რამდენიმე შეკითხვა, როგორიცაა საუნივერსიტეტო შეფასება მსგავსია თუ არა მათ სამუშაო წარმატებასთან, ან თუ იყო გარკვეული უკმაყოფილება სწავლისა და სამსახურის შესაბამისობასთან. ან რატომ ვერ იღებდნენ ისინი მათ კვალიფიკაციასა თუ აკადემიური მოსწრების შესაბამის სამსახურს.

აკადემიური დასწრების მაჩვენებლით, რომელიც სამ ნაწილად იყო დაყოფილი: დამაკმაყოფილებელი, საშუალო და უარყოფითი. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 75.5% მიიჩნევს, რომ დამაკმაყოფილებელია ხოლო 25.5% მიიჩნევს, რომ საშუალოა. აქედან 79% ამბობს, რომ განათლება მიიღო საჯარო უნივერსიტეტში, ხოლო 20.4% არის კერძო უნივერსიტეტის წარმომადგენელი. მათი სრული რაოდენობა არის დასაქმებული სამუშაო ბაზარზე. აქედან 16 ადამიანი თვლის, რომ მისი სამუშაო შეესაბამება მის აკადემიურ მიღწევებს, 6 ამბობს რომ არ შეესაბამება, ხოლო უმეტესი ნაწილი 17 რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ შეესაბამება.

ზუსტად იგივე განაწილება არის სამუშაო ანაზღაურების კითხვასთან დაკავშირებითაც, რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი: მაღალი დაბალი და საშუალო. საშუალო შემოსავლები აქვს 23 ადამიანს, ხოლო 13-13 მაღალი და დაბალ შემოსავლებზე გადანაწილდა.

რაც შეეხება კმაყოფილებას სწავლასა და დამსაქმებელთან მოთხოვნებთან კორელაციას, რომელიც რესპოდენტებისთვის ღია კითხვის სახით იყო მიწოდებული, შემდეგნაირი პასუხები დაფიქსირდა: ვინც მიიჩნევდა, რომ სამუშაო აცდენილი იყო მათ ნასწავლთან ამბობდნენ, რომ ამის მიზეზი არასათანადო ანაზღაურება იყო, რომელიც შემდგომში აიძულებდა მათ სხვა სამსახურში დასაქმებას. ასევე, ზოგიერთი თვლიდა, რომ უნივერსიტეტმა ვერ მისცა შესაბამისი პრაქტიკული ცოდნა, თუმცა უშუალოდ დასაქმებისას მიიღეს გარკვეული პრაქტიკული ცოდნა და უნარები. ასევე, მიზეზად ხშირად სახელდებოდა მთლიანად საქართველოს მასშტაბით არსებული პრობლემა, რომ ხშირად სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება არ არის, ამიტომ უწევთ განსხვავებულ სფეროებში დასაქმება. საბოლოოდ კი მიიჩნევდნენ, რომ სწავლა და დასაქმება საქართველოში ძირითადად აცდენილ ცნებებს წარმოადგენდა, რომელიც ერთმანეთთან ძნელად მოდის კორელაციაში.

არსებული კვლევით მიღებული იქნა თითქმის მსგავსი რაოდენობები რადიკალურ პასუხებზე. ანუ დაახლოებით იმდენი ადამიანია კმაყოფილი სწავლისა და დასაქმების ურთიერთკავშირით, რამდენიც უკმაყოფილო. თუმცა ის ადამიანები რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ, აქვთ ამის არგუმენტები და პრობლემად განიხილავენ სწავლების შინაარსს, ანაზღაურებას და ა.შ. არსებული კვლევის შედეგები, რა თქმა უნდა, არ არ იძლევა რეპრეზენტატულობის საშუალებას, თუმცა წარმოაჩენს საკვლევ საკითხის მიმართულებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დგას კვალიფიკაციური კადრების შესაბამის სამსახურში დასაქმების და ანაზღაურების პრობლემა. რაც გამოწვეულია როგორც ახალგაზრდების ქვეყნიდან წასვლის მაჩვენებლით, რომელიც პერსპექტივებს სხვა ქვეყანაში ეძებენ და მათი ცოდნის და უნარების გამოყენება არ ხმარდება საქართველოს. ასევე არსებულ დისბალანსს იწვევს სწავლის შეწყვეტა მოსალოდნელი ეკონომიკური სწრაფად მიღების მიზეზით, როგორიცაა კოლეჯში მოკლევადიანი პროფესიის შესწავლა ან რაიმე კონკრეტული ხელობის დაუფლება რომელსაც მცირე დროში შეუძლია დასაქმების პერსპექტივის გაჩენა.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, საჭიროა სახელმწიფოში მეტი ინვესტიცია ჩაიდოს განათლებაში, რომ წარმატებულ კურსდამთავრებულებს და არამართო ჰქონდეთ დასაქმების საშუალება და მოტივაცია.

საჭიროა უნივერსიტეტების მხრიდან ხელშეწყობა, რომ მათ მიერ მომზადებულ სტუდენტებს გააჩნდეთ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი იქნება; მნიშვნელოვანია, ასევე გაიზარდოს კოლეჯებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების პოპულარიზაცია, რომ არ მოხდეს არასწორი გადანაწილება კონკრეტულ განხრებსა თუ უნივერსიტეტებზე რაც შეამცირებს იმ ადამიანების რიცხვს, რომელიც თავის პროფესიის მიუხედავად განსხვავებულ სფეროში არიან დასაქმებულები.

ასევე, საზოგადოებრივი შეხედულებების შეცვლა, რომ სტუდენტისთვის არ იყოს პრიორიტეტული მხოლოდ შეფასება და მოტივირებული იყოს ცოდნის ამაღლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

2016-2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები, 2018.

ევროსტუდენტი VI-ის (2016-2018) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები, 2018.

ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები

გურგენაშვილი, ი. (2018) ფაქტ-მეტრი, მოძიებულია 2022 წლის 20 იანვარს

<https://factcheck.ge/ka/>

მათეშვილი, თ (2020 წლის 4 მარტი), Aris-ge განათლება, მოძიებულია 2022 წლის 20 იანვარს <https://edu.aris.ge/>

იუნისეფი მოუწოდებს საქართველოს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისკენ ყველა ბავშვისთვის, (2017), მოძიებულია 2022 წლის 20 იანვარს Link

INCLUSION OF STUDENTS WITH SPECIAL EDUCATIONAL NEEDS IN THE EDUCATIONAL PROCESS IN PRIMARY CLASSES

Sopio Gurabanidze

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

The article – "Involvement of Students with special educational needs in the learning process in primary classes" refers to the importance of including students with special educational needs in the learning process in primary classes. The purpose of the article is to identify problems that directly hinder the socialization of children involved in inclusive education in general educational institutions with other students of typical development. The paper contains both the opinions of other researchers and the author's latest research on the pitfalls that teachers face in the teaching process when they have to work simultaneously with students with typical and atypical development. The article also describes in detail the attitude of the parents of SSM students about inclusive education, how far the individual needs of these students are taken into account in the learning process, whether educational institutions are organized and provided with the necessary resources, and how far the measures implemented in the process of inclusive education are in line with today's educational and educational processes. On the basis of the research presented in the article, it can be said that today teachers and parents of the students of SSM have a very positive attitude towards inclusive education and share each other's views. However, they still clearly perceive the gaps in the educational process that are manifested when interacting with students with special needs. Teachers mainly focused on the lack of time and resources, while parents focused on both the time factor and the lack of attention and incompetence of teachers. And if we compare the data of previous years with the research conducted today, we will see that, unfortunately, no great changes have been made regarding inclusive education. Therefore, it is necessary for the relevant structures to take care of raising the awareness of society, eliminating the mentioned gaps, and improving the involvement of the students of SSS.

Keywords: *Inclusive education, Sstudents with special educational needs*

დანყებით კლასებში სსსმ მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში

სოფიო გურაბანიძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე სტატია ეხება დაწყებით კლასებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართვის მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. სტატიის მიზანია იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც უშუალოდ აფერხებს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვების სოცილიზაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვა ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან. ნაშრომი შეიცავს როგორც სხვა მკვლევრების მოსაზრებებს, ისე ავტორის უახლეს კვლევას იმ ხარვეზების შესახებ, რასაც აწყდებიან პედაგოგები სწავლების პროცესში, როდესაც მათ უწევთ ერთდროულად მუშაობა ტიპური და ატიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან. სტატიაში აგრეთვე დეტალურადაა აღწერილი სსსმ მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების შესახებ თუ რამდენადაა გათვალისწინებული სწავლების პროცესში ამ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, არის თუ არა გამართული, უზრუნველყოფილი სასწავლო დაწესებულებები საჭირო რესურსებით და რამდენადაა შესაბამისობაში ინკლუზიურ განათლების პროცესში გატარებული ღონისძიებები დღევანდელ სასწავლო-სააღმწრდელო პროცესებთან. სტატიაში წარმოდგენილი კვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით პედაგოგები და სსსმ მოსწავლეთა მშობლები მეტად დადებითად არიან განწყობილნი ინკლუზიური განათლების მიმართ და იზიარებენ ერთმანეთის შეხედულებებს. თუმცა ისინი მაინც განსხვავებულად აღიქვამენ სასწავლო პროცესში არსებულ იმ ხარვეზებს, რაც თავს იჩენს სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. პედაგოგები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ დროის სიმწირესა და საჭირო რესურსების არ ქონაზე, მშობლები კი ხაზს უსვამდნენ როგორც დროის ფაქტორს, ასევე ყურადღების დეფიციტსა და პედაგოგთა არაკომპეტენტურობას. ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ წინა წლების მონაცემებს, დღესდღეობით ჩატარებულ კვლევებს, ვნახავთ, რომ, სამწუხაროდ, დიდი ცვლილები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა. ამიტომ აუცილებელია შესაბამისმა სტრუქტურებმა იზრუნონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასა და სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის გამოსწორებაზე.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე

შესავალი

ზოგადი განათლების საფეხურიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც დაწყებითი განათლებაა, რადგან ეს არის საფუძველი ინდივიდის აზროვნების ფორმირებისა. დაწყებითი განათლების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ბავშვის ჩამოყალიბება სრულფასოვან, ჰარმონიულ პიროვნებად. ინდივიდს მის გარეშე ვერ განუვითარდება სწორად მეტყველების, წერისა თუ კითხვის უნარი. შესაბამისად კი, დაწყებითი განათლება და დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ჩართვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის განურჩევლად სქესისა, რასისა, რელიგიისაა თუ სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა (ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989).

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სასწავლო-სააღმწერდლო სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სსსმ მოსწავლე არაა ჩართული სასწავლო პროცესში. აქედან გამომდინარე, **ნაშრომი მიზნად** ისახავს იმ საკითხთა კვლევას, რომელიც უშუალოდ შეეხება დაწყებით კლასებში სსსმ მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. რაც თავის თავში უშუალოდ მოიაზრებს, შემდეგს, კერძოდ, იმას თუ რა ძირითადი პრობლემები ვლინდება საქართველოში, დაწყებით კლასებში, სსსმ მოსწავლეთა ჩართვის საკითხთან დაკავშირებით, რატომ არის მნიშვნელოვანი სსსმ მოსწავლეთა ჩართვა და აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, რა გზებითაა შესაძლებელი მოცემული პრობლემემატიკის აღმოფხვრა და მოსწავლეთა ჩართვის გაუმჯობესება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის შინაარსიდან გამომდინარე საკითხის შესწავლა განხორციელდა **თვისებრივი კვლევის მეთოდის**, კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით. აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებამ შესაძლებელი გახდა საკითხის სიღრმისეული შესწავლა და პრობლემემატიკის ყველა პერსპექტივიდან გაანალიზება. საკვლევ აუდიტორიას კი წარმოადგენენ როგორც პედაგოგები, ისე სსსმ მოსწავლეთა მშობლები, ვფიქრობ, ნაშრომი დაგვეხმარება სიახლეების აღმოჩენაში, პრობლემების იდენტიფიცირება კი საშუალებას მოგვცემს, შესაბამისმა სტრუქტურებმა იზრუნონ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასა და სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის გამოსწორებაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ესაა ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლება. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, სსსმ ბავშვებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესწავლათ და მიეღოთ სრულფასოვანი განათლება სხვა ტიპური განვითარების თანატოლებთან ერთად. თუმცა, დღევანდლობაში ეს მდგომარეობა შეიცვალა და ახლა მათ ეძლევათ იმის საშუალება, რომ მიიღონ განათლება ისე, როგორც სხვა მოსწავლეებმა (ჭინჭარაული, 2013).

1994 წელს სალამანკას დეკლარაციამ და ასევე 2006 წელს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციამ მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის დაწყება. 2006 წლიდან ინკლუზიური განათლების განხორციელება დაიწყო მხოლოდ სკოლებში, 2013 წლიდან კი მისი დანერგვა ასევე დაიწყეს პროფესიულ სასწავლებლებშიც. (ჭინჭარაული, 2013). როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის ძირითადი მიზეზი, იმისა თუ რატომაც არ არიან აქტიურად ჩართულნი სსსმ მოსწავლეები სწავლების პროცესში, ამ ყველაფერს უშუალოდ მივყავართ მასწავლებელთან და მასწავლებლების მზაობასთან. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია რევაზ აფხაზავას „ინკლუზიური განათლებისადმი განწყობა-დამოკიდებულების კვლევის ანგარიში“, კვლევიდან კი გაირკვა, რომ ინკლუზიური განათლების გამოცდილების არმქონე მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფებში პედაგოგები ძირითადად მიიჩნევდნენ, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე ბავშვების სკოლაში სწავლება საზიანო იქნება ცოდნის მიღების თვალსაზრისით, არა მხოლოდ მათი თანაკლასელებისთვის, არამედ თავად ამ ბავშვებისთვისაც (აფხაზავა, 2007). კერძოდ, კი ისინი თვლიდნენ, რომ მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული მოსწავლეების სოციალიზაცია ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთან, ვინაიდან ამით მოსწავლეები გამოიმუშავებენ ემპათიის, მეგობრობის, პატივისცემისა და სხვა იმ მნიშვნელოვან უნარებს, რაც მოსწავლეებს დაეხმარებათ მომავალში პიროვნების ფორმირების სრულყოფის

პროცესში. საბოლოოდ, კი გამოცდილების მქონე და არმქონე სკოლების მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფების შედეგების გაანალიზებისას გამოვლინდა, რომ სსსმ ბავშვის სკოლაში სწავლა დადებით გავლენას იქონიებს არა მხოლოდ მასზე, არამედ დანარჩენ ბავშვებზეც.

აუცილებელია აგრეთვე ყურადღება გამახვილდეს იმ უახლესი კვლევების შესახებ, რომლებიც ჩატარდა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, სწორედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს „**განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის საქართველოში**“, რომლითაც დადასტურდა, რომ მოსწავლეთა ქცევის მართვა სკოლებისათვის ყველაზე ძნელ პრობლემად რჩება. ეს არის წინააღმდეგობა მოსწავლეთა სოციალური, აკადემიური განვითარებისთვის. (სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა კვლევა, 2014)

„**World Vision საქართველოსთვის**“ ჩატარებულ საბაზისო კვლევაში კი გამოვლინდა, რომ სკოლაში დადის იმ ბავშვების 98%, ვისაც ოფიციალურად არ აქვს მინიჭებული შშმ სტატუსი, მაშინ როდესაც სტატუსის მქონე ბავშვებში ეს ციფრი მხოლოდ 73%-ია (კომპანია ჯეოველი, 2014).

აღსანიშნია, რომ ზოგიერთი მშობელი უბრალოდ არ ენდობა სკოლას და თვლის, რომ თუ მისი შვილი იქნება სსსმ მოსწავლე, სწავლების პროცესში მას ნაკლები ყურადღება დაეთმობა. გარდა ამისა შეიძლება აღნიშნული მოსწავლე გახდეს დაცინვის ობიექტიც კი (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2016). არსებული შეზღუდვების გამო, ხშირ შემთხვევაში მშობელს ურჩევნია, რომ მის შვილს არ ჰქონდეს სტატუსი ან მის განათლებაზე იზრუნოს სპეციალურმა მასწავლებელმა, ვინაიდან მათთვის ასეთი ტიპის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება სწავლის თვალსაზრისით, ვიდრე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან ინტეგრირება.

სწორედ, 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად („**სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები**“), დგინდება, რომ პედაგოგები გარკვეულწილად იზიარებდნენ მშობელთა დამოკიდებულებას არსებული საკითხის შესახებ და ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა იზრუნოს სსსმ ბავშვზე. **შესაბამისად პრობლემაც სწორედ მაშინ ჩნდება, როდესაც სკოლაში დამკვიდრებული ხდება აზრი, რომ ასეთი ბავშვების სწავლაზე უნდა გავრცელდეს მხოლოდ სპეც. მასწავლებლების პასუხისმგებლობა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ სპეციალური მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარებას, უნდა გვახსოვდეს, რომ სსსმ ბავშვის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სწორად დაწერილი და შერჩეული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ სწავლების პროცესი იყოს ნაყოფიერი და მორგებული მოსწავლეთა ინტერესებზე (გოგიჩაძე, 2018).**

რაც შეეხება, კიდევ ერთ-ერთ უახლეს ნაშრომს „**მასწავლებლების დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ**“ (ბაღდოშვილი, 2019), აქ მეტად ჩანს მასწავლებელთა დადებითი განწყობა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით. კვლევის თანახმად, მასწავლებლებს მიაჩნდათ, რომ სსსმ ბავშვებს სრული უფლება აქვთ ისწავლონ თანასწორად ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან ერთად. ამ კვლევის რესპოდენტ-მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, ინკლუზიური განათლება დადებითი პროცესია. თუმცა, იქვე აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე მეტად პედაგოგები ვერ ახერხებენ დროის და ყურადღების თანაბრად გადანაწილებას, რაც ერთგვარ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სწავლების პროცესში. (ბაღდოშვილი, 2019)

როგორც ვხედავთ, არსებული კვლევები საუკეთესოდ წარმოაჩენს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ ყველა იმ მნიშვნელოვან პრობლემატიკას, რაც ხშირ შემთხვევაში ვლინდება სსსმ მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებისას. მასწავლებელთა დამოკიდებულება, არასაკმარისი მზაობა, დრო, რესურსი, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტეროტიპული შეხედულებები, სწორედ ეს ყოველივე ქმნის ერთგვარ დიდ უწყვეტ ჯაჭვს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მივყვართ იქამდე, რომ ძალიან ბევრი სსსმ მოსწავლე რჩება, განათლებისა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავების გარეშე, თუმცა თუ ჩვენ კარგად დავაკვირდებით ზემოთ მოხმობილ ინფორმაციას ვნახავთ, რომ მეტად დადებითი ტენდენციები შეინიშნება მასწავლებელთა დამოკიდებულებების თვალსაზრისით.

თვისებრივი კვლევის ანალიზი

მიუხედავად თემის აქტუალობისა, საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. საინტერესოა, რა ხდება დღეს სკოლებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის თვალსაზრისით და რა დამოკიდებულება გააჩნიათ პედაგოგებსა და მშობლებს აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღინიშნა, არსებული კვლევის – საკვლევ აუდიტორიას წარმოადგენდნენ როგორც პედაგოგები, ისე სსსმ მოსწავლეთა მშობლები (არსებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ათმა რესპოდენტმა. გამოიკითხა 3 კერძო სკოლის, კერძოდ, არქიმედეს (2 პედაგოგი), მწვანე სკოლისა (2 პედაგოგი) და პრომეთეს (1 პედაგოგი) 5 დაწყებითი კლასის პედაგოგი, რომელთა სამუშაო გამოცდილება მოიცავდა როგორც ტიპური, ისე ატიპური განვითარების მქონე ბავშვებთან მუშაობას. კვლევის პროცესში გამოიკითხა 174-ე საჯარო სკოლის, დაწყებითი კლასის, სსსმ მოსწავლეთა 5 მშობელი). რესპოდენტთა მრავალფეროვნებამ კი შესაძლებელი გახდა პრობლემების სხვადასხვა პერპექტივიდან უკეთ გაგება-გაანალიზების შესაძლებლობა. მოცემული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ პედაგოგები (ხუთივე პედაგოგი) ძირითადად დადებითად არიან განწყობილნი სსსმ მოსწავლეების მიმართ. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში. კერძოდ, კი ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მოსწავლეთა მეგობრულ, თბილ, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ გარემო-პირობების შექმნას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მოსწავლისათვის, მიუხედავად მისი ტიპური თუ ატიპური განვითარებისა. მათ ასევე გაამახვილეს ყურადღება დაწყებითი საფეხურის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ სწორედ დაწყებითი განათლებაა ის საწყისი ეტაპი, რაც უშუალოდ უზრუნველყოფს ბავშვის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. ამიტომ აუცილებელია სსსმ მოსწავლეები პირველი კლასიდან აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოციალურ და ამით ისინი გახდნენ საზოგადოების, კლასის სრულფასოვანი წევრები. გამოკითხული პედაგოგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ წინა წლებთან შედარებით, დღეს სსსმ მოსწავლეები გაცილებით უფრო აქტიურად იღებენ მონაწილეობას სასწავლო აქტივობებში, რაც განპირობებულია მშობელთა აქტიური ჩართულობით. თუმცა კვლევის პროცესში მონაწილე პედაგოგებიდან ყველა ასახელებდა იმ ძირითად, მნიშვნელოვან პრობლემას, რომელსაც აწყდებიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. რესურსები და დრო, სწორედ ხშირ შემთხვევაში ეს ორი რამ მეტად აფერხებს საგაკვეთილო პროცესის სწორად და მიზანმიმართულად წარმართვას. რადგან სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ყოველდღიურად სკოლის იმ ხარჯებით დაკმაყოფილებას, რაც სჭირდება პედაგოგს გაკვეთილის სრულფასოვნად წარმართვისათვის. მასწავლებლები ასევე ხაზს უსვამდნენ იმისაც, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კომპეტენტური პირების აქტიურად ჩართვასა და უფრო მეტად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტაა იმ მშობელთა კატეგორია, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ტიპური და ატიპური განვითარების მქონე მოსწავლეების ინტეგრირებას, აუცილებელია, რომ ასეთი დამოკიდებულება იყოს მინიმუმამდე დაყვანილი და ადამიანები გახდნენ უფრო ლოიალურები.

რაც შეეხება თავად მშობელთა დამოკიდებულებას, მშობლები მეტად დადებითად იყვნენ განწყობილნი ინკლუზიური განათლების მიმართ, თუმცა სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩნდათ იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც თან ახლავს სპეციალური განათლების პროგრამაში ჩართვას. მშობლები პედაგოგების მსგავსად ასახელებდნენ რამდენიმე პრობლემას, კერძოდ, როდესაც ხდება მათი შვილების ინტეგრირება სხვა მოსწავლეებთან ერთად, სამწუხაროდ, დროის სიმცირიდან გამომდინარე მოსწავლე ვერ იღებს იმ ცოდნას, რაც უნდა მიიღოს ბავშვმა წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი რესურს ოთახით, ამიტომ ეს ყოველივე მეტად დიდ დაბრკოლებას ქმნის მასალის სრულყოფილად ათვისების პროცესში. კვლევიდან დადგინდა, რომ დღესდღეობით მშობლები (ხუთივე მშობელი) ხშირ შემთხვევაში პრობლემად არ აღიქვამენ ბავშვისთვის სსსმ სტატუსის მინიჭებას, ვინაიდან მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი მათი შვილების განვითარებისათვის. განსაკუთრებით კი მშობლებმა უპირატესობა მიანიჭეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც, მათი აზრით, გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული საჭიროებების გათვალისწინებას. მშობლები ასევე ყურადღებას ამახვილებდნენ დაწყებითი განათლების მნიშვნელობაზე და აღნიშნავდნენ, რომ სწორედ დაწყებითი განათლებაა ის მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებში სოციალური უნარების გამომუშავებას, თუმცა მიუხედავად, რატომაც არ ხდება, რიგ შემთხვევაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა დაწყებით საფეხურზე, ძირითადად კვლავ

დასახელდა – დროის სიმწირე და ყურადღება, ვინაიდან, გამოკითხული მშობლების აზრით, შეუძლებელია მასწავლებელმა კლასში მყოფ ყველა მოსწავლეს დაუთმოს თანაბარი ყურადღება, რადგან სსსმ მოსწავლეები საჭიროებენ გაცილებით მეტ დროს ვიდრე სხვა ბავშვები, ამიტომ დაწყებით კლასებში პედაგოგების უფრო მეტი მზაობაა საჭირო, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესაბამისად, მოცემული კვლევა, საუკეთესოდ წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომლებსაც ვაწყდებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის თვალსაზრისით. როგორც ვხედავთ, პედაგოგები და სსსმ მოსწავლეთა მშობლები მეტად დადებითად არიან განწყობილნი ინკლუზიური განათლების მიმართ და იზიარებენ ერთმანეთის შეხედულებებს. თუმცა ისინი მაინც განსხვავებულად აღიქვამდნენ სასწავლო პროცესში არსებულ იმ ხარვეზებს, რაც თავს იჩენს სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. თუ მასწავლებლები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ დროის სიმწირესა და საჭირო რესურსების არ ქონაზე, მშობლები ძირითად შემთხვევაში ხაზს უსვამდნენ როგორც დროის ფაქტორს, ასევე ყურადღების დეფიციტს, ზოგიერთი მშობელი კი აღნიშნავდა, რომ ძალიან ბევრი საგნის პედაგოგი არ არის კომპეტენტური და არ ფლობს საკმარის ცოდნას ინკლუზიური განათლების შესახებ, რაც გარკვეულწილად იწვევს სწავლების პროცესის ხარისხის ვარდნას. ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ წინა წლების მონაცემებს, დღესდღეობით ჩატარებულ კვლევებს, ვნახავთ, რომ, სამწუხაროდ, დიდი ცვლილებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა. როგორც მშობლები, ასევე პედაგოგები კვლავინდებურად აწყდებიან იმ პრობლემებს, რაც ძირითადად დასახელებულია წინამდებარე კვლევების განხილვისას.

დასკვნა და რეკომენდაციები

საბოლოოდ, კი შეიძლება ითქვას, რომ სტატიაში წარმოდგენილი კვლევები ერთგვარად ადასტურებს, დღესდღეობით პედაგოგებისა და სსსმ მოსწავლეთა დადებით განწყობას ინკლუზიური განათლების მიმართ. რესპოდენტები (მშობლები და პედაგოგები) იზიარებენ ერთმანეთის შეხედულებებს, თუმცა ისინი მაინც განსხვავებულად აღიქვამენ სასწავლო პროცესში არსებულ იმ ხარვეზებს, რაც თავს იჩენს სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. პედაგოგები ძირითადად ყურადღებას ამახვილებდნენ დროის სიმწირესა და საჭირო რესურსების არ ქონაზე, მშობლები კი ხაზს უსვამდნენ როგორც დროის ფაქტორს, ასევე ყურადღების დეფიციტსა და პედაგოგთა არაკომპეტენტურობას. ხოლო თუ ჩვენ შევადარებთ წინა წლების მონაცემებს, დღესდღეობით ჩატარებულ კვლევებს, ვნახავთ, რომ, სამწუხაროდ, გარკვეული სახის ცვლილებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა. მიუხედავად მშობლებისა და პედაგოგების დადებითი განწყობისა აუცილებელია დროულად მოხდეს იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ზღუდავს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროგრამის შემუშავება, მშობელთა, პედაგოგთა, სოციუმის ცნობიერების ამაღლება, ტრენინგ-კურსების ჩატარება, საზოგადოებაში მეტი ინფორმაციის გავრცელება, სწორედ ეს უკანაკნელია საჭიროა იმის უკეთ გასააზრებლად, რომ სსსმ სტატუსის მინიჭება არა განაჩენი, არამედ ესაა საუკეთესო საშუალება, იმისათვის, რომ მოსწავლეს დავეხმაროთ პიროვნების სრულყოფის ჩამოყალიბების პროცესში, გავხადოთ იგი უფრო მეტად პროდუქტიული და მოვამზადოთ მომავალი ცხოვრებისათვის. ნაშრომში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველზე კი შესაბამისმა სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასა და სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის გამოსწორებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზავა, რ., ფრუიძე, ნ., მაჩაბელი, ნ., (2007), *ინკლუზიური განათლებისადმი საზოგადოების განწყობა-დამოკიდებულების კვლევის ანგარიში, თბილისი, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <http://ncp.ge/files/>*

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, *ინკლუზიური განათლების ხელშეწყობი პროგრამის მიმდინარეობის შეფასება და არსებული გარემოს კვლევა, (2016), თბილისი: ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, მოძიებულია 2021 წლის 25 ოქტომბერი*

ბაგრატიონი-გრუზინსკი, მ., კვაჭაძე, ჟ., ლორთქიფანიძე, რ., გაჩეჩილაძე, ნ., სასწავლო აქტივობები ყველასათვის, სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში, თბილისი: ვორლდ ვიქენ საქართველო, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მოძიებულია 2021 წლის 25 ოქტომბერი: <https://www.wvi.org/sites/>

ბავშვის უფლებათა კონვენცია, (1989), მოძიებულია 2021 წლის 25 ოქტომბერი: https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRPP6_In3c

ბადლოშვილი, ლ., კოზოლაშვილი, მ., (2019), მასწავლებლებისა და მშობლების დამოკიდებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი

გოგიჩაძე, ნ., ყაჭიშვილი, თ., უჯმაჯურიძე, მ., (2018), სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევების კვლევის ანგარიში, თბილისი: ევროკავშირი საქართველოსთვის, სი ეს აი, მშობელთა ხიდი, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5ce/fb3/4ca/5cefb-34ca8c86466272148.pdf>

კომპანია ჯეოველი. (2014). World Vision საქართველოსთვის ჩატარებული საბაზისო კვლევა. თბილისი: კავკასიის სუბ-რეგიონული მშმ ბავშვების სოციალური ინკლუზია. მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <http://inclusion.ge/res/docs/>

სენსიტიური ჯგუფის ბავშვთა სკოლაში ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორთა კვლევა, (2014), თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <http://inclusion.ge/res/docs/>

მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, (12/04/2014), თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0>

ჭინჭარაული, თ., ჯავახიშვილი, ნ., (2013), ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში, თბილისი: ილიაუნი, მოძიებულია 2021 წლის 20 დეკემბერი: <http://inclusion.ge/res/docs/2E>

The UNESCO Salamanca Statement, (1994), From: http://www.csie.org.uk/inclusion_

PRINCIPLES AND OPPORTUNITIES OF TEAMWORK AT SCHOOL

Salome Gogaladze

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

The article considers the “Principles and Opportunities of Teamwork at Schools” and the importance of teamwork and leader involvement in the learning process at public schools. The purpose of the article is to identify the role of teamwork in the learning process at the general education level. The article contains the research, in particular, a qualitative study conducted – an interview with 10 elementary class teachers of Public School of Tbilisi.

Following the processing of the results of the study and data analysis, it is clear that most of the teachers realize the role and importance of teamwork in the educational process. Constructive and positive feedback from each other after teacher meetings helps teachers to accurately identify strengths and weaknesses in the learning process, and eliminate difficulties. Their motivation also increases in the result.

Based on the results of the study, the paper gives the following recommendations:

- Plan and schedule the issues to discuss during the teachers’ group meetings.
- The meetings should be followed up with positive and constructive feedback.
- It is desirable for the directorate to plan various events and activities where the school leadership and principal will be involved, as well as teacher focus groups.

Consideration of the recommendations presented in the article will help to increase the motivation of teachers, and to lead a successful, high-quality and result-oriented educational process.

Keywords: *cooperative learning, teamwork, elementary level, general education*

გუნდური მუშაობის პრინციპები და შესაძლებლობები სკოლაში

სალომე გოგალაძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,

ნაშრომის ხელმძღვანელი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში „გუნდური მუშაობის პრინციპები და შესაძლებლობები სკოლაში“, საუბარია საჯარო სკოლაში გუნდური მუშაობის და ლიდერის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ სწავლების პროცესში. სტატიის მიზანია განსაზღვროს, რა როლი აქვს გუნდურ მუშაობას სასწავლო პროცესში ზოგადი განათლების საფეხურზე. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევითი ნაწილი, კერძოდ ჩატარებულია თვისებრივი კვლევა – ინტერვიუ სსიპ ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის 10 დაწყებითი კლასების პედაგოგთან;

კვლევის შედეგების დამუშავებისა და მონაცემთა გაანალიზებიდან ცხადია, რომ პედაგოგების უმრავლესობას გააზრებული აქვს გუნდური მუშაობის როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. მასწავლებელთა შეხვედრების შემდეგ კონსტრუქციული და პოზიტიური უკუკავშირი ერთმანეთის მიმართ ეხმარებათ მასწავლებლებს, ზუსტად განსაზღვრონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, აღმოაჩინონ სირთულეები. შედეგად, იზრდება მათი მოტივაცია.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კი ნაშრომში ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, კერძოდ:

- დაიგეგმოს და გაიწეროს საკითხები, რომელიც განხილული იქნება მასწავლებელთა გუნდური შეკრებების დროს.
- ჩატარებულ შეხვედრებს უნდა მოსდევდეს პოზიტიური და კონსტრუქციული უკუკავშირი.
- სასურველია, დირექციის მხრიდან, მოხდეს სხვადასხვა ღონისძიებების და აქტივობების დაგეგმვა, სადაც ჩართული იქნებიან რომოგრც სკოლის ხელმძღვანელობა და დირექტორი, ასევე მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფები.

ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას, წარმატებული, ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას.

საკვანძო სიტყვები: თანამშრომლობითი სწავლება, გუნდური მუშაობა, დაწყებითი საფეხური, ზოგადი განათლება

შესავალი

გუნდი არის გაერთიანება ორი ან მეტი ადამიანისა, რომლებიც იზიარებენ ერთსა და იმავე მიზნებს, მიზნების მისაღწევად ახდენენ შრომის კოორდინაციას, სადაც მაღალია ნდობის ფაქტორი და წარმატების მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი შრომით. ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კარგ კოლექტივს – ლიდერს რომელიც ქმნის ორგანიზაციულ კლიმატს და გუნდს, რომელიც უზრუნველყოფს ამ კლიმატის რეგულირებას.

გუნდი/ჯგუფი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგის ეფექტურობის გაზრდისათვის ორი ან მეტი ადამიანის ძალისხმევის კოორდინაციაა საჭირო. სამუშაო ჯგუფები შედგება შესაბამისი უნარების მქონე მცირე რაოდენობის თანამშრომლებისაგან, რომელთაც აქვთ საერთო მისია, არიან პასუხისმგებლები საერთო მიზნებზე და სამუშაო პროცესის გაუმჯობესებაზე.

ნებისმიერი ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ კულტურას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩატარდეს კვლევა რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნება გუნდური მუშაობის პრაქტიკა საჯარო სკოლაში. სკოლა არის ის ორგანიზაცია სადაც, გუნდურ მუშაობას ძირითადი ადგილი უნდა ეჭიროს, რადგან ეს არის ადგილი სადაც მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია ერთი მიზნის გარშემო არიან გაერთიანებულნი და ცდილობენ ხარისხიანი განათლებით უზრუნველყონ მომავალი თაობა, მოსწავლეები.

ლიტერატურის მიმოხილვა

დევიდ ჰოლერანის ნაშრომში „გუნდური მუშაობა დაწყებით სკოლაში“ (David J. Holleran, „Team building in an Elementary School: A Descriptive Case Study“, 1997) დაწყებითი სკოლის მაგალითზე განხილულია გუნდური მუშაობის პრინციპები და ის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება და/ან უნდა განხორციელდეს სკოლაში. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა საკვლევი საკითხი, მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- გუნდური მუშაობის რა აქტივობები ხორციელდება სკოლაში?
- რა იყო აღნიშნული აქტივობების მოსალოდნელი შედეგები?
- როგორ აისახა მიღებული შედეგები სკოლის ცხოვრებაზე?
- სკოლის თანამშრომლების მხრიდან როგორი რეაქცია მოჰყვა გუნდური მუშაობის აქტივობებს? (Holleran, D, Blacksburg, V.)

იმისათვის, რომ ცხადი იყოს გუნდური მუშაობის პრინციპი სკოლაში, საჭიროა ინფორმაციის მოძიება გუნდის ლიდერების ტიპების შესახებ. სპეციალისტების აზრით, გუნდის ეფექტური ლიდერები ავლენენ შემდეგ ქცევას:

- მათი გუნდი ორიენტირებულია მიზანზე;
- ინარჩუნებენ კოლაბორაციულ კლიმატს;
- წევრებს შორის აყალიბებენ თვითრწმენას;
- ადგენენ პრიორიტეტებს;
- მართავენ საქმიანობას.

გუნდური მუშაობის სწორად და ეფექტურად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლიდერი. არსებობს ლიდერობის ხუთი სტილი. (რობერტ ჯ. ოუენსი. თომას ს. ვალესკი) თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ლიდერის ქცევის შესაბამისად იცვლება ორგანიზაციის კოლექტივის/გუნდის მუშაობის სპეციფიკაც.

ავტოკრატიული პროცესი:

1. ლიდერი (მენეჯერი, ადმინისტრატორი) იღებს გადაწყვეტილებას იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც მისთვის არის ხელმისაწვდომი;
2. ლიდერი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას ჯგუფის წევრებისგან, შემდეგ კი იღებს გადაწყვეტილებას. ინფორმაციის მოპოვებისას ლიდერმა შესაძლოა, უთხრას ან არ უთხრას მიმღევრებს, თუ რა პრობლემა არსებობს.

საკონსულტაციო პროცესი:

3. ლიდერი პრობლემას სათითაოდ აცნობს ჯგუფის შესაბამის წევრებს შეხვედრი დროს, არ კრებს მათგან ერთ ჯგუფს და თითოეულისგან ცალ-ცალკე ისმენს იდეებს და წინადადებებს;
4. ლიდერი არსებულ პრობლემას აცნობს ერთად შეკრებილ ჯგუფის წევრებს და შემდეგ დებულობს გადაწყვეტილებას;

ჯგუფური პროცესი:

5. ლიდერი, რომელიც ჯგუფის შეხვედრაზე თავმჯდომარეობს, აცნობს პრობლემას ჯგუფს და ხელს უწყობს ჯგუფის ძალისხმევას, მიაღწიონ კონსენსუსს ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად, ლიდერმა შესაძლოა, მათ მიაწოდოს ინფორმაცია და გამოთქვას თავისი მოსაზრება, მაგრამ არ ცდილობს, რომელიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებაში დაარწმუნოს ჯგუფი ან შეფარული ზემოქმედება მოახდინოს მასზე.

მნიშვნელოვანია, რომ გუნდის ლიდერობა შეფასდეს გუნდის წარმატების სხვა კრიტერიუმების გამოყენებითაც. გუნდის ეფექტურობის სტანდარტების მუდმივი შემოწმება საშუალებას აძლევს ლიდერს უკუკავშირიც მიიღოს, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გაარკვიოს, თუ რამდენად იმუშავა წარსულში ჩატარებულმა ინტერვენციებმა. ეფექტურობის შესაფასებლად, გუნდის ლიდერებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, იქნება ეს პირდაპირი დაკვირვება, გამოკითხვები, უკუკავშირი თუ მიღწევის ინდიკატორები.

კვლევითი ნაწილი

სტატიის მიზანია განსაზღვროს, რა როლი აქვს გუნდურ მუშაობას სასწავლო პროცესში ზოგადი განათლების საფეხურზე. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევითი ნაწილი, კერძოდ ჩატარებულია თვისებრივი კვლევა – ინტერვიუ სსიპ ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის 10 დაწყებითი კლასების პედაგოგთან.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, საინტერესოა გუნდური მუშაობის რა აქტივობები ხორციელდება სკოლებში და როგორ ხდება აღნიშნული ღონისძიებების წახალისება/ხელშეწყობა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს მსგავსი აქტივობების მიმართ.

კითხვაზე ჯგუფური/გუნდური მუშაობის რა აქტივობები ხორციელდება სკოლაში? მასწავლებელთა პასუხები გახლათ შემდეგი: სასკოლო პროექტი „დემოკრატია ჩვენი უფლებების დაცვით იწყება“; ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაო; usaid საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულ ვებინარებზე ერთობლივი დასწრება; პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების შეხვედრები და სხვა. მასწავლებლები აქტიურად აყალიბებენ საკითხებს, რომელსაც განიხილავენ შეხვედრების დროს.

აქტივობების შინაარს და მეთოდებს აყალიბებენ შემდეგნაირად: ჯგუფური აქტივობების შინაარსი ძირითადად ეხება სწავლა-სწავლების პროცესებს, საჭირობოროტო საკითხებს, ტექნიკურ საკითხებს, პარალელური კლასების თავისებურებებს. პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას და ახალი ცოდნის მიღების შესაძლებლობებს. სემესტრის განმავლობაში, (ზოგჯერ დისტანციურად) გუნდურად ვმუშაობდით ღირეუცისათან ერთად პარალელური კლასები, ვდებულობდით ინსტრუქციებს, გამოვთქვამდით მოსაზრებას ფაქტებსა და მოვლენებზე, ვიხილავდით პრობლემებს და ვპოულობდით ოპტიმალურ გამოსავალ. ასევე, გუნდურად ვმუშაობდით საგნის კურიკულუმების შედგენაზე, პირველკლასელების მზაობის შესახებ, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. ასევე, ელექტრონული ჟურნალის წარმოების შესასწავლად, სემესტრული ანგარიშის წარსადგენად, სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებების დასაგეგმად და ა. შ.

კითხვაზე – რა იყო აღნიშნული ჯგუფური/გუნდური სამუშაოების მოსალოდნელი შედეგები, მასწავლებლები პასუხობენ რომ, გუნდური მუშაობის დროს კოლეგები დროულად პოულობენ რომელიმე საკითხის პრობლემას და ცდილობენ დროულ აღმოფხვრას.

მასწავლებელთა პასუხებიდან დგინდება, რომ მოსალოდნელ აქტივობებს მოჰყვა სათანადო შედეგები, თუმცა კონკრეტული პასუხი არ დაუზუსტებიათ.

კითხვაზე – თქვენს მიერ ნახსენები მოსალოდნელი შედეგებიდან შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი რომელი მათგანი ხორციელდება და რომელზეა საჭირო ჯერ კიდევ მუშაობა თქვენს სკოლაში? პასუხებიდან იკვეთება ძირითადი საკითხები: შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგები, სპეციალური საჭიროების მოსწავლეებთან მიღწეული შედეგები.

რაც შეეხება ლიდერთან დაკავშირებულ შეკითხვებს გამოკითხულ მასწავლებელთა პასუხები ერთგვარია; კერძოდ, უმრავლესობა გამოკითხულთაგან აღნიშნავს, რომ ძალიან კარგად ესმით მათ ლიდერს სამსახურებრივი პრობლემები და საჭიროებები; თუ რამდენად კარგად ამჩნევს მათი ლიდერი მათსავე პოტენციალს, აქ აზრი ორად გაიყო და ნაწილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად, ხოლო ნაწილმა კარგად; ამდენად, პოზიტიური პასუხები დაფიქსირდა საბოლოო ჯამში; ამასთანავე გამოკითხულთაგან ყველამ აღნიშნა, რომ მათი ხელმძღვანელი/ლიდერი აცნობს პრობლემას კოლექტივს და ხელს უწყობს მიაღწიონ კონსენსუსს ერთობლივად გადაწყვეტილების მიღებამდე.

დასკვნა

პედაგოგთა გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ჯგუფურ/გუნდურ მუშაობას დადებითად აფასებენ. შეხვედრებისას უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ აქტივობებს, რაც სასწავლო პროცესის ხარისხზე დადებით გავლენას ახდენს.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ პედაგოგების უმრავლესობას გააზრებული აქვთ გუნდური მუშაობის როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეხვედრების შემდეგ კონსტრუქციული და პოზიტიური უკუკავშირი კოლეგების მხრიდან. ეს ეხმარებათ, ზუსტად განსაზღვრონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და აღმოფხვრან სირთულეები. ასეთი მიდგომა, ზრდის მათ მოტივაციასაც. ისინი, მეტი ენთუზიაზმით ცდილობენ მრავალფეროვანი რესურსებისა და მეთოდების გამოყენებით დაგეგმონ სასწავლო პროცესი.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პანდემიის პირობებში გართულდა გუნდური მუშაობის ხშირი აქტივობების განხორციელება, მაგრამ დისტანციურ რეჟიმში მაინც ახერხებენ შეხვედრას და საკუთარი გამოცდილების გაზიარებას.

რაც შეეხება ლიდერის დამოკიდებულებას და ჩართულობას დადებითად ახასიათებენ ლიდერს და გამოარჩევენ მასთან პოზიტიურ დამოკიდებულებას. თუმცა არ გამოარჩევენ კონკრეტულ შემთხვევას რომლის დროსაც მოხდა სკოლის ლიდერის და მასწავლებლების ჩართულობით ერთობლივი ღონისძიების განხორციელება.

რეკომენდაციები

სასწავლო პროცესის ეფექტიანი და სრულფასოვანი წარმართვისათვის მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის აქტივობების დაგეგმვა – განხორციელება და კოლეგების მხრიდან კონსტრუქციული, ობიექტური შეფასება, პოზიტიური უკუკავშირი. შესაბამისი რეკომენდაცია ზრდის მასწავლებელთა მოტივაციას, უმაღლესს სამუშაო განწყობას, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მოსწავლეთა შედეგებზე.

სასურველია, სკოლის ლიდერის/ დირექციის მხრიდან მოხდეს უფრო მეტი ჩართულობა, სხვადასხვა ღონისძიებების და გუნდური მუშაობის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება. სემესტრში ერთხელ ამ შედეგების ანალიზი სხვა კოლეგების თანდასწრებით და გამორჩეულად აქტიური პედაგოგების წახალისება (სერტიფიკატი, პრემია), რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ მოვალეობას და აქტიურად არიან ჩართული გუნდური მუშაობის აქტივობების განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

რობერტ ჯ. ოუენსი. თომას ს. ვალესკი. მეთე გამოცემა. „ორგანიზაციული ქცევა განათლებაში“.

ოუენსი, რობერტ, ჯ. და თომას ს. ვალესკი, ორგანიზაციული ქცევა განათლებაში, ლიდერობა და სკოლის რეფორმა.pdf

პიტერ გ. ნორთჰაუზი. დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი. მეხუთე გამოცემა. 2010 „ნორთჰაუზი, პიტერ, გ – ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა“.

ნორთჰაუზი, პიტერ, გ – ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა.pdf

David J. Holleran. Blacksburg, Virginia. October 3, 1997 „Team building in an Elementary School: A Descriptive Case Study“.

THE RELATIONSHIP BETWEEN THE TEACHER AND THE STUDENT AND ITS IMPACT ON THE LEARNING PROCESS

Ketevan Arabidze

Master Degree Student of Educational Research and Administration Program
East European University

Assoc. Prof. Dr. Ketevan Aptarashvili,
Supervisor
East European University

Abstract

As for our issue, on which the paper discussed "the relationship of the student teacher and its impact on the learning process", it is more noteworthy to prevent students from lagging behind or neglecting students through negligence of any side. The emphasis in the article is focused, both in theory and in practice what their joining is, and what this relationship can do about the existence or absence of this relationship in the education system.

This work discusses various articles or books, discussing the importance of establishing healthy communication between the teacher and the student in primary school. And as a result of reviewing the views of several teachers, it became clear that it is very important to remain calm in the learning environment for the growth and development of the student, and there is no strained relationship between the two sides.

The paper is relevant to the fact that with the help of the right relationships and cooperation in the learning process, we may increase the motivation of both students and teachers, through which we will receive high academic performance and be able to conduct the learning process cheerfully, interestingly. As a result of theoretical material and interview, it is clear that communication between the student and the teacher contributes to the development of both the child and the formation of his attitudes. It becomes easier to recognize the feelings of the child if you gain his confidence. One of the important aspects of continuing the right relationship between them is listening to each other, standing by side and helping/discussing issues that bother you. The educator must be imitating and bearing all the skills or abilities that he requires from the student.

Keywords: *General education, teacher, student, communication*

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა და მისი გავლენა სასწავლო პროცესზე

ქეთევან არაბიძე

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ასოც. პროფ. დოქტ. ქეთევან აფთარაშვილი,
ნაშრომის ხელმძღვანელი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომი წარმოდგენილი საკითხი „მოსწავლე მასწავლებლის ურთიერთობა და მისი გავლენა სასწავლო პროცესზე“, არის მეტად საყურადღებო, რათა არ მოხდეს რომელიმე მხარის დაუდევრობის საშუალებით მოსწავლეთა ჩამორჩენა ან სწავლის უგულებელყოფა. სტატიაში აქცენტირებულია როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკაში როგორი არის მათი ურთიერთობა და რისი გავლენა შეუძლია ამ ურთიერთობის არსებობას ან არარსებობას განათლების სისტემაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, რომელზე დაყრდნობითაც წარმოდგენილია მსჯელობა თუ რაოდენ აუცილებელია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ჯანსაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბება დაწყებით კლასებში; ხოლო რამდენიმე მასწავლებლის შეხედულების განხილვის შედეგად ნათელი გახდა, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია მოსწავლის ზრდისა და განვითარებისათვის სასწავლო გარემოში იყოს სიმშვიდე და ამ ორ მხარეს შორის არ არსებობდეს დაძაბული ურთიერთობა.

ნაშრომს აქტუალურს ხდის ის ფაქტი, რომ სასწავლო პროცესში სწორი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის დახმარებით შესაძლოა გაზარდოთ როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა მოტივაცია, რომლის საშუალებითაც მივიღებთ მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის ხალისიანად, საინტერესოდ წარმართვას შევძლებთ. ლიტერატურის მიმოხილვისა და ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კომუნიკაცია ხელს უწყობს როგორც ბავშვის განვითარებას, ისე მისი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. უფრო მარტივი ხდება ბავშვის გრძნობების ამოცნობა თუ მის ნდობას მოიპოვებთ. მათ შორის სწორი ურთიერთობის გაგრძელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ერთმანეთის მოსმენა, გვერდში დგომა და იმ საკითხებზე დახმარება/მსჯელობა, რომლებიც აწუხებთ. პედაგოგი უნდა იყოს მისაბაძი და ყველა იმ უნარისა თუ შესაძლებლობის მატარებელი, რასაც მოითხოვს მოსწავლისაგან.

საკვანძო სიტყვები: ზოგადი განათლება, მასწავლებელი, მოსწავლე, კომუნიკაცია

შესავალი

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა ყოველთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო და იქნება, რასაც აღნიშნულ საკითხზე არსებული უამრავი კვლევა ადასტურებს; დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან თანამედროვე სამყაროში მასწავლებლის როლი ჩაანაცვლა სხვა ალტერნატიულმა საშუალებებმა. მაგალითად, ტექნოლოგიებმა, სადაც მოსწავლეს სწავლის მიღება და განვითარება ამ ურთიერთობის გარეშე თავისუფლად შეუძლია. მაგრამ იკარგება ის საწყისები, რაც უშუალოდ აუცილებელია ჯანსაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბებასა და სწორი განვითარებისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

